# გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

## სულიერება

### ქრისტეშობა

წუხელ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II წმინდა სამების მშენებარე საკათედრო ტაძარში, ელიას მთაზე საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა. ქრისტეშობის წმინდა რიტუალში მონაწილეობდნენ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები.

მლოცველთა მორის იყო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

დაწვრილებით – მომდევნო ნომერში.


# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 7 იანვარი, 2001 წელი.

№5 (3741)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

ფასი 50 თეთრი.


## ლაურეატი

# კოკა იგნატოვის შემოქმედების მორიგი აღიარება

2001 წლის 6 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 2000 წლის შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გადასცა მის ლაურეატს, საქართველოს სახალხო მხატვარს ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვს.

გადაწყვეტილება კოკა იგნატოვისათვის რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის მინიჭების შესახებ 2000 წლის 17 მაისს მიიღო საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა. ამ გადაწყვეტილების საფუძველი გახდა ხელოვანის მიერ 1998-1999 წლებში შექმნილი მხატვრული ტილოები. თუმცა შემოქმედის მრავალწლიანი მოღვაწეობა ადრეც არაერთხელ აღნიშნულა საპატიო ჯილდოებით, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო პრემიით.



„მეც ერთ-ერთი ადგილი მიკავია თქვენს მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა შორის“, მიმართა ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე საქართველოს პრეზიდენტმა ხელოვანს, რომლის შემოქმედებას, მისი შეფასებით, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ღირსეული ადგილი უკავია უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში.

კოკა იგნატოვმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს, სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარეს მურმან ლებანიძეს და კომიტეტის ყველა წევრს მისი შემოქმედების ასეთი დაფასებისათვის და ახალ წელსა და საუკუნეში წარმატებები და დიდი გამარჯვებები უსურვა საქართველოს.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური – საქინფორმი.

## პრეზიდენტი

# ენერგოსისტემაში დროებითი მწვავე კრიზისი დაძლეულია

„ეი-ი-ეს მტკვრის“ კუთვნილ მე-9 და მე-10 ენერგობლოკებს ბუნებრივ გაზს კომპანია „იტერა“ მოაწვდის. ეს საგანგებო გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც აღნიშნულ ენერგობლოკებს კომპანია „ინეფტიგაზსტროიმ“ მოულოდნელად შეუწყვიტა გაზის მიწოდება და ამით საქართველოში პრაქტიკულად საგანგებო ენერგეტიკული სიტუაცია გამოიწვია.

6 იანვარს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ და გაზის საერთაშორისო კორპორაციამ კომპანია „იტერასთან“ მიაღწიეს შეთანხმებას ბუნებრივი გაზის დროებითი მოწოდების შესახებ.

იხ. მე-2 გვ.

## დღის თემა

**ჩვენი კონტრასტები: „ილიჩის ნათურის“ საპირისპიროდ საქართველოში შეიქმნა „სქოულის გამომრთველი“.**



– არ გამაგიჟოთ! რა აქვს საერთო თქვენს ლექსს და ვაჟა ფშაველას ლექსს?

– ორივე სანთლის შუქზეა დაწერილო.

## გიხაროდენ!



### მესამედ ამაღლდა ჭერი

მესამედ ამაღლდა მაია წიწილაშვილისა და გია აბრამიძის ოჯახის ჭერი. მათ ახალი წლის, ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის დამდეგს მესამე შვილის შეძენით გაიხარეს. ამ დღეებში, სხვა მრავალთა შორის, საქართველოში მათი ჯანმრთელი და ლამაზი გოგონაც დაიბადა. პატარას ანა დაარქვეს. შინ კიდევ ორი თვალხატულა შვილი ჰყავთ 5 წლის სალომე და 3 წლის გიორგი, რომლებიც დაიკოს თავს დასტრიალებენ.

ქალიშვილის შეძენას ვულოცავ მაიასა და გიას. მრავალ შობა-ახალ წელს სიმრავლე, სიხარული და ბედნიერება დაებედოთ. ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს მათ ოჯახს.

ანა ქველიძე.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## სახელმწიფო მინისტრი

# ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სრულყოფისათვის

საქპატენტი – ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი ერთ-ერთი ორგანიზაციაა, რომელიც საკუთარი შემოსავლით ინახავს 140-კაციან კოლექტივს და ამასთან ცენტრალურ ბიუჯეტშიც საკმაოდ სოლიდური თანხა შეაქვს თავისი რვაწლიანი არსებობის მანძილზე. სადღეისოდ ამ თანამედროვე, უახლესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ორგანიზაციის საინფორმაციო მონაცემთა ბაზაში დაახლოებით 14 ათასი სასაქონლო ნიშანია დაპატენტებული, აქედან 3 500 გამოგონებებზე მოდის. საქართველოს საპატენტო უწყება რამდენიმე საერთაშორისო კონვენციის წევრია, იგი მჭიდროდ და კონსტრუქციულად თანამშრომლობს ევროპის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის უწყებებთან. რაც შეეხება ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და საერთო სისტემის სრულყოფას, ამ მხრივ საქპატენტს განსაკუთრებულ დახმარებასა და მხარდაჭერას გაეროს ეგიდით მოქმედი – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია უწევს.

გასული წლის დეკემბერში, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულების საფუძველზე, საქპატენტს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტოც შეუერთდა. საქპატენტის გენერალური დირექტორის დავით გაბუნიას თქმით კი, ეს ერთგვარი სიახლე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზნად. თუმცა, სამრეწველო საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის ამგვარი შერწყმა მთელ მსოფლიოში გამოკვეთილი მიმართულება და უკვე აპრობირებული ტენდენციაა.

იხ. მე-2 გვ.

## სასამართლო

სიტყვა „შეჯიბრებითობა“ თვით კომუნისტების დროსაც კი ადამიანებს ღიმილს ჰგვრიდა. მაშინდელი ყველაფერი მოვისროლეთ, – შეჯიბრებითობა კი ბევრ რამეში, მაგალითად, მართლმსაჯულებაში შემოვინახეთ. ნებისმიერ პროცესზე ერთმანეთს ეჯიბრებიან ბრალდებისა და დაცვის მხარეები. საით უფრო გადაიქანება თოკი, ეს თავად მოსამართლემ უნდა დაადგინოს, მაგრამ ვიდრე ეს დადგინდება, მტრისას, – ნერვებიც დაგაწყდება და სისხლიც სანახევროდ გაგიშრება.

# როგორც ჩანს, დუმილმა ოქროს ფასი დაკარგა

იხ. მე-2 გვ.

## უკანასკნელ საათს



ომისშემდგომი ჩეჩნეთის შესახებ იმსჯელეს გუშინ გუდერმესში გამართულ კონფერენციაზე. გროზნოს მერმა ბესლან განტამიროვმა განაცხადა, რომ იგი მხარს დაუჭერს ახმად კადიროვს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, და თანამებრძოლებს მოუწოდა ებრძოლონ ტერორისტებს მათივე მეთოდებით – დახოცონ შეუბრალებლად.

ჩეჩენმა მოთარეშეებმა გუშინ გუდერმესში მამა-შვილი მილიციელები მოკლეს.

## ინტერპანორამა

არქტიკულმა ანტიციკლონმა ანომალური ყინვა მოიტანა ციმბირში. ნოვოსიბირსკში ტემპერატურა მინუს 57 გრადუსამდე დაეცა. ასეთი ყინვა აქ გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში იყო.



გუშინ ერაყის ლიდერმა სადამ ჰუსეინმა პირადად უარყო მოარული ხმები მისი მძიმე დაავადების შესახებ, როდესაც ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას ეროვნული შეიარაღებული ძალების 80 წლისთავთან დაკავშირებით.



პრეზიდენტი

## ენერგოსისტემაში დროებითი მწვავე კრიზისი დაძლეულია

(პირველი გვერდიდან)



შეხვედრაზე ითქვა, რომ ამ ოპერაციის განსახორციელებლად შემუშავდა ფინანსური მექანიზმი, რომლის თანახმადაც ბუნებრივი გაზის შესასყიდად 3 მილიონი ლარი გამოიყო ბიუჯეტის კანონით სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსათვის დამტკიცებული ენერგეტიკის სექტორის ზარალის ანაზღაურების ასიგნებებიდან. ამდენივე თანხა გამოიყო პრეზიდენტის ფონდიდან. თანხის ნაწილის გადარიცხვისთანავე „იტერამ" დღე-ღამეში 2,4 კუბური მეტრის მოცულობის გაზის მოწოდება დაიწყო და მე-9 ბლოკიც ჩაირთო. როგორც შეხვედრაზე ითქვა, უახლოეს საათებში გაზის მოცულობა გაიზრდება და ამოქმედდება მე-10 ენერგობლოკიც. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ უაღრესად კრიტიკულ სიტუაციაში პროფესიულად იმოქმედა და ქვეყანა მორიგი ენერგოკრიზისისაგან იხსნა.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ ეს არის დროებითი ღონისძიება. ქვეყნის ენერგეტიკის სისტემის საბოლოოდ გადარჩენისათვის კი უფრო გლობალური და მასშტაბური მოქმედებაა საჭირო. მან შესაბამის სამსახურებს დაავალა მოამზადონ სერიოზული შეხვედრა, რომელზეც ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი ღონისძიებები და მოქმედების გეგმა შემუშავდება.

**სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური-საქინფორმი.**

ფინანსები

## „ნულოვანი ვარიანტი" — სარატიფიკაციოდ

ევრეთწოდებული „ნულოვანი ვარიანტის" ხელშეკრულება, რომელიც ყოფილი სსრკ ქონებიდან საქართველოს ხვედრით წილზე (1,62 პროცენტი) უარის თქმას ითვალისწინებს, სარატიფიკაციოდ ქვეყნის პარლამენტში უკვე წარდგენილია, განუცხადა პრაიმ-ნიუსს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილემ ვლადიმერ პაპავამ.

რუსეთის დედაქალაქში გასული წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობის დელეგაციის ვიზიტისას მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც მოსკოვი მას შემდეგ დაიწყებს მისდამი საქართველოს 179 მილიონი დოლარის ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხზე მუშაობას, როგორც კი საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის შევა ხელშეკრულება „ნულოვანი ვარიანტის" შესახებ. პაპავას აზრით, პარლამენტმა ეს დოკუმენტი აუცილებლად უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი შეცდომა იქნება დაშვებული.

რუსეთის ვალების მომსახურებისათვის საქართველომ მარშანდელი ბიუჯეტიდან 22 მილიონი ლარი უკვე გაიღო.

**პრაიმ-ნიუსი.**

დოკუმენტი

## საქართველოს კანონი

### საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №13-14, 8.04.1998) 680-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 2002 წლის 1 იანვრამდე თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების პირველი ინსტანციით განსჯად საქმეებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით, აგრეთვე 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., №1, მუხ. 10) 104-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია".

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 2000 წლის 28 დეკემბერი.

სახელმწიფო მინისტრი

## ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სრულყოფისათვის

(პირველი გვერდიდან)

საქპატენტის დებულებაში შეტანილი ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, ამ ორგანიზაციის საქმიანობას ხელისუფლების მხრივ კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი. მეტწილად, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა, რომ საქპატენტი იყო ის პირველი ორგანიზაცია, რომელსაც 2001 წელს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი პირველად ეწვია.

— ინტელექტუალური საკუთრება ის რესურსია, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს, რომ საქართველომ თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს ცივილიზებულ მსოფლიოში. საქპატენტი არის ორგანიზაცია, რომელიც საკუთარ ინტელექტს მიზანმიმართულად იყენებს და ასევე აქტიურად უწყობს ხელს და მფარველობს ჩვენი ერის ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. როგორც გიორგი არსენიშვილმა აღნიშნა, საქპატენტისადმი სახელმწიფოს დახმარება უწინარესად იმით გამოიხატება, რომ ახლო მომავალში იგი კოორდინირებული იქნება სხვადასხვა უწყებებთან, კერძოდ, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან, საბაჟო დეპარტამენტთან, რათა საქართველოში უფრო სრულყოფილი გახდეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

**საქინფორმი.**



### რეფორმა, ისევ რეფორმა

ეტაპობრივი ინსტიტუციონალური რეფორმა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში უკვე იანვრიდან დაიწყება.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით კირვალიძემ, ამ რეფორმის განხორციელებაში საქართველოს დახმარებას აღმოუჩენენ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და მსოფლიო ბანკის ექსპერტები. რეფორმის მიზანია სამინისტროს მობილურ სტრუქტურად ჩამოყალიბება, ხოლო საბოლოო ჯამში ხელსაყრელი პირობების შექმნა ქვეყანაში ფერმერობის განვითარებისათვის.

### „ახალმა მოძრაობამ" 20 000 ლარი გაიღო

„ახალი მოძრაობის" წარმომადგენლები გუშინ სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას 20 ათასი ლარით შეეწივნენ.

### 6 ათასი ტონა სათესლე მასალა საქართველოში

გვალვის შედეგების დაძლევის მიზნით საერთაშორისო დახმარების საშემოდგომო პროგრამის რეალიზაციის შედეგად ქართველ ფერმერებს გადაეცათ საუკეთესო ჯიშების 6 ათასი ტონა სათესლე მასალა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა მონაწილეობით მუშავდება გაზაფხულზე დონორი ქვეყნების მიერ საქართველოსთვის დახმარების პროგრამა. წინასწარი მონაცემებით, დიდი ბრიტანეთი ამ მიზნით 1,5 მილიონი ფუნტი სტერლინგის გამოყოფას აპირებს, ბელგია - 220 ათასის, საბერძნეთი - 250 ათასი დოლარის.

### არ შეიძლება ცეცხლთან თამაში

როგორც პრაიმ-ნიუსს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში განუცხადეს, გასულ წელს საქართველოში 5639 ხანძარია რეგისტრირებული. ამათგან 3137 ხანძარი სახელმწიფო, 2229 კერძო მფლობელობის ობიექტებზე მოხდა. მეხანძრეებმა 398 ადამიანი გადაარჩინეს.

ხანძრების ძირითადი მიზეზი ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა და ელექტრომოწყობილობების გაუმართაობა იყო.

ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის მიზეზით 2244, ხოლო ელექტრო მოწყობილობების გაუმართაობის გამო 1 035 ხანძარი მოხდა.

შარშან ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში 872 ცრუ გამოძახებაა რეგისტრირებული.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

სასამართლო

## როგორც ჩანს, დუმილმა ოქროს ფასი დაკარგა

(პირველი გვერდიდან)

მით უმეტეს მაშინ, როცა შეჯიბრებებში აკრძალული ილეთებიც ერთვება და ეშმაკური ჩანაფიქრებიც. რას ვიზამთ, დრომ მოიტანა ეს ყველაფერი, დრომ და იმ ახალმა კანონმდებლობამ, რომლითაც სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა დავიწყეთ. ამიტომაც, — უნდა გავუძლოთ!

მართლაც გაძლებაზეა ის სასამართლო პროცესი, რომელზეც 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის მონაწილეთა საქმე იხილება. როგორც იქნა, წელიწადნახევრის „შეჯიბრებითობის" შემდეგ ბრალდების მხარემ მტკიცებულებათა წარდგენა დაამთავრა. იგი უკვე დაცვის სიტყვას ელოდა და უცებ, როგორც ყოველთვის, სიურპრიზი, — განსასჯელები საჯაროდ წერილობით აცხადებენ, რომ ტერაქტი სწორედ მათ მოაწყვეს, — საკუთარი ინიციატივით, საკუთარი ნებით!

საერთოდ, ძნელია ცხრავე განსასჯელ-განმცხადებლის გულში ჩახედვა, ყველა ჩანაფიქრის გაშიფვრა, მაგრამ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება, — მზადდება რაღაც ახალი, რომელიც ძველებურად თავსატეხს გაუჩენს პროკურატურის ან სასამართლო კოლეგიის წარმომადგენლებს. ამასაც დაველოდოთ, თუმცა, ერთი უკვე ნათელია: **განსასჯელებმა აღიარეს, რომ წინასწარ დაგეგმეს და 1998 წლის 9 თებერვალს კიდევაც განახორციელეს თავდასხმა საქართველოს პრეზიდენტზე მისი მოკვლის მიზნით. არადა, ადრე საქართველოს პრეზიდენტსაც და ქვეყნის მთავრობასაც იქით ადანაშაულებდნენ ტერაქტის ინსპირირებაში, სპექტაკლის დადგმაში, საზოგადოებრივი აზრის დამახინჯებაში და კიდევ სხვა ათასგვარ მაქინაციაში.**

ახლა? ახლა ფარდა ყველაფერს თავად ახადეს. 3 იანვარს აღიარებითი განცხადება მოსამართლე იური ტყეშელაშვილს ჩააბარეს, 5 იანვარს კი ახალი სიურპრიზი შემოგვთავაზეს. ამასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ პროცესზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერ პროკურორს ანზორ ხვადაგიანს:

— აქამდე, სასამართლო პროცესზე განსასჯელები იყენებდნენ დუმილის უფლებას. ასეთ დროს, ცხადია, ძნელია სრული ჭეშმარიტების დადგენა. ბრალდების მხარემ უკვე წარადგინა თავისი მტკიცებულებები, სასამართლო პროცესზე დაჰკითხა მოწმეები, გამოაქვეყნა ბრალდების მამტკიცებელი მასალები და უცებ, 5 იანვარს განსასჯელებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ბრალდების ირგვლივ ჩვენებების მისაცემად (დუმილის უფლების უკუსაგდებად). მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს ჩვენებები უნდა ჩაითვალოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებად.

**— ბატონო ანზორ, ამ სასამართლო პროცესზე ბევრი უცნაურობა ხდება. მე პირადად უცნაურობად მეჩვენება განსასჯელთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, 3 იანვრის აღიარებითი განცხადებაც და 5 იანვრის დუმილის უფლების უკუგდებაც, თანაც — ჩვენებების მტკიცებულებებად ჩათვლაც. რა ხდება?**

— რაც ხდება, ამას მომავალი გვიჩვენებს, ჯერ დღევანდელ დღეს მივხედოთ. განსასჯელებს აქვთ დუმილის უფლება. ამ უფლებას იყენებდნენ. ახლა სურთ ჩვენებების მიცემა. ჩვენ ამას მივესალმებით. საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. პირიქით, მომავალი კვირიდან დავიწყებთ მათს დაკითხვას. დაე, სათქმელი თქვან, რათა საზოგადოებამ სიმართლე გაიგოს და დასკვნებიც შესაბამისი გამოიტანოს. ვფიქრობ, პასუხი ყველა კითხვას ამომწურავად, გასაგებად გაეცემა. მერე კი, როცა ყველაფერს მოვრჩებით, ამას პროცესზე ოფიციალურად განვაცხადებთ და „მარათონს" დაცვის მხარეს გადავცემთ.

**როგორც ჩანს, დადგა მომენტი, რომელსაც ასე დიდხანს ელოდა პროკურატურაც, სასამართლო კოლეგიაც და საქართველოს მოსახლეობაც. იმედია, პროცესი ამიერიდან მაინც გაცილებით სწრაფად და ნათლად წარიმართება?**

**ბონდო გულიაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## სულიერება

# საშობაო ეპისტოლე

## სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II

### საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ღვთისმოყვარე ერთგულ შვილს:

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ქართლ-კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, სამაჩაბლოს, დიდაჭარის, აფხაზეთის, მთიანეთის, საინგილოს, გურია-სამეგრელოს, - სრულიად საქართველოს მკვიდრნო, სამშობლოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

"მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ" (1 კორინ. 15, 57).

აღსრულდა დიადი საიდუმლო — უფალი უფლებათა, მომნიჭებელი მშვიდობისა და სათავე სიმართლისა, მეუფე მეუფეთა "გამოჩნდა ხორციით" (1 ტიმ. 3, 16). მადლობას ვსწირავთ მას ჩვენი ხსნისათვის გაღებული უდიდესი მსხვერპლისათვის და იმ მზრუნველობისთვის, რასაც იგი საუკუნეთა მანძილზე იჩენდა და იჩენს ჩვენ ულირსთა მიმართ.

საქართველოს ისტორია სავსეა ღვთის უშურველი წყალობითა და დიდი განსაცდელებით, ჩვენს საწვრთნელად და გამოსასწორებლად რომ უშვებდა უფალი ჟამითი ჟამად.

დიდება და მადლობა მას ყველაფრისათვის.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი წყობა ორი საფუძვლიდან ერთ-ერთს ეყრდნობა — ღვთის განგებულებას ან ხალხის სურვილს.

შუა საუკუნეების ევროპამ უარყო რა ტრადიციული წესები, ხალხის ნება წამოწია წინ და წამოაყენა ლოზუნგი — ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ერთი შეხედვით ეს მშვენიერი მოწოდება მალე ცარიელ ფრაზად იქცა, რადგან არ იყო გათვალისწინებული რეალობა იმისა, რომ სინამდვილეში ადამიანები არ არიან თანასწორნი და არც თვისებებიც ერთნი; ამიტომაც ჩვენთვის დამახასიათებელ თვისებებზე დაყრდნობით სიმართლის და სამართლიანობის მიღწევის მცდელობა მცდარია.

როდესაც დასავლეთში სოციალური რევოლუცია საბოლოოდ გაიმარჯვებს, — წერდა ჯერ კიდევ XIXს-ში ცნობილი ფილოსოფოსი ვ. სოლოვიოვი, — დაინახავენ, რომ სინამდვილეში ამ გამარჯვებას ნაყოფი არა აქვს, რომ შეუძლებელია მიწიერ ყოფაზე დაფუძნებული, ურთიერთთანხმობაში მყოფი საზოგადოებრივი წყობის აშენება; დაინახავენ, რომ სწორედ ადამიანის ნების დამკვიდრების სურვილი არის სათავე დიდი განსაცდელისა და პესიმიზმით შეპყრობილი საზოგადოება მოემზადება მიიღოს ჭეშმარიტი რელიგია. ეს იქნება გარდამავალი ეტაპი რელიგიური წარსულიდან რელიგიური მომავლისაკენ.

ოდენ ჭეშმარიტ რელიგიას აქვს უნარი განაახლოს ჩვენი სულიერი სამყარო, რადგან მხოლო მასში არის შესაძლებელი ადამიანთა ნებაყოფილობითი დაქვემდებარება ზნეობრივი საწყისისადმი, რომელთან მიმართებაშიც ყველა თანასწორია (ტომი III,გვ. 14).

აქ იერარქია თუმცა მკვეთრადაა დაცული, მაგრამ მოქმედებს უმაღლესი პრინციპი: "ვისაც უნდა პირველყოფა, იყოს იგი ყველას მსახურ" (მარკ. 10, 44); იმიტომაცაა ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება მომნიჭებელი ნამდვილი თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობისა, რომ იგი თვითდამკვიდრების უარყოფის პრინციპს ეფუძნება: "რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი მოყვასისათვის, მან პოვოს იგი". - ბრძანებს მაცხოვარი.

ძველ აღთქმაში სამოთხე იყო ღვთისგან ადამიანისთვის ბოძებული შეუფასებელი სიმდიდრე, რომელშიც იგი ღვთის მოწყალებით ცხოვრობდა. მაგრამ ადამიანმა ვერ შეიმნოვა ეს საოცარი საჩუქარი და იგი თავისი ყოფის აუცილებლობად და უფლებად მიიჩნია, რის გამოც ამპარტავნებით შეპყრობილი მწარედ დაისაჯა. გაძევებული ადამიანის ცხოვრება იმდენად დასცილდა თავის პირველ მდგომარეობას, რომ სამოთხისეულ ყოფასთან შედარებით მისი მდგომარეობა სრულიად მიუღებელი გახდა; ამიტომაც კაცთათვის გაქრა და დაიფარა ედემი და იგი ზეცაში იქნა გადატანილი. ადამიანის სამყოფელად კი იქცა მიწა, სადაც ბუნებაცა და ცხოველებიც პირველქმნილი ცოდვის ბეჭდით დაიდაღნენ.

სამოთხე დაიკარგა და ძველი სახით მისი დაბრუნება შეუძლებელი გახდა. მიწიერმა ედემმა ადამიანის სულში გადაინაცვლა და ზეციური სამშობლოს ანარეკლად იქცა. ამიტომაც უგუნურებაა საზოგადოების ნაწილის დაუსრულებელი მცდელობა, ხელოვნურად შექმნან სამოთხე დედამიწაზე. რამდენი რევოლუცია ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, მაგრამ ყოველი მათგანი წარუმატებელი იყო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ადამიანის ბუნების დაცემამ ისეთი მასშტაბური სახე მიიღო, მიწიერ სამოთხეზე ფიქრიც კი დაუშვებელი ცოდვაა და თუ მსგავსი მსჯელობა მაინც სადმე თავს იჩენს, ის აუცილებლად გულისხმობს "სამოთხეს", ოღონდ ულმერთოდ.



ნამდვილი სამოთხის კარი კი, არა თვითდამკვიდრების მოსურნე ადამიანის მცდელობით განგველო, არამედ ამქვეყნად ჩვენი ხსნისთვის განხორციელებული ღმერთის, იესო ქრისტეს, თავგანწირული სიყვარულის წყალობით.

შობა ქრისტესი არის უმთავრესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიისა. პატარა ქალაქი ბეთლემი იქცა არა მარტო ქრისტიანთა, არამედ მთელი სამყაროს ცენტრად. აქ საფუძველი ჩაეყარა ახალ ედემს, ზეციურ სამოთხეს დედამიწაზე, რომლის პატრონიც არის არა ადამი — პიროვნება, არამედ ახალი ადამი — ღმერთკაცი იესო ქრისტე.

ახლადშობილი მარადიული ყრმის დაბადებით ღმერთმა კვლავ დაიწყო ცხოვრება კაცთა შორის. ბეთლემში შეერთდა ცა და დედამიწა, მოხდა შერიგება შემოქმედთან და ამის წყალობით ერთი შეხედვით ღვთისგან მიტოვებულ და დაბინძურებულ ჩვენს ხორციელ სამოსში ნათლისღებით განახლებულმა სიცოცხლემ იფეთქა; ამ სასწაულს მეორედ შობა, ანუ ჩვენს სულში ქრისტეს დაბადება ჰქვია.

უნებურად გვახსენდება ამ საოცარ ადგილთან დაკავშირებული ბიბლიური მოვლენები: ბეთლემთან ახლოს არის საფლავი ძველი აღთქმის დიდი მამის, იაკობის საყვარელი მეუღლის, რაქელისა; აქვეა რამას ნანგრევები; ადგილი, სადაც სრულიად უდანაშაულო 14000 ყრმის სისხლი დაიღვარა. აი, ის მინდვრებიც, სიკეთით სავსე რუთი თავის დედამთილთან ერთად ხორბლის ნარჩენებით თავს რომ ირჩენდა და სადაც შემდეგ მისი შვილთაშვილი, - ყმაწვილი დავითი, ყრმობის წლებს ატარებდა.

ბეთლემის მთები, გამოქვაბულები და ხეობები დავითის სულით არის გაჯერებული. აქ გალობდა თავის საოცარ ფსალმუნებს, აქ უვლიდა ცხვრის ფარას, აქ მოიძია იგი წინასწარმეტყველმა სამუელმა და სცხო მირონი მეფობისა. ამიტომაც ეწოდა ამ ადგილს დავითის ქალაქი.

აქვე აღმოსავლეთით მდებარეობს ის ველი, ის ადგილი, სადაც გაიგონეს მწყემსებმა ანგელოზთა საოცარი საგალობელი: "დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება".

დიახ, ბეთლემში, დავითის ქალაქში, იშვა მესია, მხსნელი სოფლისა და აღსრულდა ძველი აღთქმის უმთავრესი წინასწარმეტყველება. მაშინ იუდეველთა სამეფოს უცხო ტომის წარმომადგენელი, კეისრის ერთგული მსახური და ამასთან მრისხანე ტირანი, ჰეროდე მართავდა; ქვეყანაში ზნეობა მეტად დაცემული იყო; ცოლ-ქმრული ურთიერთობა — დარღვეული და შებილწული; შვილებისადმი მშობლების დამოკიდებულება — გულგრილი და ხშირად დანაშაულებრივი; ღარიბების ყოფა — ცხოველებისაზე უარესი; იმპერატორი კი განდიდებული - ვითარცა ღმერთი.

მიუხედავად საერთო სავალალო მდგომარეობისა, ისრაელში სიწმიდით გამორჩეული მორწმუნენიც იყვნენ. სწორედ მათ შორის გამოარჩია შემოქმედმა ის პიროვნებანი, რომელნიც მსოფლიოს გარდაქმნის თანამონაწილეედ იქცნენ.

თავდაპირველად ღვთის საიდუმლო ორ ოჯახში განცხადდა. ამ უდიდესი წყალობის ღირსნი გახდნენ ლევიტელთა შთამომავალნი - ელისაბედი და ზაქარია, — იოანე ნათლისმცემლის მშობლები და დავითის შთამომავალნი, ნაზარეთის მკვიდრნი, მარიამი და მისი დამწინდველი მართალი იოსები.

ცოლ-ქმრის ურთიერთობა, ოჯახის რაობა, მაცხოვრის მოვლინებამ სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა. ამიტომაც ამ ეპისტოლეში განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნულ საკითხს მინდა მივაქციო. ოჯახის იდეალად იესო ქრისტემ დასახა მისი და ეკლესიის დამოკიდებულება: "როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს ყველაფერში. ვინაიდან ქმარია ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა.

ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, ისევე როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და მისცა თავი თვისი მისთვის" (ეფეს. 5, 23-25).

სახარებიდან ნათლად ჩანს, რომ ადამიანთა შორის არცერთ ურთიერთობას არა აქვს ისეთი მაღალი დანიშნულება, როგორც ცოლ-ქმრის ურთიერთობას, რომელთა წმიდა კავშირიც უფლისაგან განუყოფელი თანაცხოვრებ-ისთვისაა დალოცვილი.

ქალზე დიდად არის დამოკიდებული, თუ რამდენად იღბლიანი იქნება ქორწინება. ამიტომაც თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვის ირჩევს ადამიანი ცხოვრების თანამგზავრად. ასევე გასათვალისწინებელია ის წინაპირობანი, რაც განსაზღვრავს ამ კავშირს. თუ ოჯახის შექმნას მხოლოდ ხორციელი ვნება ან ანგარება განსაზღვრავს, იგი ფაქტიურად თავიდანვე განწირულია დარღვევისათვის, რადგან მიწიერ, წარმავალ ღირებულებებზეა დაფუძნებული.

გარეგნულმა სილამაზემ, — წერს წმ. იოანე ოქროპირი, — მიჩვევა იცის და დროთა განმავლობაში მის მიმართ ინტერესი იკარგება, ხოლო მშვენიერება სულისა პიროვნებას ყოველდღიურად განმაახლებელ ძალას ანიჭებს და მიმზიდველს ხდის მასთან ურთიერთობას. ამ სილამაზეს ვერც სიბერე, ვერც ავადმყოფობა ვერ წაშლის;

ღვთისმოშიშება, თავმდაბლობა, სიბრძნე, კეთილზნეობა,...— ის თვისებებია, რომელიც კარგი ოჯახის არსებობისთვის აუცილებელ საფუძველს ქმნის. გავიხსენოთ ნეტარი ავგუსტინეს დედა, რომელსაც არ უჭირდა უხასიათო მეუღლესთან საერთო ენის გამონახვა და ამიტომაც მასთან ხშირად მიდიოდნენ მეზობელი ქალები, რათა ესწავლათ, როგორ ახერხებდა იგი ქმართან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას.

— როცა მეუღლე უხასიათოდაა, ცუდ განწყობილებაზეა, გაღიზიანებულია და რაიმეს არასწორად ამბობს, — არიგებდა იგი ახლობლებს, — არ ვეკამათები, არამედ მოთმინებით ვლოცულობ, რომ ღმერთმა მოხედოს და სიმშვიდემ დაისადგუროს მის გულში. მართლაც, მალე ყველაფერი წყნარდება და პრობლემები იხსნება. ეს რჩევა ყველა დროში და ყველა სიტუაციაში შედეგის მომტანია.

ასევე აუცილებელია, რომ ქორწინება ეკლესიის (ანუ ღმერთის) მიერ იყოს ნაკურთხი, თუ ესეც არ არის საკმარისი. საჭიროა შემდგომში მეუღლეებმა თავისი ცხოვრება ისე წარმართონ, რომ ღვთის მადლი არ განეშოროთ და მათი კავშირი ურთიერთ სიხარულის მომტანის ნაცვლად ათას უბედურებათა წყაროდ არ იქცეს.

მეფე და დედოფალი, — ასე უწოდებენ ჯვარდაწერილთ. ეს არ არის ახლად შეუღლებულთათვის ერთი-ორი დღის ვადით მინიჭებული სახელწოდება. საერთოდ, ოჯახში მამა უნდა მეფობდეს და დედა — დედოფლობდეს.

ის, რომ მამა აღიარებულია ოჯახის თავად და ავტორიტეტად, აიძულებს მას ყოველი ნაბიჯი მოზომოს, რათა შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა და შვილებისა და მეუღლის წინაშე არ დამცირდეს. ამასთან უპირატესობა ავალდებულებს, განსაკუთრებულად იზრუნოს როგორც მეუღლეზე, ისე შვილებზე და საჭიროების შემთხვევაში მათ დასაცავად სიცოცხლეც არ დაიშუროს.

(იხ. მე-4 გვ.)

იხ. მე-4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 5. კვირა. 7 იანვარი. 2001 წელი.

## სულიერება

# საშობაო ეპისტოლე

### სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II

### საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ღვთისმოყვარე ერთგულ შვილს:

(მესამე გვერდიდან)

რაც შეეხება უშუალოდ ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს, აქ მეუღლეთა შორის თანასწორობაა. ქმარი არ არის პატრონი თავისი სხეულისა, არამედ ცოლი; და ასევე, ცოლიც არ არის განმგებელი თავისი სხეულისა, არამედ ქმარი. ქმარს არა აქვს უფლება განეშოროს ცოლს მისი დასტურის გარეშე და ასევე ცოლს — ქმრის უნებართვოდ. შევნიშნავთ იმასაც, რომ დღეს, ზოგიერთი ფილმისა და ჟურნალ-გაზეთის გავლენით, ოჯახური ურთიერთობის სიწმინდე მეუღლეთა შორის დარღვეულია. არადა, გაუკუღმართებული დამოკიდებულებანი მოქმედებს ფსიქიკაზე, არღვევს ჭეშმარიტ სიყვარულს და აუცილებლად იწვევს დიდ გართულებებს ცოლ-ქმარს შორის, რადგან ღმერთი სჯის ადამიანებს ამ ყველაზე სათუთი და მაღალი გრძნობების შელახვისა და დაბინძურებისათვის.

ღმერთი ასევე პასუხს მოსთხოვს მეუღლეთ ღალატისათვის. იგი მეორე ნახევრის მიმართ ჩადენილ ისეთ დიდ ცოდვადაა მიჩნეული, რომ წმ. წერილი, რომელიც თვით ყოვლად უხასიათო, შურიან, ანჩხლ, ლოთ მეუღლესთან შესაძლებლობისამებრ მშვიდობიან თანაცხოვრებას ურჩევს ადამიანებს, ასეთ შემთხვევაში განქორწინების ნებას იძლევა.

ოჯახში ნორმალური ცხოვრების დამკვიდრებისთვის აუცილებელია უფროსის პატივისცემა, იერარქიის დაცვა, მოთმინების უნარი. ასევე უდიდესი სათნოებაა თავდადება. ღირსეული მეუღლენი ერთმანეთისა და შვილებისადმი სწორედ მსხვერპლშეწირული სიყვარულით ცხოვრობენ, რაც მოყვასისადმიც მათ ქრისტიანულ დამოკიდებულებას განაპირობებს.

ოჯახში დიდი პრობლემები იქმნება, თუ მისი რომელიმე წევრი ლოთობს ან ნარკომანია. იგი, ერთი მხრივ, სასიკვდილო განაჩენს უმზადებს თავის სულს, მეორე მხრივ, გამოუსწორებელ დაღს ასვამს გარშემომყოფთა (განსაკუთრებით კი ბავშვების) შინაგან სამყაროს. მართალია, ძნელია ამ სენისაგან განთავისუფლება, მაგრამ ღვთის წყალობით მიუღწეველი არაფერია; თუ ოჯახის სხვა წევრები შეძლებენ ცხოვრების სწორი წესის შენარჩუნებას და ურთიერთ სიმძიმის ტვირთვას, ბოროტის გავლენისაგან სულის დახსნა გაადვილდება.

ნარკომანიაც და ლოთობაც დღეს ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილისათვის დამახასიათებელ საშინელ რეალობად იქცა. ამას სხვადასხვა გარემოებანი უწყობენ ხელს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი უსაქმურობაა; არადა არ შეიძლება, რომ ადამიანმა არ იშრომოს. ისეთი ცნობილი მამებიც კი, რომელნიც ათეულ წლობით განდგომილ ცხოვრებას ეწეოდნენ და პურითა და წყლით საზრდოობდნენ, შრომას თავისი ყოფის აუცილებელ პირობად თვლიდნენ და სხვათაც ურჩევდნენ, რაიმე ხელობას დაუფლებოდნენ, რომ ლოცვა და შრომა ყოველდღიურ წესად ექციათ.

სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილში დაკარგულია განცდა იმისა, რომ უშრომლად ნაშოვნი ლუკმა საწამლავია. რომ ის, რაც ჩვენი ოფლით არ არის მოპოვებული, არ გვეკუთვნის და ეშმაკის მიერ შემოთავაზებული თვალისმომჭრელი საცდურია. ასეთი შხამით ნასაზრდოები ცალკეული ადამიანი თუ საზოგადოდ ოჯახი, ბედნიერი ვერასოდეს იქნება.

ოჯახური ცხოვრება მეტად რთულია და მის კეთილდღეობას მრავალი სხვა პირობა განსაზღვრავს. დღეს, როდესაც სამსახურებრივი დატვირთვის გამო მამის მსგავსად დედაც გასულია სახლიდან, ბავშვების აღზრდაში ძალიან დიდ ადგილს იკავებს სკოლა. სკოლა და მისი გარემო მოზარდისთვის მეორე ოჯახია, სადაც, ერთი მხრივ, ხდება განმტკიცება შინ ნასწავლი ჩვევებისა და, მეორე მხრივ, გადაფასება იქ შეძენილი ცოდნისა. ამასთან სკოლა ის ადგილია, სადაც მოზარდში ყალიბდება მოყვასისადმი დამოკიდებულების ძირითადი ფორმები.

„შეიყვარე ღმერთი ყოვლითა გულითა, გონებითა და ყოვლითა სულითა შენითა, შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი“, — ბრძანებს უფალი. აი, ამ ორ მცნებაზეა დაფუძნებული ქრისტიანული ზნეობისა და აზროვნების მთავარი არსი. ამიტომაც ძალიან დიდია პასუხისმგებლობა პედაგოგებისა, რადგან მათ წინაშე და მათი ზედამხედველობით ათასობით ბავშვის — საქართველოს მომავლის შინაგანი სამყარო ყალიბდება. ჩვენს სკოლებსა და სასწავლებლებში კი არ ასწავლიან, მაგალითად, მოზარდები სხვა და სხვა სიტუაციაში როგორ უნდა მოექცნენ მშობლებს, და-ძმებს, მეგობრებს; რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ მათ ავადმყოფთა, მოხუცთა, უცხოთა, თვისტომთა, საკუთარი მტრების თუ სხვათა მიმართ ავისმქმნელთათვის; არ ასწავლიან იმას, თუ რა არის სინამდვილეში ბოროტება, რა - სიკეთე. რისთვის არის ადამიანი ამქვეყნად გაჩენილი, რა უნდა იყოს მისი ცხოვრების მიზანი და რატომ?

არადა ამ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა ხშირად პედაგოგებსაც არ შეუძლიათ, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ისინი ათეისტური ყოფის პირობებში გაიზარდნენ. ამიტომაც დღეს განსაკუთრებით დიდია როლი ეკლესიისა და მოძღვრისა; როგორც ცალკეულ ოჯახს, ისე სკოლას თავისი მოძღვარი უნდა ჰყავდეს, რათა მისი დახმარებით, სულიერი საუბრებით, ლოცვით, აღსარებითა და ზიარებით ყოველმა ადამიანმა თავისი ცხოვრებით შექმნას ჯვარი, რომლის ვერტიკალი დაუსრულებლად ღვთისაკენ მიემართება, ჰორიზონტალური ხაზი კი — შორს მოყვასისაკენ.

ბოლოს თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო კაცობრიობის, ალბათ, ყველაზე დიდ ცოდვაზე — აბორტზე.

ბავშვები ხელს შეგვიშლიან, არა გვაქვს საშუალება მათი რჩენისა, ზედმეტი პრობლემები შემექმნება, მინდა ცხოვრებისაგან მეტი სიამოვნება მივიღო. — აი მიზეზები, რომლებიც განაპირობებს აბორტის გაკეთებას. მაგრამ სიამოვნების ნაცვლად ამ ცოდვის ჩამდენ მეუღლეთა ცხოვრება თანდათან წამებად იქცევა: შვილები მშობლებს აღარ ემორჩილებიან, ბავშვები ავადმყოფები ჩნდებიან, თვითონ დედ-მამას კი სხვა და სხვა დაავადება ახსენებს თავს, გულგრილი ხდება მათი ურთიერთობაც და ღალატი ცხოვრების წესად ექცევათ. ან კი როგორ შეიძლება მშვიდობა და კეთილდღეობა იქნას მოპოვებული ასეთი საშინელი ცოდვის საფასურად.

ხშირად აბორტს უმნიშვნელო დანაშაულად თვლიან იმის გამო, რომ ამის მოქმედნი მრავლად არიან და მიმბაძველობა დამნაშავეთ პასუხისმგებლობისაგან თითქოს ათავისუფლებს; მიაჩნიათ ისიც, რომ, რაკი ბავშვი ჯერ ისევ დედის მუცელშია და არ დაბადებულა, ადამიანის გრძნობა და თვისებები არა აქვს. ამასთან იგი აღიქმება, როგორც დედის სხეულის რაღაც მცირე ნაწილი, რომელსაც მშობელი სურვილისამებრ შეიძლება თავისუფლად მოექცეს. ასეთი ფიქრი უდიდესი შეცდომაა.

ეკლესიის მიერ იმთავითვე აღიარებული ფაქტია და თანამედროვე მედიცინაც მეცნიერულად ამტკიცებს იმას, რომ ადამიანი ჩასახვისთანავე იწყებს დამოუკიდებელ არსებობას და იგი ამ მომენტიდან უკვე პიროვნებაა. აღარაფერს ვამბობთ 7, 10, 12 კვირის ნაყოფზე, რომლის ქმედებანიც ადამიანური ჩვევების აშკარა გამოვლინებებით ხასიათდება. ამიტომაც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს სამი თვის (უფრო მეტის, თუ უფრო ნაკლების) მუცელში მყოფ ყრმას მოკლავს დედა, თუ უკვე გაჩენილ სამი თვის (გინდაც 10, 20, 30 წლის) შვილს. რატომ არის ნებადართულად და ჩვეულებრივ მოვლენად მიღებული პირველი ფაქტი, მერე კი დიდ დანაშაულად მიჩნეული და საერო სამართლის სასჯელს დაქვემდებარებული, — ეს ხომ ანომალიაა?

ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა თანამედროვე ამერიკელი მეცნიერის ბერნარდ ნათანსონის მიერ გადაღებული ფილმის („უხმო ყვირილი“) საშუალებით ჩვენი თვალით დაგვენახა და გვეგრძნო ის შემაძრწუნებელი შიში და ტკივილი, რასაც სიკვდილის მოლოდინში მუცელში მყოფი ყოვლად უმწეო ნაყოფი განიცდის. რა შეედრება იმ ცოდვის სიმძიმეს, როცა ესა თუ ის პიროვნება საკუთარი შვილის უმოწყალო მკვლელი ხდება; აბორტის გამო პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც დედას, ისე მამას (თუ ეს მისი თანხმობითაც მოხდა). ჩვენი საზოგადოება სავსეა შვილისმკვლელი მშობლებით და ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ მათ ამ ცოდვის შესატყვისი განცდა არა აქვთ.

დღეს ჩვენი ქვეყანა მრავალი პრობლემის წინაშე დგას, გადაუჭრელი და გამოსასწორებელი ბევრი საკითხია, რომელიც საზოგადოებისგან სწრაფ რეაგირებას ითხოვს, მაგრამ არაფერს არ ექნება აზრი, თუ ჩვენ ამ საშინელი სენისაგან არ განვთავისუფლდებით; თუ ჩვენს მომავალზე სერიოზულად ვიზრუნებთ, უნდა, უპირველეს ყოვლისა, დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა თვისების მატარებელი იქნება ის თაობა, რომლის დედაც, მამაც, ბებიაც, დეიდაც და, საერთოდ გარშემო მყოფთა წრე, უსასტიკესი მკვლელობის ჩამდენია. ეს ცოდვა ბუმერანგივით მოუბრუნდება ყველას.

მე მჯერა, რომ სინდისის ხმა გაიღვიძებს თქვენში. არ არსებობს დედა, რომელიც ქვეცნობიერად მაინც არ გრძნობდეს ჩადენილი ცოდვის სიმძიმეს და მწუხარება და სირცხვილი არ აშფოთებდეს მის სულს.

ჩვენო დედებო, ჩვენო მშობლებო, ჩვენო საყვარელო სულიერო შვილებო, ნუ დაიდებთ შვილის მკვლელობის უსაშინლეს დანაშაულს; ნიშნად იმისა, რომ ჩვენი ერი ნელა, მაგრამ მაინც უბრუნდება ჭეშმარიტების გზას, ნიშნად ახლადშობილი მაცხოვრისადმი ჩვენი გულწრფელი სიყვარულისა, დადეთ პირობა, რომ აღარ დაუშვებთ თქვენს წიაღს შეფარებული, თქვენს იმედად მყოფი, თქვენდამი საოცარი სიყვარულით გამსჭვალული თქვენი ნაშიერის უმოწყალო მკვლელობას.

მინდა ერთი იგავი გავიხსენო: მდიდარი გავლენიანი კაცი თავის სახლში სარკმელთან ახლოს იჯდა, როცა გაიგონა ჭიშკართან მდგომი ბერის სიტყვები, ყარაულს რომ ეუბნებოდა, შემიშვი ამ სასტუმროში, ცოტა ხანს მინდა აქ გავჩერდეო. ის კი ეწინააღმდეგებოდა და პასუხობდა, რომ ეს სახლი არის კერძო ბინა და არა სასტუმრო. მდიდარი კაცი შემდეგ თვითონ გამოვიდა ბერთან და თავისი მსახურის სიტყვები დაადასტურა.

ბერმა მას ჰკითხა, თუ ვისი აშენებული იყო ეს შენობა?

— პაპაჩემის, — იყო პასუხი.

— მის შემდეგ ვინ ცხოვრობდა აქ?

— მამაჩემი და მისი ოჯახი. ახლა კი მე ვარ.

— და შენს შემდეგ ვინ უპატრონებს აქაურობას?

— ჩემი შვილი.

ჩემო ბატონო, განა ეს სახლი არ არის სასტუმრო, რომელშიც უკვე თურმე ამდენმა ხალხმა იცხოვრა?

მდიდარი მიხვდა ბერის ნათქვამის სიღრმეს, შინ მიიპატიჟა იგი და გულითადად უმასპინძლა.

მართლაც, ჩვენი მიწიერი ყოფა მგზავრობას ჰგავს. და ამიტომაც ვისაც არ ახსოვს, რომ იგი სტუმარია წუთისოფლისა და დღეს თუ ხვალ მარადიულ ცხოვრებას უნდა ეზიაროს, გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს; ხოლო ვისაც შესწევს ძალა მოსწყვიტოს თვალი მიწიერ საცდურთ და იგი ზეცას მიაპყროს, იგრძნობს, რომ „ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის მიმართ, არამედ... ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ“. მაშ ავიღოთ ფარი რწმენისა, რომლითაც შევძლებთ ბოროტის გავარვარებული ისრების მოგერიებას, ავიღოთ ჩაჩქანი ხსნისა და მახვილი სულისა — სიტყვა ღვთისა (ეფეს. 6, 12).

ამქვეყნად ჩვენი მგზავრობის პერიოდში დასრულდა ქრისტიანული მსოფლიოს 2000-წლოვანი ისტორია. იწყება დროის ათვლა მესამე ათასწლეულისა. დაე, ჭეშმარიტი სარწმუნოების, უფლისმიერი მშვიდობის, ღმერთთან შერიგებისა და ერთობის, სულიერი სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს იგი თითოეული თქვენგანისათვის, ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის.

მწამს, რომ თუ 2000 წლის წინ ცოდვით დაცემულ ისრაიტელთა შორის აღმობრწყინდა ისეთი თვალშეუდგამი სიწმიდე, რომელმაც თავის წიაღში დაიტია უფალი ჩვენი იესო ქრისტე, გარდამქმნელი კაცობრიობის ცხოვრებისა, ჩვენს ერშიც (რომლის უმთავრესი თვისება მოსიყვარულე გულია), არ დაილევა კეთილგონიერ ადამიანთა და გამორჩეულ სასულიერო პირთა, ღვთისსათნო ოჯახთა სიმრავლე და მათი პირადი მაგალითითა და ლოცვით, თითოეული ჩვენგანის ზრუნვით, გადარჩება და გაბრწყინდება სრულიად საქართველო.

გაიხარეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი“.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი.

**ილია II**
**სრულიად საქართველოს**
**კათალიკოს-პატრიარქი.**

*შობა ქრისტესი*
*თბილისი 2000/2001.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მაცხოვარი ებრაელთა ერში განკაცდა, რადგან ღმერთი თავის რჩეულ ერს ამისთვის განსაკუთრებით ამზადებდა. მისგან უნდა გამოსულიყო მესია. აღთქმა ამისა მრავალგზის განუმეორა ღმერთმა ებრაელებს. ქალწულისაგან შობილი ქრისტე აბრაამისა და დავითის შთამომავალი უნდა ყოფილიყო. მას უნდა მიეცა ყველა ერისთვის კურთხევა ღმრთისა და საუკუნოდ ემეუფა.

და აი, აღსრულდა საუკუნეთა მანძილზე თქმული წინასწარმეტყველებანი: უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მაცხოვარი ქვეყნისა იშვა ყოვლად უბიწო ქალწული მარიამისაგან:. იუდეის ბეთლემში რომის იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიუსის დროს. ამ იმპერატორის გამგებლობის ჟამს გამოვიდა ბრძანება: საყოველთაო აღწერა ჩაეტარებინათ მთელს რომის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაშიც მაშინ ერთ-ერთ პროვინციად პალესტინაც შედიოდა.

ებრაელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავიანთ გენეალოგიას და ცოდნას მასზე თაობიდან თაობას გადასცემდნენ. ამიტომ ავგუსტუსის ბრძანების გამოსვლის შემდეგ, ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი და მართალი იოსები, როგორც შთამომავალნი დავით მეფისა იუდეის ქალაქ ბეთლემში, დავითის ქალაქში ჩამოვიდნენ, რათა სწორედ აქ ჩაწერილიყვნენ კეისრის ქვეშევრდომთა სიებში.

ქვეყნის აღწერის ჟამს, მარიამი მიდგომილ იყო, რამაც რამდენიმე თვის წინ იოსებში შეშფოთება გამოიწვია. მარიამს, იოსებზე დანიშვნის შემდეგ, ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ, აღმოჩნდა, რომ მუცლად ელო სულისაგან წმიდისა. ხოლო მისი ქმარი, იოსები მართალი იყო, არ უნდოდა მისი შერცხვენა და განიზრახა ფარულად გაეშვა იგი. ეს რომ დააპირა, აჰა, ანგელოზი უფლისა ეჩვენა სიზმრად და უთხრა: იოსებ, დავითის ძეო, ნუ შიშობ, მოიყვანე მარიამი, ცოლი შენი, რადგან ვინც მასში ჩასახულია, სული წმიდისაგან არის. და შობს ძეს და უწოდე სახელად იესო, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვისაგან. ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს უფლის ნათქვამი წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: აი, ქალწული მუცლად იღებს და შობს ძეს, და უწოდებენ მას სახელად ემმანუელს, რაც თარგმანით ნიშნავს: ჩვენთან არის ღმერთი, იოსებმა რომ გამოიღვიძა, ისე მოიქცა, როგორც უფლის ანგელოზმა უბრძანა და მიიღო თავისი ცოლი. არ გაჰკარებია მას. ვიდრე არ შვა ძე თვისი პირმშო და უწოდა სახელი იესო (მათე, 1, 18-25).

მართალია, იოსებიც და მარიამიც ებრაელთა ყველაზე სახელოვანი მეფის შთამომავლები იყვნენ, მაგრამ ქონებრივად ღარიბთა წრეს მიეკუთვნებოდნენ. იოსები დურგალი იყო, მარიამი კი ხელსაქმითა და ოჯახში საქმიანობით ეხმარებოდა მას.

იუდეას, დავითის ქალაქ ბეთლემში, გალილეის ნაზარეთიდან ჩამოსული წმიდანებისათვის არც ერთ სასტუმრო სახლში არ აღმოჩნდა ადგილი, რის გამოც დაღლილ-დაქანცულნი იძულებულნი გახდნენ ქალაქის გარეთ მდებარე ერთ-ერთი გამოქვაბულისათვის შეეფარებინათ თავი, რომელსაც საქონლის სადგომად იყენებდნენ მწყემსები.

სწორედ აქ, შორს სახლიდან, შინაურ პირუტყვებსა და უცხო ადამიანებს შორის, ზამთრის ცივ ღამეს, ყოვლად მოუწყობელ გარემოში იშვა კიდეც ღმერთკაცი, მაცხოვარი ქვეყნისა იესო ქრისტე. ყოვლაწმიდა ქალწულმა უმტკივნეულოდ შვა ღმრთაებრივი ყრმა, სხვათა დახმარების გარეშე, სრულიად მარტომ „შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და შეახვია იგი სახვეველითა და მიაწვინა ბაგასა, რამეთუ არ იყო მათდა ადგილ სავანესა მას“ (ლუკა 2, 7). შუაღამის სრულ მდუმარებაში, როცა ცოდვილ ადამიანებს ღრმა ძილით ეძინათ, ქვეყნის მხსნელის დაბადება ბეთლემელ მწყემსებს ღვთის ანგელოზმა აუწყა: „ნუ გეშინიათ, რამეთუ გახარებთ ყველა ერისთვის დიდ სიხარულს, რამეთუ დავითის ქალაქს დღეს იშვა თქვენი მაცხოვარი, ქრისტე უფალი და აი, ნიშანი: იმ ყრმას ჰპოვებთ შეხვეულის ბაგაზე მწოლარეს“ (ლუკა 2, 10-12). ეს მდაბალი მწყემსები კაცთაგან პირველი გახდნენ ღირსნი თაყვანი ეცათ იმისათვის, ვინც თავი თავისი დაიმდაბლა და ხატი მონისა შეიმოსა.



თუკი ადამიანთა ერთი ნაწილისათვის მაცხოვრის შობა შეუმჩნეველი დარჩა, ზეციური სამყარო ძე ღმრთის შობამ შეძრა. უეცრად გამოჩენილი ანგელოზთა დიდძალი მხედრობა აქებდა ღმერთს და გალობდა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა, 2, 13-14) უბრალო მწყემსები გაოცებით შესცქეროდნენ ზეციდან გადმოსული მგალობელი ანგელოზების ჯარს და როცა ისინი კვლავ ზეცად ავიდნენ, ერთმანეთს უთხრეს: წავიდეთ ბეთლემს და ვნახოთ რა მოხდა, რაზე გვაუწყა უფალმა. „სწრაფად მივიდნენ და ნახეს მარიამი და იოსები, და ბაგაზე მწოლიარე ყრმა. დანახვისთანავე უამბეს იმის შესახებ, რაც ეთქვათ ამ ყრმაზე. ყველას, ვინც კი უსმენდა, უკვირდა“ (ლუკა 2, 15-18).

გარდა მწყემსებისა, ქრისტეს შობა აღმოსავლელ მოგვებსაც (ვარსკვლავთმრიცხველებს) ეხარათ უჩვეულო კაშკაშა, ახალი ვარსკვლავის გამოცხადებით. აღმოსავლელ ბრძენთა სახით მთელმა წარმართულმა სამყარომ თავისდა შეუცნობლად მუხლი მოიყარა ქვეყნიერების ჭეშმარიტი მხსნელის წინაშე. როცა ეს მოგვენი იმ სამყოფელში შევიდნენ, სადაც ღმრთაებრივი ყრმა იმყოფებოდა, „იხილეს ყმაჲ იგი მარიამის თანა, დედისა თჳსისა და დავარდეს და თაყვანი სცეს მას; და აღაღეს საუნჯეთა მათთა და შეწირეს მისა ძღვენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური“ (მათე 2-11).

აღმოსავლელი მოგვების საშუალებით მაცხოვრის შობის შესახებ მთელმა იერუსალიმმა შეიტყო და მზაკვარ ჰეროდესთან ერთად შეძრწუნდა. ჰეროდე იმიტომ, რომ მზაკვრულად, უკანონოდ მართავდა იუდეას, ხოლო იერუსალიმი იმიტომ, რომ ჰეროდეს სისასტიკე იცოდა და მომავლის შიში ჰქონდა. მართლაც, ჰეროდემ ბეთლემსა და მის შემოგარენში თოთხმეტი ათასი ორ წლამდე ასაკის ბავშვი ამოაწყვეტინა, რათა ღმრთაებრივი ყრმა მოესპო. ამ ფაქტმა მთელ ისრაელს ამცნო ქრისტეს შობა. ჩვილი მაცხოვარი კი ამ დროს ეგვიპტეში იყო, სადაც იოსებმა წაიყვანა ყოვლადწმიდა ქალწულთან ერთად უფლის ანგელოზის მითითებით. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ხორციელად შობის მოსახსენებლად წმიდა ეკლესიის მიერ ძველთაგანვეა დაწესებული დღესასწაული. თავის დასაბამს იგი ჯერ კიდევ უფლის წმიდა მოციქულთა დროიდან იღებს. მოციქულთა ერთ-ერთ პირველ დადგენილებაში ნათქვამია: „დაიმარხეთ, ძმანო, დღენი სასწაულებისანი; მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დღე ქრისტეს შობისა, რომელიც მეათე თვის (მარტიდან) ოცდამეხუთე დღეს აღნიშნეთ ხოლმე“.

თანახმად სახარების ღმრთაებრივი მოწმობისა, ეკლესიის წმიდა მამები თავიანთი ღმრთაებრივი სიბრძნით განმსჭვალულ თხზულებებში ქრისტეს შობის დღესასწაულს, როგორც უდიდეს საყოველთაო და სასიხარულო დღესასწაულს – საფუძველს და დასაბამს ყველა სხვა დღესასწაულისა, ისე წარმოსახავენ.



ალსრულება და კეთილმსახურების ნაყოფის ხილვა უნდა უსურვოს, რაც მრევლის სულიერ ამაღლებას გულისხმობს.

საერო სამსახურში მყოფთ ერთი კარგი და სასარგებლო ჩვეულება აქვთ. ყოველი მოხელე თუ თანამდებობის პირი წინა წელში მისი საქმიანობის ანგარიშს შეადგენს და თავის უფროსს წარუდგენს. სასწავლებლის უფროსი იმის ანგარიშს შეადგენს, რამდენი მოსწავლე სწავლობდა მის სასწავლებელში, როგორ სწავლობდნენ და იქცეოდნენ, სახელმწიფო ხაზინადარი – რამდენი ფული შემოვიდა ხაზინაში და რამდენი გავიდა, გონიერი ვაჭარი – რამდენი მოიგო, ხოლო თუ წააგო, რა მიზეზით წააგო. ამგვარი ანგარიშის შედგენით ადამიანები გამოცდილებას იძენენ და იმასაც იტყობენ, რა შეეწევა მათი საქმის წარმატებას მომავალში და რა დააბრკოლებს.

# გამოკრებილნი სწავლანი

## გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან

**ახალი წელი** – ქრისტიანები ერთმანეთს ახალ წელს ძველთაგანვე ულოცავდნენ და სიკეთესა და წარმატებას უსურვებდნენ. ეს ტრადიცია არც ჩვენ უნდა უარვყოთ, რამდენადაც მასში ურიგო და სჯულის საწინააღმდეგო არაფერია. საქმე ისაა, როგორ დაველოცავთ და რას ვუსურვებთ ერთმანეთს, მხოლოდ მრავალი წლის სიცოცხლეს, ტკბილად დაბერებასა და მატერიალურ კეთილდღეობას, თუ კიდევ სხვა რამეს, უფრო მნიშვნელოვანსა და მთავარს. რა თქმა უნდა, არც ასეთი დალოცვაა ცუდი და ურიგო, მაგრამ სულიერმა მოძღვარმა, პირველ რიგში, ახალ წელს ყველას სულითა და გულით გაუმჯობესება, სულიერების მომატება უნდა უსურვოს, რაც სჯულის არა მხოლოდ გარეგნულ, არამედ სრულყოფილ აღსრულებას ნიშნავს, ასე მაგალითად, წირვა-ლოცვას არა მხოლოდ უნდა ვისმენდეთ, არამედ ეკლესიაში მოსმენილს საქმითაც უნდა აღვასრულებდეთ, შეილებს არა მხოლოდ უნდა ვნათლავდეთ, არამედ ქრისტიანებადაც ვზრდიდეთ, ცოდვას, რომელიც მოვინანიეთ, აღარ უნდა ჩავდიოდეთ და ა. შ. ე. ი. **ქრისტიანები საქმით უნდა ვიყოთ.**

შემდეგ, ახალი წლის დადგომა ჩვენი სიცოცხლის სიმოკლეს შეგვახსენებს, გავიდა ერთი წელი და ყოველი ჩვენგანი კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა სიკვდილს. ამიტომ ერთმანეთს ჩვენი ცხოვრების დარჩენილი დღეების კეთილად მოხმარება უნდა ვუსურვოთ, რათა დრო (ქალებმა ლოტოს, ხოლო კაცებმა ბანქოს თამაშში) უქმად არ დავხარჯოთ. ერთი სიტყვით, ღმერთს უნდა შევთხოვოთ, მისი მადლით შთაგვაგონოს, თუ რაოდენ ძვირფასია ჩვენთვის ყოველი წამი. მასვე უნდა შევევედროთ, რომ **ერთობა და სიყვარული** მოგვანიჭოს, რომელიც **სულიერი წარმატების ნიშანი და ქრისტიანობის გვირგვინია.** თავის მხრივ სამწყსომ მღვდელ-მთავარს ეკლესიის მსახურების კეთილად

სამწუხაროდ, ყველას ავიწყდება უმეტესად სასარგებლო და უსაჭიროესი ანგარიში, სახელდობრ, ანგარიში ქრისტიანული ზნეობითი ცხოვრებისა წარსული წლის განმავლობაში. ქრისტიანმა თავისი სინდისისა და ღმრთის წინაშე აუცილებლად უნდა წარადგინოს ანგარიში იმისა, როგორ გაატარა წინა წელს ცხოვრება – სიწმინდითა და კრძალულებით, თუ დაუანტულად და უზრუნველად, აღრე გაკეთებულ მადლსა და სიკეთეს შემატა რამე თუ ძველ ცოდვებს ახალი ცოდვები დაუმატა, უფრო მიაუახლოვდა ღმერთს თუ უმეტესად დაშორდა. ყველაზე სასარგებლო ასეთი ანგარიშია, რადგან ადამიანის ყოველგვარი საქმიანობის წარმატება მის შინაგან თვისებებსა და მიდრეკილებებზეა დამოკიდებული. თუ კეთილგონიერი ქრისტიანის მსგავსად ჩვენი სულიერი მდგომარეობის გამოკვლევა ყოველ საღამოს არ შეგვიძლია, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა აღვასრულოთ ეს სასარგებლო საქმე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაცი **პირველად ქრისტიანი უნდა იყოს და მერე სამსახურის აღმსრულებელი,** უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ქრისტიანობა და **სამსახურის აღსრულება პიროვნებაში ისე განუყოფლად უნდა იყოს შეერთებული, რომ ერთი მეორეს აშენებდეს.** მოკლედ, ვინც არ უნდა იყოს ადამიანი და რა საქმესაც არ უნდა აღასრულებდეს, ახალი წლის პირველ დღეს ანგარიში უნდა მისცეს თავის თავს, ქრისტიანულად ასრულებდა ამ საქმეს თუ მხოლოდ პირადი სარგებლობისა და ანგარების მიზნით. ქრისტიანს უნდა ახსოვდეს, რომ **ყოველ საქმეს, თვით უმცირესსაც კი ზნეობრივი მხარე აქვს** და თავისი საქმე ისე უნდა წაიყვანოს, კაცთა შორის ღმრთის სასუფევლის გავრცელებას შეუწყოს ხელი (1,9-14).

# ქრისტიანის სამაგიდო წიგნი

საპატრიარქოს გამომცემლობამ (თავმჯდომარე – გვანცა კოპლატაძე, მოადგილე – გრიგოლ რუხაძე) საშობაოდ გამოუშვა საქართველოს ეკლესიის კალენდარი, რომელიც დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით.

გემოვნებით გაფორმებული წიგნის ყდას ამშვენებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობისა და საქართველოს ეკლესიის მეთაურის კათალიკოს-პატრიარქის წოდების აღიარების იმ დამადასტურებელი სიგელების ტექსტები... თალები, რომლებიც გაცემულია მსოფლიოს საპატრიარქოს მიერ.

სათვეო კალენდარს, რომელიც დიაკვანმა თ. ბარაბაძემ შეადგინა, მოსდევს პროფესორ ნოდარ ლომოურის წერილები – „საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება“ და „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია“. ავტორი მეცნიერული კვლევის შედეგად ასაბუთებს ჩვენი ერის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებულ საეკლესიო გადმოცემებს და კიდევ ერთხელ ცხადყოფს მათი ჭეშმარიტების ურყეობას, ამჯერად – მეცნიერული პოზიციებიდან.

ნოდარ ლომოურის წერილებთან ერთად, გამეცნიერებული სარწმუნოებისა და გასარწმუნოებული მეცნიერების საუცხოო მაგალითია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილი სწავლანი, რომელიც გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ შეადგინეს.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც ჰომილეტიკისა და ეგზეგეტიკის შესწავლის მსურველებს, ისე საერთოდ ქრისტიანული ცნობიერებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს, რადგან წმინდა გაბრიელს თვით ყველაზე მნიშვნელოვანი და ღრმა აზრებიც კი საოცრად სადა და ნათელი სტილით აქვს გადმოცემული.

სწავლანს წამძღვარებული აქვს კოპლატაძისეული ცხოვრება წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისა. იგი სრულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ნათელ პიროვნებაზე, რომელიც ქართულმა ეკლესიამ 1995 წელს წმინდანად შერაცხა.

**არჩილ მანჯგალაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ისტორია და მემკვიდრეობა

# როგორ უნდა იწერებოდეს და ისწავლებოდეს ისტორია?

## 1832 წლის შეთქმულება – ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის პირველი ცდა

მას შემდეგ, რაც ამქვეყნად პირველი ფაქტი აღინუსხა, პირველი კაცი, თუ პირველი ხალხი დაფიქსირდა ისტორიაში, ყოველი თაობა რაღაც ახალს უმატებდა წინანდელს, თავისებურად ასხვაფერებდა მას და ბოლოს შეიძლება სულაც აბსურდად აქცევდა ძველი ჩვენი ისტორიკოსების მარად უკვდავ შეგონებას – **„ჟამთაღმწერობა ჭეშმარიტის მეტყველება არს"...**

ახალ საუკუნეს და ახალ ათასწლეულს ქართველობა ბევრ მხრივ სწორედ, ასეთი აბსურდით ვხვდებით: ის, რომ ტოტალური კომუნისტური იდეოლოგიის პირობებში მთელი ეს XX საუკუნე ჩვენი ისტორია უკულმართად იწერებოდა და ისწავლებოდა, არაა გასაკვირი.

ტოტალიტარიზმი და ფუნდამენტალიზმი იმიტომაც არსებობენ ამქვეყნად, რომ ყოველი და ყველაფერი მკაცრ სქემატურ ქარგაში მოაქციონ, ხალხი ერთ რაღაც აკვიატებულ იდეას მიაჩვიონ, მისგან გამომდინარე ისეთ უალტერნატივო ჭეშმარიტებას დაუმონონ და დაუმორჩილონ, რომლის მიმართ კამათი და ეჭვის შეტანა მკრეხელობად ითვლება.

**მაგრამ გონება ისეთი რამ გახლავთ, შემოქმედმა თავიდანვე ისე მომართა, რომ ამ ეჭვისა და კამათის გარეშე არსებობა არ შეუძლია: ჰეგელისა არ იყოს, დაპირისპირების, ალტერნატივის, თუ ოპონენტობის გარეშე პიროვნებაც, საზოგადოებაც და სახელმწიფოც განწირულია – „თანდათანობითი, მაგრამ უეჭველი კვდომისათვის".**

არ ვიცი რისთვისა ვართ განწირული ქართველთა დღევანდელი თაობები, მაგრამ ტოტალიტარიზმისა და ფუნდამენტალიზმის ეს ძველი სენი რომ კვლავ ძვალ-რბილში გვაქვს მკვიდრად გამჯდარი, ეს უეჭველია. „რძისგან შეშინებული, დოს უბერავდაო", – ისე ვართ დაშინებული ტოტალიტარიზმის ძველი იდეოლოგიური მარწუხებისაგან, რომ ჩვენი გონება დღეს უკეთეს ვერაფერს პოულობს მისგან თავდახსნისათვის, გარდა **„იდეოლოგიის აკრძალვისა(!)** და მის სანაცვლოდ რაღაც **„ახალი"** ცნებების გამოგონებაზე ცოდვილობს, ნაცვლად ნამდვილი იდეოლოგიური პლურალიზმისა და იდეათა თანაარსებობისა, ალტერნატიული და ოპოზიციური შეხედულებების დამკვიდრება-დაკანონებისა პიროვნულ, საზოგადოებრივ, თუ სახელმწიფო ცხოვრებასა და მართვა-გამგეობაში.

**ყველაზე უარესი კი მაინც, ის გახლავთ, რომ ახალი თაობებიც გვინდა ფუნდამენტალიზმის ამგვარ უალტერნატივო გარემოს, ძველ ამოჩემებულ დოგმებს და სქემებს მივაჩვიოთ. რას ვიზამთ, ინერციის ძალა ფიზიკის გარდა, როგორც ჩანს, საზოგადოებრივ განვითარებასაც მუდამ თან ახლავს. აბა, სხვანაირად როგორ ავხსნათ, რომ გუშინგუშინწინ დაწერილ და გამოცემულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში კვლავ ძველი დოგმების ზეობაა, მაგალითად – ისტორიულად ქართული სახელმწიფო, თურმე ნუ იტყვით, წარმოიშვა და ვითარდება „კლასობრივი ბრძოლის" და არა ეროვნული შეკავშირებისა და „ერთნებაობა-თანადგომის", „ყველაზე საზოგადოებრივ ძალთა საერთო ნიადაგზე დგომისა" და სოციალური თანამშრომლობის პრინციპებზე.**

თითქოს ამ 10 წლის განმავლობაში არაფერი მომხდარა, ისე ძველებურად „ვჭრით და ვკერავთ" ჩვენს წარსულ ცხოვრებას და ეროვნულ მემკვიდრეობას, თითქოსდა, მართლაც „ჭურში ვიჯდეთ", ისე ჯიუტად არ გვინდა დავინახოთ და გავიგოთ, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ".

ახლოვდება ქართული სახელმწიფოებრიობის, მართლაც რომ, სახელოვანი და საამაყო იუბილე და არავის გვახსენდება ამ ათასწლეულების სამემკვიდრეო-პოლიტიკური გამოცდილებიდან, ჩვენი ძირ-ძველი გეორგიანული ფესვებიდან ავიღოთ რაიმე ღირებული, ვთქვათ, თუნდაც ასე გასაცოდავებული მიწის, ანდა, ადგილობრივი სასოფლო-სათემო თვითმართველობის საკითხი, რაზეც იყო დაფუძნებული ქართული სახელმწიფო ოდითგან. საოცარია, ებრაელებმა ნამდვილი სასწაული მოახდინეს ისტორიაში – თავიანთი მკვდარი ენა აღადგინეს და გააცოცხლეს, მასთან ერთად „კიბუცური" სისტემა. სამეურნეო-ადმინისტრაციული თვითმმართველობისა და ჩვენი დღემდე ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენილ „კომლსა" და „ხოდაბუნებს" ჩვენი ხელით საბოლოოდ ვკლავთ! სახელმწიფოებრიობის იუბილეს ასე აღნიშვნა პაროდიას ჰგავს. მას უნდა მივცეთ გარკვეული პრაქტიკული ღირებულებაც..

ქვეყნის ახალ ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული დარეგიონების აღდგენა-დაკანონებას მაინც რა უნდა: ათასწლეულებში გამოტარებული ჩვენი მთისა და ბარის ცალკეული თემებისა და მხარეების დღემდე შემორჩენილი სახელები ხომ, თვითონვე გვკარნახობენ ძველი საბჭოურ-კოლონიური **„მაზრა" – „რაიონების" – „გუბერნიების"** ეროვნულ ალტერნატივას! ნუთუ მართლა – **„გარდა გმობისა და უარყოფისა, ჩვენს ისტორიაში სხვა არაფერია საამაყო და მისაბაძი"** (ნოე ჟორდანია) და ამიტომაც ჩვენი ისტორია ვერასოდეს ვერ გახდება **„ჩვენი ცხოვრების მასწავლებელი"**...

და კაცმა რომ თქვას, სამწუხაროდ, ასეც ხდება კიდეც: **ჯერ-ჯერობით XX საკუნის არც ერთ თაობას ხელი არ მოუკიდია იმ დიდი საერთო-ეროვნული საქმისათვის, რასაც „...ძველი საქართველოდან ახალი საქართველოს აღმოშობა" (ილია) ჰქვია. ღმერთმა ქნას, ახალი საუკუნის ახალმა თაობებმა მაინც, შეძლონ ეს და მასთან ერთად, „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებაც"– ამ პროცესს ჩვენ მხოლოდ იმით შეგვიძლია შევაშველოთ ხელი, რომ შევქმნათ ძველი დოგმებისა და სქემებისაგან თავისუფალი „ჭეშმარიტის მეტყველი" საქართველოს ისტორია, უფრო სწორედ მისი „ფილოსოფია", რაზეც ასე ოცნებობდა ივანე ჯავახიშვილი თავის საპროგრამო წერილში – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია". დღევანდელი ტერმინოლოგიით „ახალი საქართველოსკენ გზისგამკვალავი" ასეთი ისტორია „გამოყენებითი პოლიტოლოგიის" სახელითაა დამკვიდრებული.**

ჩვენც შევეცადოთ გამოყენებითი პოლიტოლოგიის სახე მივცეთ ათასწლეულთა ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობას. ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ პრინციპზე, რომელსაც საფუძველი დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა, მთელი „ოქროვანი ხანის" ქართულმა სახელმწიფოებრიობამ განამტკიცა-განავითარა, „ძნელბედობის" შემდეგ კი, 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგებმა გამოაცოცხლეს, ხოლო ილია ჭავჭავაძემ მომავალი ქართული სახელმწიფოს საპროგრამო მოთხოვნად აქცია.

ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარების ეს თითქმის 900-წლიანი პერიოდი – **„სააჯო კარიდან"** და **„ისნის კარავიდან"** შეთქმულთა **„ერთგვარ რესპუბლიკასა"** და ილიას **„ერთა საბჭომდე"**, ჩვენთვის იმ მხრივაც არის ნიშანდობლივი, რომ მან ცხადყო ერის ინტელექტუალური ძალების უნარი ეძიონ და პოვონ სახელმწიფოებრივი განვითარების ოპტიმალური გზები სხვადასხვა ისტორიულ პირობებში. ეს ყველაფერი კი დაგვირგვინდა სახელმწიფოებრივი მოწყობის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპის მოძიებით, რომელიც **„კონსტიტუციური მონარქიის"** სახელით არის ცნობილი და რომელზეც დღეს ინგლისიდან იაპონიამდე, 40-ზე მეტი სახელმწიფო არის დაფუძნებული.

„სააჯო კარს" და „ისნის კარავს" რომ აანალიზებს, ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამს – ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარება შეუფერხებლად რომ გაგრძელებულიყო, „ნაადრევი ქართული რენესანსი პირველი გაარღვევდა „აბსოლუტიზმის ყრუ კედელს წარმომადგენლობითი მმართველობისაკენ". ამ მოვლენებს იგი ინგლისს „უფლებათა ბილის" ისტორიულ მნიშვნელობას უთანაბრებდა, ქრონოლოგიური თვალსაზრისით კი, მასზე წინაც აყენებდა.

**მით უმეტეს, სრულიად გაუგებარია, რომ ჩვენი ისტორიოგრაფია დღემდე უყურადღებოდ ტოვებს ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს. ამიტომაა, რომ „სააჯო კარიდან", ვიდრე „ერთა საბჭომდე" – ეს 900-წლიანი ხაზი ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებისა, საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის ერთ-ერთ ყველაზე დიდი „თეთრი ლაქაა", ხოლო ე. წ. „1832 წლის შეთქმულება" მასზე კიდევ უფრო დიდი და ამასთან, ფაქტიურად დღემდე სრულიად შეუფასებელიც ზემოდმოხსენიებული", გამოყენებითი პოლიტოლოგიის" თვალსაზრისით.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, გეორგიევსკის ტრაქტატისა არ იყოს, ჭეშმარიტებასთან ყველაზე მიახლოებული მაინც, მისი სტალინისეული შეფასებაა: დიახ, ის იყო ქართული (მაგრამ არა მხოლოდ „თავადაზნაურული") კონსერვატიზმის ერთ-ერთი დიდი და უკანასკნელი გაბრძოლება ქართული სახელმწიფოს გადარჩენისთვის, მეტიც – იგი ჩვენ მიგვაჩნია ახალი ქართული სახელმწიფოს პირველ ცდად მთელ 200-წლოვან კოლონიურ ისტორიაში და როგორც გინდათ პარადოქსად არ მოგვეჩვენოს ესეც, თავისი პროგრამით გაცილებით აღემატებოდა 1918-21 წლების მესამედასურ ცდას.

**დიახ, თუ ქართული სახელმწიფოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების სტრატეგიულ მიმართულებასა და მის პოლიტიკურ იდეოლოგიაზე ვილაპარაკებთ, აქ ჩვენ უფრო 1832 წლის შეთქმულთა კონსერვატიზმის მემკვიდრეობას უნდა გავუსწოროთ მხარი, ვიდრე სოციალდემოკრატიულ რადიკალიზმს. ქართულ სახელმწიფოს სწორედ კონსერვატიზმი ალაღებს. ამ გაგებითაც დიდ ინტერესს უნდა იწვევდეს 1832 წლის შეთქმულების პოლიტოლოგიური ანალიზი და მისგან გამომდინარე დასკვნები.**

ელბერდ ბატიაშვილი.

(დასასრული იქნება).

## გაზეთი და მკითხველი

# თიანეთელები ჯიხურში „საქართველოს რესპუბლიკას" ელოდებიან



სააქციო საზოგადოება „საქპრესის" თიანეთის რაიონული ფილიალის უფროსი მერი მერაბიშვილი გახლავთ. საბუღალტრო-ეკონომიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ცოტა ხანს თავისი სპეციალობით იმუშავა და, აგერ, უკვე ათი წელიწადია, რაც რაიონში პრესის გავრცელების საქმეს ემსახურება. თავად თიანეთელია და ქებოტელი მათურელების რძალი, ჰყავს სამი შვილი.

თიანეთის № 1 საგაზეთო ჯიხურში პრესის მრავალფეროვნება ვნახეთ. მყიდველიც საკმაოდ ჰყავს. ქალბატონი მერი მომხმარებლის მიმართ ძალზე თავაზიანია, ამიტომ მადლიერიც ბევრი ჰყავს. რა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთის, „საქართველოს რესპუბლიკის" რაიონში გავრცელების მდგომარეობით დავინტერესდით. აი, რა გვითხრა მან:

– გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" თიანეთში სულ 5 ეგზემპლარი შემოდის, მათ შორის სამი ხელმომწერებს ეგზავნებათ – რაიონულ გამგეობას, საფინანსო განყოფილებასა და რაიონულ სასამართლოს, ხოლო ორი, ყოველდღიურად, ჯიხურში იყიდება, რომელთაც ხან რაიონში გამგეობის თათბირზე ჩამოსული სოფლის საკრებულოს გამგებლები ყიდულობენ, ხან ექიმები, პოლიციის თანამშრომლები, და ა. შ. პირადად მე, მის სისტემატურ მკითხველს, მომწონს გაზეთში დაბეჭდილი წერილები, ყოველთვის ვენდობი მასალის ობიექტურობას, ამ გაზეთს მაინც სხვა ავტორიტეტი აქვს. კარგი იქნება, თუ 2001 წელს ჩვენი რაიონის დაწესებულებები ჩაგვირიცხავენ თანხას „საქართველოს რესპუბლიკაზე" ხელმოწერისთვის. ამ გაზეთის თითო ეგზემპლარი მაინც უნდა ჰქონდეს გამოწერილი რაიონის ნებისმიერი სოფლის საკრებულოს!

ამ საკითხთან დაკავშირებით, ვეწვიეთ თიანეთის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილეს თემურ ბადურაშვილს. როგორც მან თქვა, შარშან „საქართველოს რესპუბლიკის" ასე მცირე რაოდენობით გამოწერის მიზეზი რაიონის მწირი ბიუჯეტი იყო. მერი მერაბიშვილი კი შეგვპირდა, წლეულს რაიონის თითოეული საკრებულო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თითო ეგზემპლარს მაინც მიიღებს. დაინტერესებული პირები ამ გაზეთს წაიკითხავენ ტუშურებში, ნაქალაქარში, ღულელებში, ზარიძეებში, ხევსურთსოფელში, სიონში, ქებოტაში... თუ რაიონის საცალო ვაჭრობაში მეტი რაოდენობით შოგვაწვდიან თქვენს გაზეთს, გაიყიდება კიდეც!..

ლეილა არჩემაშვილი.

სურათზე: მერი მერაბიშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

P. S. ჯერჯერობით კი თიანეთის რაიონში 1 იანვრის მონაცემებით ერთადერთი გაზეთია გამოწერილი.

## გვიპასუხებენ

# აქციებია თუ რელიკვია

**ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილთან დაკავშირებით რედაქციას უპასუხებს საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი აკაკი დაუთაშვილი.** ბატონი აკაკი წერილში მოყვანილი ფაქტების შემოწმებას უშუალოდ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ავალებს.

„შემდგომი რეაგირების მიზნით გვეგზავნება 2000 წლის 2 ნოემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული წერილი სათაურით „აქციებია თუ რელიკვია?" [illegible]

აღნიშნულ წერილში, თავიანთ სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ ქალაქ თბილისის სამშენებლო მასალათა კომბინატის აქციონერები ლამარა კახიანი, რუსუდან ქორიძე და გივი გოგიბერია ქარხნის პრივატიზაციის შედეგად შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამო.

ვინაიდან, მომქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალური პროკურატურა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს პუბლიკაციაში მითითებული ფაქტები, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება და პასუხი აცნობოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას".

ვიმედოვნებთ, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო უმოკლეს დროში გვაცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია თბილისის სამშენებლო მასალათა კომბინატის აქციონერთა უკმაყოფილება. სამინისტროს პასუხს აუცილებლად გავაცნობთ მკითხველს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისრაელის დესპანი კლინტონს შეხვდა

ვაშინგტონში ისრაელის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა გილადე შერმა პრეზიდენტ კლინტონს გადასცა ისრაელის ოფიციალური პასუხი ამერიკის ბოლო სამშვიდობო წინადადებებზე. აქამდე შერმა, ბარაკის კანცელარიის მეთაურმა, პესიმისტური შეფასება მისცა იმ შანსებს, რომ მიაღწევენ მშვიდობიან შეთანხმებას პალესტინელებთან 20 იანვრამდე, როდესაც პრეზიდენტობის ვადა გაუდის კლინტონს. პრეზიდენტი დეტალურად გაეცნო ორივე მხარის პოზიციებს და ახლა რამდენიმე დღე სჭირდება, რათა მიიღოს გადაწყვეტილება შემდგომი მოქმედების შესახებ.



## გერმანიის კანცლერის ვიზიტი მოსკოვში

გუშინ გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი კერძო ვიზიტად ეწვია მოსკოვს. ოფიციალურად, ამ ვიზიტის დროს მოლაპარაკება არ არის დაგეგმილი, და ორივე ლიდერი – შრედერი და პუტინი აცხადებენ, რომ ახლანდელი ვიზიტი მიმდინარეობს პირადი ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვანი პროცესის ფარგლებში. მაგრამ ლიდერები მაინც შეეხებიან დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომელთაგან უმთავრესია რუსეთის ვალის გადახდა. გერმანია რუსეთის ყველაზე დიდი საზღვარგარეთელი კრედიტორია და კრემლმა ახლახან გამოაცხადა, რომ ცალმხრივი წესით მიიღო გადაწყვეტილება, გადადოს ვალის ნაწილის გასტუმრება, რომელიც წელს ჰქონდა დაგეგმილი.

## კონფლიქტი გრძელდება

ჩეხეთის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც სახელმწიფო ტელევიზიის ახალ დირექტორს ირჟი გოდაჩს მოუწოდებს, დატოვოს პოსტი. მძაფრი კამათის შედეგად მიღებულ რეზოლუციაში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ ეროვნული ტელევიზიის გამგეობას შეუძლია, დაითხოვოს გოდაჩი, თუ იგი არ წავა საკუთარი სურვილით. დებატების დროს პრემიერ-მინისტრმა მილოშ ზემანმა ბრალად დასდო პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველს, რომ იგი ხელს უწყობს კანონის დარღვევას, ვინაიდან მხარს უჭერს ჟურნალისტებს, რომლებმაც ტელესტუდია დაიკავეს პროტესტის ნიშნად. პრემიერის თქმით, იმას, ვინც მხარს უჭერს გაფიცულებს, არა აქვს უფლება, მისდევდეს პოლიტიკას მაშინაც კი, თუ სახელმწიფოს მეთაურის პოსტი უკავია. ჰაველის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ პრემიერმა ბოდიში მოიხადოს. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ გოდაჩი მეტისმეტად ახლოს არის დაკავშირებული ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიასთან და ამიტომ ვერ იქნება ობიექტური.




## პინოჩეტი დაკითხვაზე არ მიდის

ჩილეს ყოფილი სამხედრო მმართველის გენერალ აუგუსტო პინოჩეტის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მას არ სურს გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა და არ გამოცხადდება დაკითხვაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში გენერალი შეიძლება დააპატიმრონ. კვირას დანიშნულმა სამედიცინო გამოკვლევამ უნდა დაადგინოს, შეუძლია თუ არა გენერალს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წარსდგეს სასამართლოს წინაშე.



## ჰუსეინი ერს მიმართავს

გუშინ დილით ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ხალხს მიმართა ქვეყნის შეიარაღებული ძალების 80 წლისთავის აღსანიშნავად. მისი სიტყვა გადაიცა რადიოთი, ტელევიზიითა და ინტერნეტით, და დაადასტურა ერაყის უარყოფა, რომ პრეზიდენტს არავითარი ინსულტი არ ჰქონია. ეს ბოლო დღეებია, ჰუსეინი არ გადმოდის ერაყის ტელევიზიის ეკრანებიდან. წინა კვირას მან ჩაიბარა უდიდესი სამხედრო პარადი, რომელიც პირველად მოეწყო ქვეყანაში სპარსეთის ყურის ომში დამარცხების შემდეგ.

## არჩევნები ტაილანდში

ტაილანდში საყოველთაო არჩევნები მიმდინარეობს. ეს პირველი არჩევნებია ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რომელიც მკაცრ ღონისძიებებს ითვალისწინებს კორუფციის წინააღმდეგ. არჩევნები სავალდებულოა ტაილანდის მოქალაქეებისათვის და საარჩევნო უბნებთან რიგები დგას. სულ კენჭს იყრიან 37 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. წარმატების ყველაზე მეტი შანსი აქვს ტაი რაკ ტაის პარტიას, რომელსაც სათავეში უდგას ყოფილი ბიზნესმენი ტაქსინ სინავატრა. ეს პარტია ყოველმხრივ დახმარებას აღუთქვამს ქვეყნის ათეულ მილიონობით მცხოვრებთ, რომლებიც დაზარალდნენ 1997 წლის ეკონომიკური კრიზისის შედეგად. მაგრამ ახალი მთავრობის ჩამოყალიბება შეიძლება გაჭიანურდეს კორუფციის ბრალდებათა გამოძიების გამო: თვით სინავატრა შეიძლება გადააყენონ სახელმწიფო პოსტიდან იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომ მას დეკლარაციაში არ შეუტანია მთელი თავისი ქონება.



## რომის პაპი ათასწლეულის კარს ხურავს

რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ გუშინ დახურა რომის წმინდა პეტრეს ტაძრის „წმინდა კარი“ სპეციალური ცერემონიის დროს, რომელიც მოასწავებდა ახალი ათასწლეულის დღესასწაულისა და კათოლიკური ეკლესიის საიუბილეო წლის დასრულებას. ათასობით კათოლიკე იდგა რიგში, რათა გაევლო მასიურ ბრინჯაოს კარში მის დახურვამდე. ცერემონიის შემდეგ კარი აგურით ამოშენდება და არ გაიღება 25 წელიწადს, მომავალ იუბილემდე.



## უშიშროების საბჭო მხარს უჭერს ემბარგოს

გაეროს უშიშროების საბჭომ ყველა ქვეყანას შეახსენა, რომ კანონი ავალებს მათ აკრძალონ სიერა-ლეონედან დაუმუშავებელი ალმასის იმპორტი. თავის განცხადებაში უშიშროების საბჭო აღნიშნავს, რომ სპეციალურმა კომისიამ დააფიქსირა ამ ნედლეულის იმპორტზე დაწესებული საერთაშორისო ემბარგოს მრავალრიცხოვანი დარღვევები, რომელიც ივნისში შემოიღეს, რათა გადაეკეტათ მეამბოხეთა ძალების შემოსავლის წყაროები. სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ აკრძალვა დაუწესდეს ლიბერიას, რომლის პრეზიდენტს – ჩარლზ ტეილორს მჭიდრო კავშირი აქვს სიერა-ლეონეს მეამბოხეთა მოძრაობასთან – რევოლუციურ გაერთიანებულ ფრონტთან.

## ბრიტანელები კინოთეატრებში ბრუნდებიან

გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ბრიტანეთში ახლა კინოში დადის ყველაზე მეტი მაყურებელი უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე. კინოს პროპაგანდის ასოციაციის ცნობებით, გასულ წელს კინოდარბაზებში იყო 140 მილიონზე მეტი მაყურებელი. სულ ბოლოს ამდენი ხალხი აღინიშნა მხოლოდ 1974 წელს. მომდევნო 10 წლის განმავლობაში ტელევიზიის პოპულარობისა და ვიდეომაგნიტოფონების გაჩენის გამო კინოთეატრებში იკლო მაყურებელთა რიცხვმა, მაგრამ ბოლო წლებში კინოში კვლავ მოუხშირა სიარულს ოცდაათიდან ორმოც წლამდე ასაკის ხალხმა.

# კოსოვოში რადიაცია შეიმჩნევა

გაერომ გამოაცხადა, რომ აღმოჩენილია მომეტებული რადიაქტიურობის დამამტკიცებელი საბუთები კოსოვოს მთელ რიგ ადგილებში, სადაც ნატოს ძალები ურანისგულიან საბრძოლო მასალებს იყენებდნენ.

თუმცა, შემოწმების საბოლოო შედეგები მოგვიანებით გაირკვევა, გაეროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იმ ადგილებში, რომლებმაც დაბომბვა განიცადეს, მოსახლეობას და ჯარისკაცებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ. გაეროს სპეციალისტთა ბრიგადა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 14 წარმომადგენელი შედიოდა, იყო 11 ადგილას კოსოვოში, რომლებმაც ნატოს ავიაციის საბომბო დარტყმები განიცადეს, და შეაგროვა ნიადაგის, წყლისა და მცენარეულობის ნიმუშების, აგრეთვე, იუგოსლავიის სამხედრო ტექნიკის ნამსხვრევების ანალიზები. რვა წერტილში აღმოჩნდა ამ მწირი ურანის შემცველი ყუმბარების ნაშთები, ანდა მომეტებული რადიაქტიურობის დამამტკიცებელი საბუთები.

გაეროს ეკოლოგიური მისიის მკვლევარებმა გაოცება გამოთქვეს იმის გამო, რომ რადიაქტიური ყუმბარების ნამსხვრევები დღემდე ყრია მიწის ზედაპირზე, თუმცა, კოსოვოში საომარი მოქმედების დამთავრებიდან უკვე წელიწადნახევარი გავიდა. ყოვლისმომცველ დასკვნას თავისი მუშაობის შედეგების შესახებ გაეროს ბრიგადა ვერ გამოიტანს, სანამ დეტალურად არ გაანალიზდება შედეგები; ეს მუშაობა ხუთ ევროპულ ლაბორატორიაში წარმოებს.

ჯერჯერობით გაეროს არ განუმარტავს ის ცნობები, რომ ნატოელი ჯარისკაცები დაავადდნენ მწირი ურანით დასხივების შედეგად. მიუხედავად ამისა, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ აუცილებელია სიფრთხილის განსაკუთრებული ღონისძიებანი იმ ადგილებში, სადაც შეიძლება ურანის ყუმბარების ნაშთები იყოს.

გაეროს მკვლევართა გუნდის მეთაური პეკა ჰაავისტო ამბობს, რომ ურანშემცველი ჭურვების ნაშთები პოტენციურ საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას.

– ჩვენ აღმოვაჩინეთ ყუმბარები, რომლებიც უბრალოდ ეყარა მიწაზე. ეს არის 10-სანტიმეტრიანი ბოყვები, რომლებიც მწირი ურანითაა ამოვსებული. ამ ადგილების უმრავლესობა განლაგებულია დასახლებული პუნქტების ცენტრში ან სასაფლაოებზე, ანდა უშუალოდ სახლების გვერდით. არ არის გამორიცხული, რომ ბავშვებმა შეიძლება შეაგროვონ ეს რადიაქტიური ჭურვები და ნამსხვრევები. ასევე, დიდებსაც შეეძლოთ აეკრიფათ მიწიდან ამგვარი „სუვენირები“ და შინ შეენახათ. ასე რომ, ადამიანების ჯანმრთელობისადმი რისკს ვერ გამოვრიცხავთ.



ამასობაში, კოსოვოელი ალბანელების ლიდერმა იბრაჰიმ რუგოვამ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ სკანდალს შეიძლება შედეგად მოჰყვეს მოწოდებები, გაიყვანონ მხარიდან მშვიდობისმყოფელთა ქვეგანაყოფები. რუგოვამ საჭიროდ ცნო შეწყდეს, როგორც მან თქვა, ანტინატოური პროპაგანდა, და განაცხადა, რომ კოსოვოს მცხოვრებთა ჯანმრთელობას არავითარი პრობლემები არ შექმნია.

თუმცა, მწირი ურანი ნაკლებად რადიაქტიურია, ვიდრე ბუნებრივი, თავისთავად იგი მაღალტოქსიკურ შხამს წარმოადგენს. საეჭვოა, მან გამოიწვიოს ლეიკემიის მსგავსი დაავადებანი, რომელიც რამდენიმე იტალიელი სამხედრო მოსამსახურის სიკვდილის მიზეზი გახდა, მაგრამ ექიმების თქმით, ეს მასალა იმით არის საშიში, რომ მან შეიძლება ბიძგი მისცეს კიბოს გამომწვევ პროცესს – და სწორედ ეს პროცესია იმის ანალოგიური, რასაც იწვევს რადიაცია.

მართალია, მედიკოსები ამტკიცებენ, რომ ასეთი ალბათობა უაღრესად მცირეა, ვინაიდან მწირი ურანისაგან მომდინარე დასხივების დონე ამ შემთხვევაში დაბალია. ასეა თუ ისე, განხორციელდება ახალი გამოკვლევები და სამუშაო ჯგუფი მოხსენებას უახლოეს თვეებში წარუდგენს გაეროს, წერს დასასრულ **მარკ დევენპორტი, ბი-ბი-სის** გაეროელი მიმომხილველი.




1. პორტუგალიაში ერთი კაცი დაიღუპა
2. საფრანგეთში 4 ჯარისკაცი მკურნალობს ლეიკემიას
3. ბელგიაში კიბოს 5 ლეტალური შემთხვევა იყო
4. ნიდერლანდი: აღინიშნა ლეიკემიის რამდენიმე შემთხვევა
5. იტალია: 6 ჯარისკაცი გარდაიცვალა ლეიკემიით
6. ჩეხეთი: იძიებენ პილოტის სიკვდილის მიზეზებს
7. საბერძნეთი: მიმდინარეობს გამოძიება
8. ბრიტანეთი: ჯარისკაცებს „ბალკანეთის სინდრომის“ სიმპტომები აღმოაჩნდათ

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

*არჩილ მანჯგალაძე,*
*კახა ქორიძე.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 5. კვირა, 7 იანვარი, 2001 წელი.

## მცირე პროზა

## ნუგზარ აფხაზავა
# ჰარალეები

### მონადირენი

ორი პოეტი ნადირობდა.

ხანშესულ პოეტს ჯიბეში შვლის ლიცენზია ედო, მაგრამ მთელ იმ დღეს შვლისთვის თვალიც არ მოუკრავს, ნაკვალევიც ვერ იპოვა, წვრილფეხა ნადირზე ხელის გასვრა კი არ იკადრა.

ახალგაზრდა პოეტმა წყვილი ნაცარა კურდღელი მოინადირა.

უკან დაბრუნებისას ხანშესულმა ათვალწუნებით შეათვალიერა ახალგაზრდის მონაგარი და იქილიკა:

– დიდთა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთაო.

(ვითომ: რაც შენი პოეზიაა, ის შენი ნანადირევიაო).

ახალგაზრდამ იწყინა:

– მე ჩემი „მცირე ნადირი“ შინ მიმაქვს, შენი შველი კი ჯერაც ტყეში დანავარდობსო.

... ხანშესული პოეტი, აგერ უკვე ოცი წელი იყო, ვრცელ პოემაზე მუშაობდა და ვერა და ვერ დაესრულებინა, ახალგაზრდა კი დროგამოშვებით მშვენიერ ლირიკულ ლექსებს აქვეყნებდა ხოლმე.

### სულელი

კაცი სულელი იყო.

თავს მოიკლავდა, ოღონდ კი ვინმე გაეცინებინა: ცალი ხელით ყირაზე დგებოდა, ასკინკილას თამაშობდა, ხან ვის აჯავრებდა და ხან ვის.

ყველა ქალს ცოლობას სთხოვდა – ნაცნობსა და უცნობს, ხნიერსა თუ ახალგაზრდას, ლამაზსა თუ შეუხედავს.

ყველა მამაკაცს ღრეჭით სთავაზობდა:

– ე, ბიჭო, შენი ცოლი მომწონს და ერთი-ორი ღამით მათხოვე, ისეთს არაფერს დაეუშავებო.

ბავშვები უყვარდა.

ერთხელ ჯარობაში ხუთიოდე წლის ქალაქელი გოგონა ნახა, ანგელოზივით მშვენიერი და ფაქიზად ჩაცმული.

უყურა, უყურა, წინ ჩაუცუცქდა და უთხრა:

– ეჰ, სულელი რომ არ ვიყო, ვინ იცის, იქნება მეც მყოლოდა შენისთანა ბარტყიო.

ყველა, ვინც წუთის წინ მისი მასხარაობით ერთობოდა, სახტად დარჩა: სულელს იმ წამს საოცრად ჭკვიანური და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა.

ისე, სულელი კი ერქვა.

### ჩქარი მატარებელი

ეს სიზმარს ჰგავდა:

ჩქარი მატარებლის კომფორტულ კუპეში რაღაც ბედნიერი სასწაულით მე და ქერათმიანი მზეთუნახავი შევრჩით ერთმანეთს. ვისხედით, კონიაკსა და ფორთოხალს ნება-ნება შევექცეოდით და, თუმცა გარეთ დღე იცინოდა და მზე ჩახჩახებდა, ჩვენ შორეულ ვარსკვლავებზე ვსაუბრობდით. თანამეინახის უძირო ზღვისფერი თვალები, ვაგონის თანაზომიერი რწევა და ცეცხლივით კონიაკი სანეტარო ბურუსში მახვევდა. თავს მთელ სამყაროში ულამაზეს, უძლიერეს და უბედნიერეს ადამიანად ვთვლიდი.

ერთ პატარა სადგურში სიგარეტის საყიდლად ჩამოვედი. ბაქანი გადავჭერი და მივიხედე. ვაგონის სარკმლიდან ჩემი თანამგზავრი რაფაელის ნახატივით იყურებოდა. სადგურის უკან, მოედანზე, ახალგაზრდა, პირმშვენიერი ბოშა ქალი თეძოების რხევით ამედევნა – გინდა თუ არა, უნდა გიმკითხავოო... მარჯვენა ხელისგული გავუშალე და მოჰყვა წილადობილას, ცამდე ამზიდა, გამაგენიოსა... გონს რომ მოვეგე და მატარებელს მივხედე, ბოლო ვაგონის საფეხურსღა ვკიდე თვალი.

ამრიგად, იმ თბილ კუპეს, რომელმაც ტკბილ ბურუსში გახვეული ჩემი ბედნიერება თან წარიტანა, უკვე ველარ დავეწეოდი...

დროც ჩქარ მატარებელს ჰგავს. თუ წამით შეყოვნდი ან შეყოყმანდი, როდი დაგიცდის – წავა და წაიღებს შენს წილ ბედნიერებას. მერე ადექი და სდიე ქარს მინდორში.

### ორი ტურისტი

ორი ტურისტი იყო. საქმე არა ჰქონდათ რა და ნასაუზმევს ერთმანეთს გაეჯიბრნენ: უდაბური ტყე უნდა გაერბინათ და ზღვისპირას გასულიყვნენ. ადრე მისული გამარჯვებულად ჩაითვლებოდა.

პირველი ტურისტი ადგილს მოსწყდა, გრიგალივით გაენთო ტყეს, ლაწალუწით მიარღვევდა ბუჩქნარს. ჯერ იყო და, ხეს შეასკდა, მერე ნაძვის ხმელმა ტოტმა თვალი კინაღამ გამოსთხარა, შემდეგ ბაზალტის ლოდზე მუხლი გადაიტყავა, ბოლოს ორმოში ჩავარდა და ლამის კისერი მოიტეხა. დაკაწრულმა, გაოფლიანებულმა, დაქილმა და კისერმოღრეცილმა კოჭლობით ძლივს მიატანა ზღვას.

ზღვისპირას მეორე ტურისტი ფეხიფეხგადადებული არხეინად იჯდა და წყალში ფერად-ფერად კენჭებს ისროდა.

მეორე ტურისტს თურმე აუჩქარებლად ევლო, გზას დაკვირვებით არჩევდა, გაუვალ ბუჩქნარს გვერდს უქცევდა, არც რამეს დასჯახებია, არც რამე თვალში მოხვედრია, არც სადრე ორმოში ჩავარდნილა. ამიტომაც ზღვასთან პირველი მივიდა, თანაც არც დაკაწრული იყო, არც კისერმოღრეცილი და მუხლმორღვეული.

ტყუილად კი არ უთქვამს ხალხს – მოჩქარეს მოუგვიანდესო.

### ალმა და დალმა

ადამიანი და მდინარე ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

მდინარე ნაკადულით იწყება და მაშინვე ბრძოლაში ებმება; ჯერ ხომ ბალახებში მიიკვლევს გზას და ისეთი სუსტია, ზოგჯერ პაწია კენჭი, ფიჩხის ნატეხი ან ბუერის ფოთოლიც კი გზას შეუკრავს, შეატბორებს და ააფორიაქებს; მაგრამ ნაკადული ნელინელ იკრებს ძალას, იძაბება, მორევად დატრიალდება, წინააღმდეგობას ან ზევიდან გადაევლება, ან გარს შემოუვლის და გაქანდება; თანდათან მძლავრდება, ახლა კენჭს კი არა, მოზრდილ ლოდებსაც აღარ ეპუება – კოკისპირული წვიმით გალაღებული დაეტაკება და გვერდზე მოისვრის, ან სულაც ახალ კალაპოტს გაიკვალავს. წყალდიდობისას სანაპიროს თავზარსა სცემს. ხან მარჯვენა ნაპირს გამოხრავს და ჩამოაშვავებს, ხან მობულრავე კამეჩივით დაეძგერება მარცხენა ნაპირს. მერე ჩაივაკებს და დაღინჯდება, ბრძოლაგადახდილსა და გამარჯვებულს საკუთარი ღირსების გრძნობა ემატება და გაზრდილ-გაწყალუხვებული დინჯად, მდოვრედ მიედინება.

(ისე, ზოგი ნაკადული, ვიდრე სახელი დაერქმეოდეს, ნიადაგშივე უგზოუკვლოდ იკარგება ან რომელიმე სახელიანი მდინარე ჩანთქავს ზღაპრული გველეშაპივით).

ადამიანიც თვალისგახელისთანავე იწყებს ბრძოლას. ეს ბრძოლა თავდაპირველად ინსტინქტურია და ადამიანი მხოლოდ იმ საომარ ხერხებს იყენებს, რაც მის არქაულ წინაპარს ღედაბუნებამ შეასწავლა. ახალფეხადგმულს ჯერ მცირე სარმისაც კი ეშინია, მერე კი იმ მოღონიერებულ მდინარესავით აყირავებს ხელისშემშლელებს, ან ახალ გზებს ეძებს და პოულობს კიდეც. ბოლოს, საწადელს რომ მიაღწევს, იმ ბრძოლაგადახდილ მდინარესავით დადინჯდება და გაღიდგულდება.

(ისე, ნაკადულის მსგავსად, ზოგი ადამიანიც ვერ ახერხებს კაცად გადაქცევას და სამუდამოდ რჩება ჩრდილში, ულონო, უსახელო, ხელმოცარული).

ასე ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ადამიანი და მდინარე.

თუმცა მათ შორის ერთი დიდი სხვაობაცაა:

თუკი მდინარე მუდამ თავქვე მიედინება და მისი სრბოლის საბოლოო მიზანი იმ მოტორტმანე ვეშაპთან შერწყმაა, რომელსაც ოკეანე ჰქვია, ადამიანი, პირიქით, მუდამ აღმართს უტევს და ზევით მიისწრაფვის – თავისი ოცნების მაღალი მწვერვალებისაკენ.

### ნასესხები ძალა

სანოლთან ვეებერთელა დათვის ტყავი ეფინა. ყოველ დილით, ლოგინიდან რომ ადგებოდა, მაინცდამაინც მარჯვენა ფეხს წაბლისფერი ტყავის იმ ადგილს დაადგამდა, რომლის ქვემოთაც ოდესღაც დათვის მძლავრი გული დუგდუგებდა. კედელზე ვეფხვის ტყავი ჰქონდა აკრული, ზედ წყვილი ხევსურული სატევარი გადაეჯვარედინებინა. მოპირდაპირე კედელზე უზარმაზარი ირმის რქა იყო მილურსმნული და ბელგიური სისტემის მშვენიერი ორლულიანი თოფი ეკიდა.

ერთხელ, სიმთვრალეში, გამომიტყდა: ამ ძლიერ ნადირებს, ამ ძველებურ იარაღს რომ ვუყურებ, მეც ძალა მემატება და თავი ყოვლისშემძლე მგონიაო.

მართლაცდა, თითქმის ყოვლისშემძლე იყო ცხოვრებაში.

თუმცა არც ერთი იმ ნადირთაგანი თავად არ მოუკლავს და არც სატევარი სჭერია ხელში ოდესმე.

### ცრემლი ობოლი

ერთ ცოლ-ქმარს ვიცნობდი. უდაბმონი და უშვილძირონი იყვნენ. ოცი წელი ერთად იცხოვრეს და ურთმანეთოდ ოცი საათიც კი არ გაუტარებიათ. ერთად დადიოდნენ სამსახურში, კინოთეატრში, მუზეუმში, ქუჩაში... ვინც იცნობდა, შენატროდა – აი, სიყვარული ამას ჰქვიაო.

ქალი მოულოდნელად გარდაიცვალა. უსიტყვოდ და უსაყვედუროდ დალია სული.

დაკრძალვაზე მისულ თითო-ოროლა ნაცნობ-ნათესავს გულწრფელად უკვირდა, შავხავერდშემოკრულ კუბოში ქალი მარტოკა, უქმროდ რომ იწვა, მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, მგლოვიარე კაცს ფერწასულ ლაწვებზე წვეთი ცრემლიც რომ არ ჩამოგორებია.

მხოლოდ გვიან ნაშუაღამევს, როცა საბოლოოდ მიხვდა – ამ ღამის გათენება მარტოს მომიწევს და ასეთი ღამე ამიერიდან კიდევ ბევრი იქნებაო – კაცი ცივ სარეცელს დაემხო და მწარედ აქვითინდა.

თხელი კედლის იქით გულჩვილ მეზობელ ქალს, რომელსაც უძილობა სჭირდა, იმ ქვითინმა და დაქვრივებული მამაკაცის საცოდაობამ ობოლი ცრემლი მოჰგვარა.

ეჰ, რა იცოდა კეთილმა ქალმა, რომ ქვრივს ქვიან მიწაში, ცივსა და ჩუმ სასაფლაოზე მიტოვებული ცოლის კი არა, თავისი მომავალი მარტოობის შიში და დარდი ატირებდა მხოლოდ...

(გაგრძელება იქნება).

## თვალსაზრისი

# „მერანი“ – როგორც სასოებისა და მოლოდინის სიმბოლო

საქართველოს მთელი ისტორია – ეს არის მისი ხალხის ბრძოლა არსებობისათვის, უკეთესი მომავლისათვის. რამდენი ვაების გადატანა მოუხდა საქართველოს ხალხს მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ მის დამორჩილებას, ფიზიკურ განადგურებას, დაჩოქებას, სარწმუნოების, თავისი ეროვნული ყოფის, ტრადიციის, ესე იგი მისი უნიკალური ეთნიკური ფორმის წართმევას.

და მაინც, ამ ხალხმა გაუძლო და მოვიდა XXI საუკუნემდე. რა იქნება მომავალში, ძნელი სათქმელია. მსოფლიოში რთული პროცესები მიმდინარეობს. მინდა ვირწმუნოთ, რომ მომავალ საუკუნეებში ამ მიწა-წყალზე კვლავ იცხოვრებენ მისი კანონიერი მფლობელები – ქართველები, ვირწმუნოთ, რომ ქართული ეთნოსი შემოინახება იმ სახით, როგორც არის თუნდაც დღეს – თავისი ენით, გარეგნობით, ეროვნული ხასიათით, ტრადიციებით, ნიჭით, თუნდ ნაკლოვანებებითაც.

ჩვენს მიერ ჩაფიქრებული ხუროთმოძღვრული კომპოზიცია უნდა იყოს სიცოცხლისადმი ხალხის მისწრაფების, ნათელი იდეალების, ყოფიერების სიხარულის, ნათელი მომავლისადმი მისი სწრაფვის სიმბოლო. ვფიქრობ, რომ თითოეული ქართველის ამ რომანტიკული ოცნების საუკეთესო ასახვაა ლეგენდარული ფრთიანი ცხენი – „მერანი“, რომელიც თავდადებულ მხედართან ერთად მიჰქრის თვალუწვდენელ სივრცეში, ზემოთ, ვარსკვლავებისა, მზისა და სინათლისაკენ ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალურ ნაწარმოებში – „მერანი“, რომელიც ასე ახლობელი და ძვირფასია თითოეული ქართველისათვის.

ჩვენი აზრით, „მერანი“ უნდა იყოს შექმნილი არა როგორც კვიცი, ბუნებრივი ცხენი, არამედ რაღაც სტილიზებული გახელებული ბედაური, რომელიც ზემოთ ისწრაფვის და რომლის სხეულის ყველა ნაწილი, ყველა კუნთი – დაუოკებელი მოძრაობაა. ეს არის ზეაწეული თავ-კისერი, აწეწილი ფაფარით და მძლავრი ფეხებით, რომლებმაც მიწას მოსწყვიტეს, და, რა თქმა უნდა, ფართოდ გაშლილი მძლავრი შევარდენის ფრთები. მხედრის ფიგურამ ნათლად უნდა წარმოსახოს ეს დაუოკებელი სწრაფვა წინ გაწვდილი ხელისა და ქარის მიერ აწეწილი თმების და აფრიალებული ყაბალახის მეოხებით.

„მერანისათვის“ აუცილებელია შეირჩეს მაღალი მთა (სჯობს უნაგირა მთებში), რომელსაც დასცქერის ქარისაგან არეული ღრუბლები. ამან უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ „მერანი“ თვით უკიდეგანო სივრცეშია ჩანთქმული.

ჩანაფიქრის მიხედვით, „მერანი“ უნდა დაჰქროდეს მთების ზემოთ ისე, რომ არ ეხებოდეს მას ფეხებით, ე. ი. მოწყვეტილი უნდა იყოს დედამიწას (ასეთი კონსტრუქციის აგების შესაძლებლობა იხილეთ ტექნიკურ აღწერილობაში, რომელიც ინახება ჩვენთან).

მის ქვემოთ მთაზე, ხმელ და მოხრილ ხეზე იჯდება ავბედითი ყორანი, რომელიც მას თავის წყევლას დასჩხავის. მთელი ეს კომპოზიცია სიბნელეში უნდა განათდეს, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს.

„მერანის“ კონსტრუქცია უნდა იყოს მსუბუქი და საკმაოდ მყარი, რომ გაუძლოს ქარის ნაკადებს. ის შეიძლება დაიდგას მიწის საყრდენზე, მაგრამ ჩვენი აზრით, უმჯობესია ჩამოიკიდოს ტროსზე, როგორც ეს ნაჩვენებია ტექნიკურ აღწერილობაში.

ადგილი ამ ხუროთმოძღვრული კომპოზიციისათვის, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, უნდა შეირჩეს ყველა ამ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, ამასთან, იმის ჩათვლით, რომ ქვემოთ მთის ძირას თვალწარმტაც ადგილას, კარგი იქნებოდა აშენებულიყო სასტუმრო ტურისტებისათვის, რომელთა ნაკადიც ამ ნათელ სანახაობასთან არ შენელდება.

საქართველოში არიან უფროსი და ახალგაზრდა თაობის ხუროთმოძღვრები და არქიტექტორები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ ასეთი კომპოზიციის შექმნას. მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია იმის მატერიალური შესაძლებლობანი, რომ ააგონ ასეთი კომპოზიცია, თუმცა დღეს სწორედ ეს გვჭირდება როგორც სიმბოლო იმედისა და რწმენისა, რომ საქართველო გამოვა მძიმე მდგომარეობიდან და იქცევა აყვავებულ და ბედნიერ ქვეყნად.

ასეთი კომპოზიციის შექმნა დღესაც სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან ჩვენ ბევრი კეთილმოსურნე და მეგობარი გვყავს. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს განთქმული თანამემამულე ზურაბ წერეთელი, რომლის ხუროთმოძღვრული კომპოზიციები ამშვენებენ ჩვენს ქალაქს, მთელ საქართველოს და მსოფლიოს ბევრ ქვეყანას. დარწმუნებული ვარ, ზურაბ წერეთელი გულთან ახლოს მიიტანს ჩვენს იდეას და უშუალოდ მოკიდებს ხელს ამ ხუროთმოძღვრული კომპოზიციის შემოქმედებით დამუშავებასა და აგებას, რითაც დაიმსახურებს საქართველოს ახლანდელი და მომავალი თაობების მადლობასა და აღიარებას.

ჩემი ოცნებაა საკუთარი თვალით ვიხილო საქართველოს მთებზე გაჭენებული ზღაპრული „მერანი“, როგორც ჩემი ხალხის სასოების და მოლოდინის სიმბოლო.

**გიორგი დევდარიანი.**

***თქვენი გამოხმაურება და მოსაზრებანი ამ საკითხზე გთხოვთ გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში.***





გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

# ლექსები ციკლიდან „ტკივილი, ისევ ტკივილი...“



ნოდარ ხუნდაძე

## ცოტნე დადიანს

სულკურთხეულს, ალბათ, გზრდიდა გლეხის ქალი —
გადია,
სიყვარულით რას გემახდა, რა გიწოდა თიკუნი?
ჯელი ხარ საამაყო, სულ შვიდი საუკუნის, —
შენს სახელზე ვანთებთ სანთლებს, დიდო ცოტნე დადია!

შენი ქცევით, ვაჟკაცურით, გაგვინათე მერმისი,
მტერი მაინც არ მოგვეშვა, ვერ ვიმუშებთ იარებს,
თუმც ვამაყობთ შენი ხსოვნით, — დიდებას გვაზიარე,
დღეს მუხლმოყრით თაყვანსა გცემს სრულად ქართლი,
ეგრისი.

და მბრწყინავი კოხტასთავზე ახლაც გამკობს ნათელი,
თითქოს გვესმის მოწოდება, შენი მხნე შემახილი:
„არ მანახოთ, ქართველებო, თქვენი დროშა დახრილი,
ვერ ჩაგიქროთ ქარაშოტმა ანთებული სანთელი!“

შენი ხსოვნა ჩვენს სულებში, ვით ლამპარი, ანთია,
და ჩირაღდნად წინ მიგვიძღვი, დიდო ცოტნე დადია!

* * *

**შალვა მჭედლიშვილს**

სხვისი არასდროს გდომებიათ უბრალო ჩხირიც,
თავი გაგქონდათ საკუთარი გარჯით და ოფლით,
უწყინარ პოეტს შეგამთხვიეს მრავალი ჭირი, —
სონეტის დამწერს თითქოს კაცი მოგეკლათ თოფით.

არ გიმებნიათ, — ვინ ჰპოვებდა მაშინ სიმართლეს, —
პირმოკუმული გამწარებით ითვლიდით წამებს,
ელოდით, როდის გაკრთებოდა ცაზე სინათლე,
გადმოგხედავდათ დიდი ღმერთი მწარედ ნაწამებს.

წუთისოფელი სულ გდევნიდათ, ავად მბორგავი,
რა გაუგონარს გაუძელით დელგმას, ქარ-თოვას, —
დათარეშობდა, ვით ურჩხული, დაუბორკავი...
მადლობა უფალს, — გასაჭირში არ მიგატოვათ.

ისევ ისა ხართ, გულკეთილი ბარდი, მგოსანი,
დგახართ ჩვენს შორის უძლეველი, ვით შუბოსანი.

* * *

**მორის ფოცხიშვილის სახსოვარი**

როგორც სიმღერა ვერნათქვამი და შეწყვეტილი,
როგორც კომეტა, მოწყვეტილი, ცაში დამწვარი,
ვით უეცარი, გამთანგველი, მძიმე თავზარი...
დიდმა უფალმა ვით დაგისვა მრავალწერტილი.

ჩვენ გვიხაროდა, გვიხაროდა, რომ არსებობდი,
მჯერა, შორს ჩვენგან თითქოს სადღაც
არსებობ ახლაც,
თითქოსდა დროის საკირეში ყინული გალხვა, —
ჩემთვის საამო თითქოს შენი ამბები მომდის.

დრო მიდის, ბოლო უსასრულოს არ აქვს მოლოდინს,
ეს მერამდენედ შევაკვეცე ტოტები მახვილს,
ვემებ და მაინც ვერსად შევხვდი, ძმაო,
შენს მნახველს,
ვხედავ, შემრჩება შენი ვალი ყოფის ბოლომდის.

მე არა მჯერა, ნუთუ მართლა არ ხარ ჩვენს შორის,
კაცო მართალო, უღალატო, მვირფასო მორის?!

## მიყვარს სიცოცხლე

თუმც გამამწარა, მაინც გულით მიყვარს სიცოცხლე,
მიყვარს ღაზღაზა, შუაღამის პირსავსე მთვარე,
და ჩემი ქვეყნის ჯადოქრული ჩრდილი და მზვარე, —
და დამიჯერეთ, მათ გარეშე მე ვერ ვიცოცხლებ.

დილა-საღამოს სულს ვიამებ წმიდა ლოცვებით,
ნურვინ ეცდება, უსამართლოდ დამწამოს ცილი,
გაღებული მაქვს გულის სისხლი მე ჩემი წილი, —
მოვინანიე უნებლიე ყველა ცოდვები.

გამთენებია ღრუბლიანი მრავალი დილა,
სულ სინანულის გრძნობით სავსე ვდგები და ვწვები,
უფლის დასტურით როცა წავალ და უფლის ნებით, —
ირწმუნებთ, ალბათ, ჩემი მტერი ამაოდ ცდილა:

თუმცა მიმაჩნდა თავი ჩემი უვიც-უბირად,
ვერ მაცდუნა და ვერასოდეს გადამიბირა.

## მუზა

დრო დამიდგება, — თითქოს უნდა ჩავუშვა ღუზა,
გადავლახე და ვეღარ მბოჭავს საზღვარ-სამანი,
ისევ აყვავდა ჩემი ბუჩქი იასამანის, —
გამიჯიქდება, არ მშორდება ფერია — მუზა.

წერეო, სანამ შეგიმლია და გეწერება,
დასასვენებლად გელოდება უამრავი დრო,
დღეს ესტუმრეო, გაახარე შენი სამკვიდრო,
მასაც სჭირდება ნუგეშინი და მოფერება;

შენს გამოჩენას უცილობლად მტერიც მოელის,
არაერთგზის რომ ჩაგისაფრდა და ბევრიც გავნო,
თუმც ვერაგია, უნდობელი, ბეცი უგვანო,
გულწრფელად შევხვდი, ვით მარტვილი უდაბნოელი.

პო, ყველა მტერი ვერაგია, მზაკვარი, უნდო,
უფალი გვმოძღვრავს, ცოდვა მტერსაც უნდა შევუნდოთ.

## მწარე ლუკმა

**ნუგზარ ნადარაიას**

მწარე ლუკმას ვჭამთ, ჩვენ არვინ გვაღირსებს ნუგბარს, —
მომრავლდა ქვეყნად წამალი და ბალბა, ხვიარა,
უფლის იმედით, ამ მიწაზე ვინც გვაზიარა, —
ვიყოთ, ვილოცოთ ლიტანიით, ბატონო ნუგზარ.

პირდაპირი ხართ, ვაჟკაცური, არა — პირმოთნე,
და გცხიათ მადლი ცის და მიწის დიდი გამჩენის,
კაცურკაცობის უტყუარი ნიშანი გშვენით,
მთამომავალო დიდებული წმინდანის — ცოტნეს.

მუდამ გამხნევებთ ღირსეული გმირის ხატება,
ხართ მეციხოვნე და სიკეთის თქვენ ხართ მთესავი,
მალგიძთ გაათბოთ გული მოძმის სწორედ მზესავით,
და თქვენს პირისპირ მტრები ჩანან მხოლოდ ლანდებად.

თქვენი სიკეთის მსურველი ვარ და გეფერებით,
ღმერთმა უმრავლოს საქართველოს მოყმე თქვენებრი.

19. XI. 2000.

## ყომრალი ნისლი

უკვე ბეხრეკი კალთას უხვად იბერტყავს მიწა,
სულს გვინარჩუნებს ნოყიერი იმისი წვენი,
მუდმივი შემწე და მზრუნველი დედაა ჩვენი,
ვის მზესაც მარად სუყველანი გულწრფელად ვფიცავთ.

მისი სიკეთე და მშვიდობა ნამდვილად გვინდა,
გვმატებს სიმხნევეს, ძალას გვმატებს და გვავსებს სისხლით,
გაუმჭვირვალე მისით სუნთქავს ყომრალი ნისლიც, —
გაღებულია მისგან მსხვერპლი წმიდათაწმიდა.

მისი მადლია თვალს მომდგარი წმინდა კურცხალიც,
მისით სულდგმულობს თვით ობოლი ნუკრიც კი შველის,
გულს გაგვიმაგრებს შეჭირვებულთ, ის თუ გვიშველის, —
მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთვის უნდა ბოლო კუფხალიც.

ვემთხვიოთ კრძალვით, ვისიც ღალა და მადლი გვიცავს,
და შევეწიროთ, თუ დასჭირდა, მშობლიურ მიწას.

## სალამურის ხმა

მახსოვს სურათი ბავშვობიდან — რეიდზე გემი,
თითქოს ახლობელს ხელს ვუქნევდი, გადავსძახოდი,
მევულებლოდა, თუმცა თვითონ გაგრას ვსახლობდი, —
შორს ნიკორწმინდა, გეგუთი და ბებერი გრემი.

და სიდიადე ჩემი ქვეყნის თითქოს მელოდა,
ვინ გაუძლებდა იმ ცდუნებას, ნეტავ რომელი? —
ვერ ვაოკებდი, სული მქონდა დაუდგრომელი,
სალამურს ვთლიდი მხოლოდ ლერწმის ნედლი ღეროდან.

სალამურის ხმა გაუგონარ ყინვას ალხობდა,
ნუ გაიკვირვებ, — ჩემს შეცდენას ბევრი ეცადა,
ზიზილ-პიპილებს სულ მერჩია უბრალო, სადა...
ვარდის სურნელი ქარს მოჰქონდა ახლო ახოდან.

სატანა მთხოვდა, მე არ მსურდა სულის მიცემა
და მლივს მეღირსა კოშმარიდან გამოღვიძება.

## კარნავალი

**„ბავშვობა ორი ბოლოა თოკის...“**
**ოთარ ჭილაძე**

ისედაც გმრელი უსაშველოდ დაგრძელდა თოკი,
თუმც უცაბედად, ნაადრევად მეჩვენა რთველი,
ლაბირინთები გავიარე მნელი და ბნელი, —
წელთა სიმრავლეს, ასე მძიმეს, ვგრძნობ,
როგორც ბორკილს.

მე საოცნებო ვერ ვიხილე მულდაზანზარი,
თუმცა მქონია საამაყო მრავალი წამიც,
სულ მშობლიური მიამებდა სატკივარს ნამი,
ისე ქვეყანა მუდამ იყო ცრუთა ბაზარი.

პატიოსნება ჩემთვის გახლდათ დოგმა და წესი,
და ვუანდერძებ ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს,
უსახურავოდ დარჩენილებს, ბუდემოშლილებს, —
ასე იცხოვრონ, თუმც სიმძიმე ამ ყოფის მესმის.

პატიოსნებას ვერას აკლებს დრო წარმავალი
და აღიქმება განვლილი გზა, ვით კარნავალი.

## სითბო

გადამღრმვალი ხარ, თუმც კაცური არ გტოვებს სითბო,
და არ გღალატობს შენეული ალღო, გუმანი, —
არ დაიშლის და კვლავ დაგიგებს მახეს დუშმანი,
ის მველებურად სიავეზე ფიქრით თავს ირთობს.

ისევ მიგიმღვის წინ იმედი და გულის შუქი,
ამაოდ ცდილობს, ვერ გიხლართავს სავალს ღრუბელი,
რომ იწელება ცისკიდურზე, როგორც წურბელი,
და სანაპიროს გადაჰკვრია ფერები მუქი.

შენ არ გაკლია ყურადღება და რუდუნება,
მოკრძალებული არასოდეს არავის ერჩი,
შთამომავლობას გაგიხარებს ფუძე და ნერჩი,
ამის გარანტი არის შენი დიდი ბუნება.

გული მიყუჩდა, ჩაიფერფლა და ჩაქრა თითქოს,
მაინც არ გტოვებს შენეული მარადი სითბო.

## მიხარია

არ გამწირა და უფალმა ამ კარგ დღესაც მაღირსა,
უთენია აკამკამდა მახარობლად ცისკარი,
სულის წამლად სიოს დილის დაქროლებაც ვიკმარე,
გულს მიხარებს მზის არილი და შრიალი ბაღისა.

მიხარია, გავისტუმრე აღებული ვალები,
კმარა, დარდმა ჩემი ყოფა ვაგლახად რომ დაღარა,
მჯერა, მველი სიმძიმილი შემუქრება აღარა, —
არ იქნება, განსაცდელმა დამინისლოს თვალები.

დღესაც მიჭირს მოგონება ნისლიანი წარსულის,
როს სულს და გულს მითოშავდა გაყინული ფანტელი,
ჩაბნელებულ გვირაბიდან არსად ჩანდა ნათელი,
დაკარგული დაეძებდა მშობელს მე თუ ასული.

ჯერჯერობით ფეხზე ვდგავარ თქვენი ბერი მომღვარი, —
გემსახურეთ და მეკუთვნის თქვენგან შესანდობარი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## წიგნი

ჩინგიზ აბდულაევი

# „გუშინდელი დღე მოდის ხვალეს“

## თავი XIX

ბერლინში ისინი დღისით ჩაფრინდნენ. მათ ბედმა გაუღიმათ. ისევე, როგორც რუსეთში, შეიძლება, გაუმართლოს დიდი ფულის მქონე ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ დაიკმაყოფილონ ნებისმიერი ჟინი. რომელიღაც ნახევრად იატაკქვეშეთურმა ტურისტულმა ფირმამ ვიზები მათ ერთ დღეში გაუფორმა და სასწრაფოდ შეიტანა გერმანიის საელჩოში წარსადგენად უკვე გამზადებულ სიაში. მეორე დღეს ტურისტული ვიზები მზად იყო და ისინი ბერლინში გაფრინდნენ. მართალია, ასეთ სასწრაფო ვიზებში საჭიროზე ხუთჯერ მეტის გადახდა მოუხდათ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ტურისტული სააგენტოს გაქნილი თანამშრომლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ასეთი სასწრაფო ვიზა მამაკაცებს სჭირდებათ რაღაც ბნელი საქმეების მოსაჭახრაკებლად და მოსალოდნელი რისკის გამო შესაბამის ფასსაც მოითხოვდნენ.

პისტოლეტები მოსკოვში დატოვეს, რაც, ბუნებრივია, ხელს არ აძლევდა პოტაპჩუკს. გერმანიაში იარაღით წასვლა შეუძლებელი იყო. ისინი აეროპორტ შენეფელდში ჩაფრინდნენ, რომელიც ბერლინის აღმოსავლეთ სექტორში მდებარეობდა. ქალაქში, რომელიც, რამდენიმე წელია, ცხოვრობდა კედლის გარეშე, რაც მას თვალნათლივ ჰყოფდა დასავლეთ და აღმოსავლეთ სექტორებად, უხილავი საზღვარი მაინც არსებობდა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თვითმფრინავები შენეფელდში დაფრინავდნენ, მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნების ავიაკომპანიები თავიანთ ავიალაინერებს ტეგელში ღებულობდნენ. შესაბამისად, შენეფელდში უფრო ხშირად ისმოდა რუსული, მონღოლური და პოლონური ლაპარაკი, ტეგელში კი ინგლისური და ფრანგული ჟღერდა.

უკვე აეროპორტში დრონგო ტურისტული ბიუროს დახლთან მივიდა და ოტელში ადგილების დაჯავშნა სთხოვა. მან ქალიშვილს აუხსნა, რომ ოტელი ხუთვარსკვლავიანი უნდა ყოფილიყო. მიხვდა, თუ რას ეუბნებოდა დრონგო, პოტაპჩუკი მოიღუშა.

– თქვენ მხოლოდ თქვენს ფულს ხარჯავთ თუ საერთოს? – ჰკითხა მან დრონგოს.

– თქვენ რა, სადღაც ქალაქის გარეუბანში, უტუალეტო სასტუმროში ცხოვრება გინდოდათ? თქვენ სულ მარტო ფულზე ფიქრობთ.

– ჩემთვის სულერთია, სად გავათევ ღამეს, – ჩაიბურდღუნა პოტაპჩუკმა, – ოღონდ დოკუმენტები ვიპოვოთ. აი, მაშინ კი ტკბილად ვიცხოვრებ.

– და მაინც ჩვენ წესიერ ოტელში წავიდეთ, – თქვა დრონგომ, – მიაქციეთ ყურადღება, რომ მე უარი ვთქვი „ბრისტოლზე“. ეს ყველაზე ძვირი ოტელია. ჩვენ „ჰილტონში“ წავალთ.

– შეიძლება, იფიქრო, რომ ეს გაცილებით იაფია, – ჩაიბუზღუნა პოტაპჩუკმა.

– განსხვავება ას მარკაშია, – უჩვენა ანგარიში დრონგომ, – ვფიქრობ, „ჰილტონში“ კარგად მოვეწყობით და, რაც მთავარია, იქ დიდხანს არ გავჩერდებით, მხოლოდ ერთი დღე, სხვათა შორის, იცით, სად არის ეს ოტელი? თვით ბერლინის ცენტრში, ბრანდენბურგის კარის მახლობლად.

– თქვენ, ალბათ, ჩვენი ვიზიტის მიზნები შეგვემალათ, გადაწყვიტეთ, რომ ტურისტები ვართ, – ნერვიულად განაცხადა პოტაპჩუკმა, როცა აეროპორტიდან გამოდიოდნენ.

ბერლინის ოტელი „ჰილტონი“ კედლის დაცემის შემდეგ აშენდა. იქვე გვერდით იყო ისტორიული ძეგლები, მუზეუმები. არქიტექტორებმა საკმაოდ რთული ამოცანა გადაჭრეს, შეიძლება, შენობა ისე რომ აეშენებს, რათა გარემომცველ ლანდშაფტში ჩამჯდარიყო. ოტელში მიმსვლელი ძალზე საინტერესოდ შესრულებულ ატიუმში ხვდებოდა, სხვადასხვა დონის სართულებს ერთიან მრავალგანზომილებიან სივრცეში რომ აერთიანებდა, შესასვლელიდან მარცხნივ იყო რესტორანი. შენობის სიღრმეში, მარჯვენა მხარეს, მდებარეობდა ბერლინელებისათვის უკვე საყვარელი რესტორანი „ფელინი“, რომელშიც მიმსვლელებს იტალიური სამზარეულოს ნახელავს სთავაზობდნენ.

მოედანზე გამავალი ორი ნომერი რომ მიიღეს, მათ დაბლა, რესტორანში ივახშმეს, რადგან რუსული სამზარეულოს გასინჯვა გადაწყვიტეს. მათ გერმანელი მზარეულების მიერ დამზადებული პელმენები მოეწონათ. პოტაპჩუკი დასამატებლადაც კი წავიდა. ამ რესტორანში თვითმომსახურების თავისებური სისტემა იყო, რომლის დროსაც მომსვლელები უშუალოდ მზარეულებს მიმართავდნენ.

– თქვენ, ჩანს, აქაურობა მოგეწონათ? – ჰკითხა დრონგომ, როცა პოტაპჩუკი პელმენების ახალი ულუფით დაბრუნდა. მან არაფერი უპასუხა და ჭამა გააგრძელა.

– ხვალ დილით ქალაქგარეთ უნდა წავიდეთ, – შეახსენა დრონგომ, – ეს არ დაგავიწყდეთ. თუმცა, მე ვამჯობინებდი დღესვე წასვლას, მაგრამ, სამწუხაროდ, შეუძლებელია, გერმანია უკრაინა როდია. ბერლინის შემოგარენი კი – სოფლები კიევის გარშემო. ღმერთმა ნუ ქნას და, აქაც გვამს რომ წავაწყდეთ, ძალზე გაგვიჭირდება გერმანულ პოლიციას ავუხსნათ, ასეთ შეუსაბამო მომენტში რატომ ვიპოვეთ მოკლული.

– ნუ ჩხავით, – თქვა გაბრაზებულმა პოტაპჩუკმა, – არ დავითარსოთ, აქ რატომ არ უნდა გაგვიმართლოს? თუმცა, არაფერი მესმის. თუ კი ვიღაც ამ დოკუმენტებზე ნადირობს, მაშინ რატომ ხოცავს ყველას, ვისაც მათზე რამის მოყოლა შეუძლია? მაინც ვინ იყო ის ყმაწვილი, რომელიც ლუდის ბარში მიახვრიტეს, როცა ის სარიჩევთან ერთად იჯდა?

– მე პასუხები რომ ვიცოდე, ყველა თქვენს კითხვაზე, მაშინ კომისარი მეგრე ვიქნებოდი, – იხუმრა დრონგომ.

– დარწმუნებული არა ვარ, რომ თქვენ არ იცით პასუხები ჩემს რამდენიმე კითხვაზე მაინც. მე უკვე მივხვდი, რომ თქვენი ყბედობა მხოლოდ შირმაა ტუტუცებისათვის. სინამდვილეში თქვენს საიდუმლო აზრებს ფარავთ, თან ცდილობთ თქვენს მოსაუბრეს ყველაფერი გამოსტყუოთ. მე თქვენი არ მჯერა, თქვენ უეჭველად უკვე გაქვთ საკუთარი თვალსაზრისი.

– სანამ დასაბუთება არ გამაჩნია, არაფრის თქმა არ შემიძლია, – მხრები აიჩეჩა დრონგომ, ხოლო როცა ისინი გამიჩნდება, მაშინ გაგანდობთ ჩემს მოსაზრებებს. მე ფაქტებზე დაყრდნობას მივეჩვიე. მე ანალიტიკოსი ვარ და არა ფანტაზიორი.

– მე ამას უკვე მივხვდი, – ჩაიბურტყუნა პოტაპჩუკმა და თეფში გასწია.

რესტორნიდან რომ გავიდნენ, ისინი პირდაპირ მდებარე სუვენირების პატარა მაღაზიაში შევიდნენ. ამ კომპანიის ბევრი სხვა ოტელისაგან განსხვავებით ბერლინის „ჰილტონში“ მაგნიტურ ბარათებს კი არა, არამედ დიდი ლითონის საჭდეებიან ნამდვილ გასაღებებს იძლეოდნენ. ამასთან, მომსვლელები ღებულობდნენ ბუკლეტებს ქალაქის ცენტრის დაწვრილებითი რუკითა და თვით ოტელში რესტორნებისა და ბარების მდებარეობის მაჩვენებლით.

– რის ყიდვა გინდათ? – დაინტერესდა პოტაპჩუკი.

– ნუ ღელავთ. მე მხოლოდ დათვალიერება მინდა. ხედავთ, აქ რა მშვენიერი ნივთებია! ეს ყველაზე ნატიფი ნამუშევარია, ნახეთ, როგორი მაქმანია?

– რა, დამცინით? – ჰკითხა პოტაპჩუკმა, – აქ მაქმანი რა შუაშია?

– ბარში, სადაც მე ვიჯექი, რამდენიმე კაცი იმყოფებოდა, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა, რომელიც მიახვრიტეს, მარტო არ იყო, – უცებ თქვა დრონგომ, ყოველგვარი შესამჩნევი მიზეზის გარეშე რომ შეცვალა ტონი. ის დაფიქრებული დასცქეროდა მინას.

– რაა? – გაიოცა პოტაპჩუკმა.

– ის მარტო არ იყო. მე ახლა ვხვდები, თუ რატომ წამოხტა. მას უნდოდა ვიღაცისაგან ყურადღების გადატანა. იმ მომენტში მაშინვე ვერ მივხვდი, გამიხარდა, რომ ბარიდან წყნარად გასვლა შემეძლო, ახლა კი მივხვდი, რომ იქ კიდევ ვიღაც იყო.



– ღმერთო, – წაიჩურჩულა პოტაპჩუკმა, – იქნებ იქ მხოლოდ ფედერალური უშიშროების სამსახურის თანამშრომლები და ჯაშუშები ისხდნენ?

– ყოვლად შესაძლებელია. მაგრამ მე ახლა ვიხსენებ, თუ როგორ იქცეოდა ის ახალგაზრდა და ვხვდები, რომ მან ეს სპეციალურად გააკეთა, ის იქ ვიღაცას იცავდა. და ამ ვიღაცამ მას სიგნალი მისცა, რათა ყურადღება თავისზე გადაეტანა.

– და თქვენ ამას მხოლოდ ახლა მეუბნებით, – საბოლოოდ გაბრაზდა პოტაპჩუკი, – ადრე რატომ დუმდით?

– ადრე ამაზე არ ვფიქრობდი, ახლა კი ვფიქრობ. მე მაშინვე უნდა მივხვედრილიყავი. წავიდეთ, გავისეირნოთ. აქვე გვერდით უნტერ დენ ლინდენია. ცნობილი ქუჩა „ცაცხვებს ქვეშ“.

– მე ბერლინში ხშირად ვყოფილვარ, ვიცი, რაზეც ლაპარაკობთ, – ჩაიბურტყუნა პოტაპჩუკმა. – რადგან ასე დაიჟინეთ, წავიდეთ, იქნებ თქვენ კიდევ რაღაც ჭკვიანური აზრი მოგივიდეთ თავში. თქვენ რაღაც პარადოქსული აზროვნება გაქვთ.

ისინი ოტელიდან გავიდნენ. ქუჩაში მოხეტიალე მუსიკოსები უკრავდნენ, რაღაც გულშიჩამწვდომი და სევდიანი მელოდია გამოჰყავდათ. ფრიდრიხშტრასსე რომ გაიარეს, თანამებრძოლები განიერ და ცარიელ უნტერ დენ ლინდენზე გავიდნენ. დრონგოს ახსოვდა დრო, როცა ის სიცოცხლით სავსე, ხალხმრავალი იყო. მაშინ ბერლინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი იყო და ეს ქუჩა სახელმწიფოს თავისებური საპარადო აბრა იყო. მთელი კვარტალი ეჭირა მაღალი ღობით შემორაგულ საბჭოთა საელჩოს. იქვე იყო აეროფლოტის უჩვეულოდ დიდი წარმომადგენლობა. ახლა აქ სიცარიელე და სიჩუმე იყო. საელჩო, დიდი ხანია, დაიკეტა და კარებზე სხვა აბრა გამოეკრათ, რომელიც იტყობინებოდა, რომ აქ მხოლოდ გერმანიაში რუსეთის საელჩოს განყოფილებაა. ასევე დაიკეტა აეროფლოტის წარმომადგენლობაც. ქუჩა წყნარი და ცარიელი იყო. აქ რესტორნებიც არ იყო, ხოლო სხვადასხვა ბოლოში – მხოლოდ ორი, თითქმის ცარიელი კაფე. გამვლელებიც თითქმის არ ჩანდნენ, ტურისტების გამოკლებით, რომლებიც უშუალოდ ბრანდენბურგის კარებთან ავტობუსებით ჩამოჰყავდათ. აქ ტაქსის გაჩერებაც კი არ იყო. თითქოს თვით სიცოცხლე გაიპარაო ამ ქუჩიდან და მოწყენილ-უსიცოცხლოდ დატოვა.

დრონგო ბრანდენბურგის კარებისაკენ გაემართა. ოდესღაც აქ ყრუ კედელი დაანგრიეს, ხოლო იქვე ჩარიგდნენ მეწვრილმანეები თავიანთი საქონლით: აქ ყველაფერი იყო: საბჭოთა ჯილდოებიდან და ფორმებიდან დაწყებული ტრადიციულ „მატრიოშკებამდე“.

პოტაპჩუკი გაბრაზებული იბღვირებოდა. მას განსაკუთრებით აღშფოთებდა, რომ გასაყიდად გამოეტანათ საბჭოთა სამხედრო ფორმა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჯილდოები; სამართლიანობის გამო უნდა აღინიშნოს, რომ აქ იყიდებოდა, აგრეთვე, მოკავშირეების ჯილდოები და ქუდები. მაგრამ ისინი ერთმანეთზე დამამცირებელ გროვებად ეყარა.

„მატრიოშკებზე“ ეხატა რუსეთის ადრინდელი და ახლანდელი ბელადების სახეები. შეგხვდებოდათ ერიხ ჰონეკერისა და ლეონიდ ბრეჟნევის სახეებიც კი. კედლის დაცემის შვიდ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ უსინდისო მოვაჭრენი ძველებურად სთავაზობდნენ დანგრეულ კედლის ქვებს, რაც არასოდეს უთავდებოდათ.

იქნებ ქვეყნის ნგრევა იწყება მორალისა და სინდისის პრინციპების სრული დავიწყებით, როცა სახელმწიფოს ჯილდოები და ატრიბუტები გასაყიდად გამოტანილ იაფფასიან საქონლად იქცევა.

მოვაჭრეთა შორის სრული ინტერნაციონალი იყო: ბოშები და თურქები, რუსები, უკრაინელები, პოლონელები, აგრეთვე, გერმანიაში მცხოვრები შავკანიანები, არავინ რომ იცოდა, საიდან და როგორ მოხვდნენ აქ. პოტაპჩუკმა მოიშორა განსაკუთრებით მიძალებული გამყიდველი და დრონგოს ჰკითხა.

– აქ რატომ მოვედით?

– რომ გვეფიქრა, – მოკლედ მოუჭრა მან, – მე აუცილებლად უნდა მოვსულიყავ აქ. რათა იმაზე მეფიქრა, თუ რა იქნება შემდეგ. მე უნდა მენახა ეს კარები და ეს ქუჩა, როგორც მთელი მსოფლიოს დაყოფის ყოფილი სიმბოლო.

თარგმნა
ვალიკო სიმონიშვილმა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ 2000 წ. № 313-321, 323-334, 337-339, 2001 წ. № 2-4.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გამოფენა

სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა უმასპინძლა ფოტოხელოვან როლფ შრადეს ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას „სვანეთი – ძველი ქართული ხელოვნების საგანძური“, რომლის მომზადებასაც ხელი შეუწყვეს საზოგადოება „ჰორიძონმა“, გერმანიის საგარეო ურთიერთობების სამსახურმა, თბილისის გოეთეს ინსტიტუტმა, საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა და სარეკლამო-პოლიგრაფიულმა ფირმა „ნიუ მედია თბილისმა“.



*სურათზე: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე როლფ შრადეს გამოფენის სტუმარი.*

# როლფ შრადე – ქართული კულტურის ჭეშმარიტი ქომაგი

ეს უნიკალური გამოფენა წარმოგვიდგენს როლფ შრადეს ფოტოარქივის იმ მცირე ნაწილს, რომელსაც იგი თითქმის 20 წლის მანძილზე ქმნიდა. ამ ფოტოებმა საზოგადოებრიობას უნდა გააცნოს X საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით სვანეთის საოცარი ბუნების ფონზე მისი ძირძველი, მრავალჭირნახული, კვლავაც ცოცხალი და შთამბეჭდავი კულტურა: ეკლესია-მონასტრები, კედლის მხატვრობა, ჭედური და ფერწერული ხატები, ჯვრები და ა. შ., რომელთაც სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდათ საზოგადოება „ჰორიძონის“ დაფინანსების მეოხებით. ფრესკათა დეტალური დოკუმენტირება და რეკონსტრუქცია კი მერაბ ბუჩუკურის ხელმძღვანელობით განხორციელდა. გამოფენაზე წარმოჩენილი იყო სვანეთის სხვადასხვა თემის ტაძრები თავისი კედლის მხატვრობითა და ფრესკების ფოტონიმუშებით, აგრეთვე, მაცხოვარ იესო ქრისტეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, მთავარანგელოზის, სხვა წმინდანებისა და მოწამეების ხატთა ფოტოები, მთავარანგელოზის ეკლესია (ლაფსაყდალი – ცხუმარის თემი. X ს.), წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (სვიფი – ფარი, ფარის თემი X ს.), მაცხოვრის ხატი (მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესია, ლატალის თემი XII ს.), საწინამძღვრე ჯვარი (ლახუშტის მაცხოვრის ეკლესია, მოოქროვილი ვერცხლი XII ს.) და სხვა

ფოტოხელოვანი როლფ შრადე, მოსკოვის კინემატოგრაფიული ინსტიტუტის ჯერ კიდევ სტუდენტი, პირველად 1960 წელს მისი მეგობრის კინორეჟისორ გია ჭუბაბრიას დახმარებით ეწვია საქართველოს. შემდეგში არქიტექტორ ვახტანგ ცინცაძესა და მის მეუღლესთან რუსუდან მეფისაშვილთან ურთიერთობის შედეგად შუასაუკუნეების ქართული ხელოვნებით დაინტერესდა და რვაწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობის მეოხებით გამოაქვეყნა წიგნები: „ძველი საქართველოს ხელოვნება“ (1978-79 წ.) და „საქართველო – ციხესიმაგრეები და ეკლესიები“ (1987 წ.). 80-იან წლებში როლფ შრადე თავის მეუღლესთან და ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მუშაობას იწყებს ახალ წიგნზე, რომელიც სვანეთის ძეგლებს ეძღვნება. ამავდროულად, როგორც კინოოპერატორმა და ხელოვნებისა და კულტურის ისტორიკოსმა, სვანეთი წარმოაჩინა, როგორც მსოფლიო ღირებულების საგანძურის კერა, რომელიც დაცვას საჭიროებს; ამისთვის მეუღლესთან ბრიგიტა შრადესთან ერთად შექმნა ორი კულტურულ-ისტორიული ფილმი: „იდუმალებით მოცული სვანეთი“ (1989 წ.) და „გიორგი და გეორგია“ (1991 წ.).

1997 წელს როლფ შრადემ ჰოლანდიური საზოგადოება „ჰორიძონი“ სვანეთის უნიკალური ძეგლებით დააინტერესა და მათივე დაფინანსებით შესრულდა სარესტავრაციო სამუშაოები ეკლესია-მონასტრებზე, განსაკუთრებით კედლის მხატვრობაზე. სარესტავრაციო სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ძეგლთა დაცვის გარდა სრულდება არქეოლოგიური გათხრები და ხელნაწერთა აღდგენითი სამუშაოები.

გამოფენა „სვანეთი – ძველი ქართული ხელოვნების საგანძური“ მცირე მასშტაბით პირველად გამოფენილი იყო 1997 წელს ბერლინში, შემდეგ საქართველო-გერმანიის სიმპოზიუმზე პოტსდამსა და გოტენბერგში. განახლებული და გაფართოებული ფოტოგამოფენა ახლახან თბილისშიც მოეწყო. იგი განზრახულია გაიგზავნოს თელავივში, იერუსალიმში, ტრირსა და ბერლინში, შემდეგ კი აშშ-შიც.

გამოფენა „სვანეთი – ძველი ქართული ხელოვნების საგანძური“ მოუწოდებს თითოეულ პიროვნებას თავისი წვლილი შეიტანოს ქართული კულტურის საგანძურის შენარჩუნებაში.

**მზეხა მახარაძე.**

## მუსიკა

# ბახი გვილოცავს შობის დღესასწაულს

**დიდი კულტურულ-ისტორიული და ზნეობრივ-ეთიკური მოვლენის მოწმენი გახდნენ ქრისტეშობის დღეს „შერიგების“ ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიაში შეკრებილნი – აქ პირველად ჩვენს ქალაქში შესრულდა დიდი კომპოზიტორის იოჰან სებასტიან ბახის განთქმული ქმნილება – „საშობაო ორატორია“.**

ეს ნაწარმოები ბახის შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი, სასიხარულოა (ამ სიტყვის ფილოსოფიური მნიშვნელობით), რაც განსაზღვრულია მუსიკის ჟანრულ-კონფესიური დანიშნულებით და განწმენდილ-ამაღლებული გრძნობით, რომელიც მოიცავს ხოლმე ამ დღეს ყველა მორწმუნეს.

როგორც ცნობილია, ბახის მრავალი დიდებული ქმნილება, როგორიცაა მესა სი მინორი, პასიონები, „მაგნიფიკატი“ თავდაპირველად ეკლესიაში შესრულებისთვის იყო გამიზნული, მაგრამ დიდი ხანია, რაც ისინი გასცდნენ წმინდა კონფესიურ ფარგლებს და საკონცერტო ესტრადაზე დამკვიდრდნენ. ამ მხრივ, გამონაკლისს არც „საშობაო ორატორია“ შეადგენს.

ჩვენ ყველანი – ყოფილი „საბჭოელები“, – გასაგები მიზეზების გამო, ბახის სასულიერო მუსიკას ძირითადად საკონცერტო დარბაზებში ვეზიარეთ. ძნელია სიტყვებით გადმოვცეთ ის სულიერი მღელვარება, რომელმაც მოიცვა გერმანული ეკლესიის მყუდრო და ნათელ დარბაზში შეკრებილი ადამიანები „საშობაო ორატორიის“ მოსმენის დროს.

ახლა კი ვთქვათ იმათ შესახებ, ვისი წყალობითაც ვეზიარეთ ბახის მარადიულ მუსიკას და განვიმსჭვალეთ მისგან მომდინარე ზნეობრივად ამაღლებული გრძნობით. ეს პირველ რიგში, გახლავთ ცნობილი გერმანელი თეოლოგი და საეკლესიო მოღვაწე, ეპისკოპოსი გერჰარდტ ჰუმელი, რომელმაც თავისი სახსრებით ააშენა თბილისში ეკლესია, სადაც უკვე მრავალი წელიწადია, იმართება სხვადასხვა სახის კულტურული, უპირატესად, მუსიკალური ღონისძიებები.

მკითხველს შევახსენებ, რომ „საშობაო ორატორიის“ შესრულება ბახის „მრგვალ“ საიუბილეო თარიღსაც (250 წელიწადი გარდაცვალებიდან) ემთხვეოდა.

ამ ძალზე რთული მხატვრული ამოცანის განხორციელების მთავარი „მოქმედი პირი“, უდავოდ, ჩვენი ცნობილი დირიჟორი, მრავალმხრივი მუსიკოსი, პროფესორი შალვა შილაკაძე გახლავთ, რომელმაც ბახის მონუმენტური პარტიტურის შესრულებისთვის მოიზიდა დიდი შემოქმედებითი კოლექტივი: ახალგაზრდული კამერული გუნდი (ხელმძღვანელი გივი მუნჯიშვილი), ახალგაზრდა მუსიკოსების გაერთიანება – „თბილისის კონცერტინოს“ კამერული ორკესტრი, თბილისის სიმფონიური ორკესტრის სოლისტთა ანსამბლი და სოლისტ-მომღერალთა კვინტეტი.

„საშობაო ორატორია“ 6 კანტატისაგან (60 ნომერი) შედგება, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე სრულდება საშობაო დღესასწაულებზე ეკლესიებში. საკონცერტო შესრულების დროს კი, ჩვეულებრივ, პირველი სამი ნაწილი (36 ნომერი) ჟღერს ხოლმე. ამ ტრადიციას მისდევს შალვა შილაკაძეც, რომლის მთავარი და უპირველესი ღირსება ის არის, რომ მას დამაჯერებლად მოაქვს მსმენელებთან ბახის მუსიკის ამაღლებული, განწმენდილი სულიერება. იგი უდავოდ გვევლინება ამ შესანიშნავი მუსიკალური დღესასწაულის მთავარ „ორგანიზატორად და კოორდინატორად“. ქებათაქება მას და მთელ საშემსრულებლო კოლექტივს, ესენი გახლავან: ორკესტრი, გუნდი, სოლისტების მთელი შემადგენლობა: ქეთევან კასრაძე (ჩელო), ლია ბაიდოშვილი და ეკა სანიკიძე (ორგანი), ჩინებული მომღერლები იანა სოლგანი (სოპრანო), მანანა ეგაძე (მეცოსოპრანო), თემურ ჯანელიძე (ტენორი), ზაზა ხელაია (ბანი). განსაკუთრებით მინდა გამოვყო ევანგელისტის (მთხრობელის) რთული და სპეციფიკური პარტიის შემსრულებელი, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი მამუკა მანჯგალაძე (ტენორი), რომელიც ისე მღერის, თითქოს ბახის ნაწარმოებებისა და საზოგადოდ, სასულიერო მუსიკის შესრულების დიდი გამოცდილება ჰქონდეს.

მადლობა გენიალურ კომპოზიტორს, რომელმაც მოგვილოცა შობის ბრწყინვალე დღესასწაული, მადლობა მუსიკოსთა შესანიშნავ კოლექტივს, რომელმაც გვაზიარა ამ დიდებულ მუსიკას და მასთან ერთად, მაღალი სულიერებით გამსჭვალულ გრძნობებს.

**გულბათ ტორაძე.**

## ქართველები მოსკოვში

# მკურნალი და ქომაგი

მოწოდებით მკურნალისა და ექიმის პროფესია რომ უმძიმეს და უდიდეს პასუხისმგებლობას გულისხმობს, იქიდანაც ჩანს, რომ ჩემს არც ერთ ქალიშვილს არ ვურჩიე ცხოვრებაში ეს რთული გზა აერჩია. არც ერთ ქალიშვილს სამედიცინო არ დაუმთავრებია, არადა მოგეხსენებათ, ქართველებში ეს იშვიათი მოვლენაა, როცა მშობლები დედაც და მამაც ექიმები არიან, – მითხრა საუბრისას პედიატრმა ზოია ხუბუტიამ. იგი ცნობილი კარდიოქირურგის ანზორ ხუბუტიას მეუღლეა. თავად კი მოსკოვის ერთ-ერთი ახალი უდიდესი რაიონის, მიტინოს ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმია. პოლიკლინიკისა, რომელიც 13 ათას 200 ბავშვს ითვლის და რომელთა ჯანმრთელობას 80 ექიმი და ორი ამდენი სამედიცინო პერსონალი ემსახურება.

ამავე პოლიკლინიკაში ქალბატონ ზოია ხუბუტიას ინიციატივით შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრი. არადა, უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში მარტო ინიციატივა და შიშველი ენთუზიაზმი არ კმარა. ეს დიდი პრესტიჟია და პოლიკლინიკამ და მისმა კოლექტივმა მომსახურების მაღალი პარამეტრებით უნდა მოიპოვოს, რადგან ამ ტიტულის მინიჭებით არა მარტო ორჯერ და სამჯერ იზრდება მათი დატვირთვა, ანაზღაურებაც მოემატათ.

შეკითხვაზე, თუ ვინ აფინანსებს დღეს მოსკოვში ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის სფეროს, პასუხი ცალსახა იყო – სადაზღვევო კომპანიები, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რომ ინფექციური დაავადებების მკურნალობა, გადაუდებელი სამედიცინო დახმარებები, აცრები აქ უფასოა. უფასოა, აგრეთვე, სამ წლამდე ასაკის ბავშვების არა მარტო სამედიცინო მომსახურება, წამლებიც კი, რა ძვირადღირებული მედიკამენტებიც არ უნდა იყოს. სამ წლამდე უფასოა, აგრეთვე, ბავშვთა კვებაც. უფასოა, სამედიცინო მომსახურება და წამლები მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, ინვალიდი ბავშვებისათვის, ჩერნობილში დაზარალებულთათვის.

ქალბატონ ზოიას ყოველ სამშაბათს მიღება აქვს. მოდიან მშობლებიც სხვადასხვა პრობლემებით. მისგან არავინ მიდის უკმაყოფილო. გულითადი მოსმენა და საუბარი, ამა თუ იმ საკითხის ძირისძირობამდე შესწავლა ეს მისი პროფესიული მოთხოვნების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა: ჯერ უნდა კარგად გაერკვე ყველა დეტალში და შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება. აჩქარებული დასკვნები დაუშვებელია, როგორც მკურნალობაში, ისე ორგანიზაციულ საქმიანობაში.



ელეგანტური მშვენიერი გარეგნობის მთავარი ექიმი პროფესიისადმი ერთგულებისა და კეთილი თვისებების გამო უყვართ არა მარტო მიტინოს რაიონში, არამედ კოლექტივშიც, რადგან თავად იძლევა მაგალითს იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მკურნალი ექიმი. მან შუა აზიაში უბნის ექიმობით დაიწყო თავისი პროფესიული კარიერა. გოკის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იქ განაწილებით მოხვდა. მისი ღრმა რწმენით, პედიატრობა ყველაზე პასუხსაგები საქმეა დედის წინაშე და თუ იტვირთე ეს უმძიმესი ტვირთი, ბოლომდე უნდა უერთგულო, რომ მართალი იყო ხალხისა და ღვთის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა ჯანმრთელობის სამმართველოში მთავარი პედიატრის პრესტიჟული თანამდებობა, პრაქტიკული სამუშაო და ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა ამჯობინა.

ქალბატონი ზოია ხუბუტია მრავალშვილიანი დედების დაცვის ჰუმანიტარული საზოგადოების „ბლაგოვესის“ პრეზიდენტია. მას განუწყვეტელი კავშირი აქვს სოციალურად დაუცველ ოჯახებთან. თვითონ და თავისი თანამოაზრეები ხშირად ეხმარებიან ტანსაცმლით, საკვებიპროდუქტებით, მედიკამენტებით და რაც მთავარია, ზრუნავენ მოზარდების ელემენტარული რელიგიური განათლებისათვის. ეხმარებიან ეკლესიებიდან მართლმადიდებლური ლიტერატურით.

ერთი სიტყვით, ქალბატონი ზოია ხუბუტია ის მკურნალი მანდილოსანია, რომელიც თავის სამუშაო გარემოში იმედისა და სიხარულის ნაპერწკალს აღვივებს და საკუთარი მაგალითით სხვასაც აქეზებს სიკეთისაკენ.

ეს გზა ღვთის გზაა ქალბატონო ზოია, ჩვენთვის უკვე საფიზო რეჟიმით გადაულახავ რუსეთის საზღვრებს იქით თქვენ ქართველი ქალისა და ქართველი დედის საუკეთესო მაგალითად გვეიმედებით, ყველა ლტოლვილისათვის ხომ ღიაა თქვენი კარები.

**დოდო იორდანიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ჟამთასვლის კრიალოსანი

# XX საუკუნის ქრონიკა

## რა ვაშენეთ, რა შევქმენით, რა ვაკეთეთ

1963 – საქართველოს ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტი. სიონის წყალსაცავი. სასტუმრო „კოლხეთი“ თბილისში.

1964 – რუსთავის ქიმიური ბოჭკოების ქარხანა. სსრკ თასი თბილისში (ფეხბურთი).

1965 – თბილისის მეტროპოლიტენი (28 ნოემბერი). შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემია. საქართველოს ბუნების დაცვის მუზეუმი. დავით გურამიშვილის ძეგლი თბილისში. ქორწინების სახლი თბილისში (კამოს ქუჩაზე). ბარათაშვილის ძეგლი თბილისში.

1966 – გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი. საბაგირო გზა: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი-კუს ტბა.

1967 – რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა. აბრეშუმის ჟაკარდული ქსოვის ფაბრიკა. სასტუმრო „ივერია“. ვახტანგ გორგასალის ქანდაკება. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობა. სამტრედიის ბამბის სართავი ფაბრიკა. რუსთავის დრამატული თეატრი. ბათუმის აკვარიუმი. დიდების ძეგლი ფოთში. პირველი მაღლივი 14-სართულიანი სახლი თბილისში.

1968 – ფერადი ტელევიზიის გადაცემები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსი. ქანდაკება „მედეა“ ბიჭვინთაში. ვარაზისხევის განაშენიანება (თბილისი).

1969 – ელექტრონულიონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისის საცირკო და საესტრადო ხელოვნების სასწავლებელი.

1970 – თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება. რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო. წინდების ფაბრიკა. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის სამღებრო-გამომყვანი წარმოება. ხაშურის ტექსტილურ-საგალანტერეო ფაბრიკა. შუა ხორგის (ხობის რაიონი) სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი მეურნეობა. ქანდაკება „მზეჭაბუკი“ თბილისში.

1971 – მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი. ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა. ზ. ფალიაშვილისა და ივ. თარხნიშვილის ძეგლები. მრავალსართულიანი („მრგვალი“) გარაჟი თბილისში. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი. ცეკავშირის ადმინისტრაციული სახლი. ძეგლები: „მუზა“, „ზ. ფალიაშვილი“ (თბილისი), „გიორგი სააკაძე“ (კასპი). ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობა“; საქართველოს ისტორიის ნარკვევები (8-ტომეული). ერეკლე II-ის ძეგლი თელავში. საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი „პირიმზე“ თბილისში.

1973 – ავტოვაგზლის შენობა თბილისში. ვაჟა ფშაველას ძეგლი. დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი. თბილისის ავტოსადგური. ზოოვეტერინარული ინსტიტუტის შენობა. მაქსიმ გორკის ძეგლი თბილისში.

1974 – საწარმოო გაერთიანება „თბილღვინო“. მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი. ჟურნალები: „საუნჯე“, „კრიტიკა“, „განთიადი“.

1975 – საწარმოო გაერთიანება „ელექტრომავალმშენებელი“. თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება. ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა. თბილისის მინიატურების თეატრი. საბაგირო გზა: შ. ნუცუბიძის ქ. ლისის ტბა და ონკოლოგიური საავადმყოფო. ფიროსმანიშვილის ძეგლი თბილისში. ძეგლი „კიდევაც დაიზრდებიან“ მარნეულში. ქართული ენციკლოპედია (11-ტომეული. 1975-1987). „საქსოფლტექნიკის“ ადმინისტრაციული შენობა თბილისში.

1976 – თბილისის შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანება. (ფეხბურთი). ნ. ბარათაშვილის ძეგლი თბილისში. საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი“. საბჭოთა კავშირის თასი თბილისში.

1977 – გრიბოედოვის თეატრის განახლებული შენობა. ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრი. თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანი“. საწარმოო გაერთიანება „საქავტორემონტი“. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მცხეთის ხელოვნების და ისტორიულ-ხუროთმოძღვრული მუზეუმ-ნაკრძალი. კონსტიტუციის მოედანი, სასტუმრო „აჭარა“. ს. ორჯონიკიძის ძეგლი თბილისში.

1978 – საქართველოს სსრ მეოთხე კონსტიტუცია (15 აპრილი). თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა. აგს-34 (10000 ნომერი). ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატები ქუთაისსა და ბათუმში. გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია. მაიაკოვსკის ძეგლი თბილისში.

1979 – თბილისის რკინიგზის ფოსტამტი. საავტომობილო გვირაბები რიკოთის უღელტეხილზე.

1980 – ენგურჰესი. სამგორ-ბათუმის ნავთობსადენი. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი (გორი), ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი (სენაკი). ცენტრალური ტელეგრაფი. გ. ტაბიძის ძეგლი. ლანჩხუთის ფეხბურთელთა გუნდი „გურია“ პირველ ლიგაში.

1981 – გამარჯვების მემორიალი ქუთაისში. ევროპის თასის მფლობელთა თასი (ფეხბურთი) თბილისში. დ. გულიას ძეგლი თბილისში.

1983 – საქართველოს ჩაის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი. კ. გამსახურდიასა და ნ. მუსხელიშვილის ძეგლები თბილისში.

1984 – ჟურნალისტთა სახლი თბილისში. ბათუმის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“ პირველ ლიგაში.



რუსთაველის სახელობის კინოთეატრი.



ენგურჰესის მშენებლობა.

მოგვაწოდა
**სულიკო ნუცუბიძემ.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 340. 2000 წ, № 1-4 2001 წ.

ჟურნალი

კვლავ ახარებს თავის ერთგულ მკითხველს ჟურნალი „საქართველოს ქალი“. გამოვიდა ჟურნალის № 9-10, რომელშიც ბევრი საინტერესო მასალაა თავმოყრილი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალთა დახმარება“ მონაწილეობას იღებს ქალთა საერთაშორისო დახმარების Healt and Gender Eguty პროგრამაში. საქართველოში შექმნილი ანალოგიური ორგანიზაცია ახორციელებს თრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ მულტიმედიურ კამპანიას. ჟურნალი ეხმაურება ამ მოვლენას წერილით „იყავით გონიერი, იყავით ფრთხილი“ (ეს საშინელი სიტყვა „თრეფიკინგი“) და აფრთხილებს ქალებს არ გახდნენ ძალადობის, თრეფიკინგის მსხვერპლი, განსაკუთრებით საზღვარგარეთ წასვლისას.



# საქართველოს ქალი № 9-10

გერმანიაში ბრანდენბურგის მხარეში ერთ ფაქიზად მოვლილ სახლში ქართული ლაპარაკი და ქართული ჰანგები ისმის. სახლის ბინადარნი ფოლკერ ბურკი და მისი მეუღლე მარიკა ლაფაური ოცნებობენ გაადაქციონ ეს სახლი ქრათულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების ცენტრად. ამაზე მოგითხრობთ ნათია გვასალიას წერილი „მიდი, ლაზარე!“.

უფლის განგებას ვერავინ ჩაწვდება. უფლის ერთ სასწაულზე – როგორ მოინათლა და ქრისტეს სახელით დაიწყო ქადაგება მუსლიმანმა კომუნისტმა, მოლას შვილმა ჰასან ბერიძემ და საკუთარი ხახსრებით ეკლესიაც ააგო, ამჟამად კი ბათუმის საკათედრო ტაძრის მოძღვარია და მისი ოჯახის ყველა წევრი გაქრისტიანდა – წერს ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი წერილში „ბოროტი მოდგმა ითხოვს ნიშანს“.

რუბრიკით „სჯანი“ დაბეჭდილია ესმა გომელაური-თურქიას საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული წერილი „გამთლიანებული აზროვნება“.

შესანიშნავი მხატვრის რენო თურქიასა და მისი მეუღლის ესმა გომელაურის არაჩვეულებრივ სიყვარულზე, მხატვრის მემკვიდრეობის გაფრთხილების აუცილებლობაზე წერს ნარგიზა მგელაძე წერილში „მთელ ჩემს სიცოცხლეს ვუძღვნი“.

ეროვნული განძის (ამ შემთხვევაში პეტრე ოცხელის მემკვიდრეობის) მოვლის საკითხებს ეხება მანანა იმესაშვილის წერილი „აფსუს, ბიჭო!“

პროზა და პოეზია წარმოდგენილია ელეონორა გერიტიშვილის და ნაზი ჭედიას ნაწარმოებებით.

რუბრიკით: „საკითხის დასმის წესით“ ნიკო ხატიაშვილი აყენებს საკითხს – შეიქმნას ლამაზი ქართველების მუზეუმი.

რუბრიკა „მსოფლიო მოღვაწე ქალები“ წარმოგიდგენთ ლატვიის პრეზიდენტს ქ-ნ ვაირი ვიკე-ფრეიბერგს.

ჟურნალი გაგაცნობთ უნგრელ ქართველოლოგს ქ-ნ მარგეტ ბიროს, ქართველ მსახიობს მზია არაბულს (ავტორი ნ. ბუკია).

ნომერში უხვადაა საინტერესო რუბრიკები „დედის სკოლა“, „მეცნიერები გვირჩევენ“, „დედები და შვილები“, პატარა სერიოზული ინფორმაციები, მოგონებები, „მაღალი მოდის გრანდები“, „რჩევები“.

ყდაზე წარმოდგენილია მხატვარი ნინო გოგოლაშვილი და მისი ნამუშევრები.

გამოცემა

# საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების დასახმარებლად

მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა გამოგონებამ – ავტომობილმა საგრძნობლად შეცვალა მსოფლიო ცივილიზაციის ყოფა-ცხოვრება, იგი ადამიანთა ყოველდღიურ აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა. მესამე ათასწლეულში საავტომობილო ინდუსტრიის განვითარება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ადამიანთა კეთილდღეობას, თუმცა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საფიქრალიც საკმაოდ გაუჩინა კაცობრიობას – დღევანდელ მსოფლიოში ყოველდღიურად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას ათასობით ადამიანი იღუპება და სახიჩრდება. სავალალო შედეგებს ემატება მხამიანი გამონაბოლქვებით დაბინძურებული გარემო. ყოველივე ზემოაღნიშნული განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რომელთა პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ყოველივეს შესწავლა-გაანალიზება, კვალიფიციური, სამართლიანი დასკვნების გამოტანა.

ეს ყოველივე საავტომობილო საქმეში განსწავლულმა სპეციალისტებმა, სამართლის და წეს-კანონების პრინციპულად აღმსრულებელმა მომკვლევებმა და ექსპერტებმა უნდა განახორციელონ. საამისოდ საჭიროა პროფესიული ლიტერატურა, რომელიც სათანადო დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს უაღრესად რთული და გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტა-მოგვარებაში, კვალიფიციურ და ამომწურავ რჩევა-დარიგებას მისცემს საავტომობილო საქმის სპეციალისტებს. ამ თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ახლახან გამოცემული გენო კომმანაშვილისა და რობერტ იანტბელიძის საგამოძიებო ცნობარი „საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა გამოძიებისათვის“ (რედაქტორი ვალერიან ლეკიაშვილი). წიგნი რვა თავისაგან შედგება და თითოეული მასალა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ადგილზე დაგროვილი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებაზე დაყრდნობით არის გაშუქებული. ნაშრომში მოცემულია სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის თეორიული საკითხები, ცალკეა მოყვანილი კონკრეტული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მაგალითები. ავტორები შენიშნავენ, რომ მცირერიცხოვანი ძალებითა და უბრალო საშუალებებით თავისუფლად შეიძლება ნებისმიერი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის წარმომქმნელი მიზეზებისა და პირობების, მასში მონაწილეთა ბრალეულობის ხარისხის დადგენა.



რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართულ ენაზე პირველად დაისტამბა ესოდენ აუცილებელი და საჭირო წიგნი, რომელიც პროფესიულ დახმარებას გაუწევს საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების მუშაკებს ზუსტად ჩამოაყალიბონ ავტოსაგზაო შემთხვევების ფაბულა და ექსპერტებს სინამდვილის ამსახველი უტყუარი მონაცემები მიაწოდონ.

როგორც ყოველი ახალი წამოწყება, ცხადია, ეს საგამოძიებო ცნობარიც ვერ იქნება ხარვეზებისაგან დაზღვეული, ამიტომ ავტორები პროფესიონალთა საქმიან შენიშვნებს სიამოვნებით გაითვალისწინებენ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## რაც მეტი იცი...



# ქართული კულტურის ძეგლები

## იცნობთ მათ?

ფოტოებზე გამოსახულია ქართული კულტურის ძეგლები. თითოეულის ქვემოთ მოცემულ ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ მათი სახელწოდებანი, რომელთა შემადგენელი ასოები უწესრიგოდ გაფანტულია აქვე მოცემულ ტაბულაში. გამოცნობილი ასოები ტაბულაში უნდა გადახაზოთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ე | ნ | ფ | რ | ბ | |
| ო | ი | ე | უ | ა | ა | ბ |
| ჩ | გ | ბ | ნ | ი | ნ | ი |
| ყ | ო | რ | | თ | ხ | ა |
| შ | რ | ი | ი | ე | ი | რ |
| ო | წ | ნ | ი | ი | ს | ს |
| | ა | ი | ნ | ი | ტ | |













## მამაკაცს ნერვული უჯრედები აკლია

ქალისა და მამაკაცის ორგანიზმი ბევრი რამით განსხვავდება ერთმანეთისაგან. აი, კიდევ ერთი სხვაობა, რომლის არსიც სახელგანთქმულმა ექიმმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯორჯ შელმა დაადგინა.

მამაკაცი შედარებით გულცივი იმიტომ კი არა არის, რომ კაცობრიობის „ძლიერი ნახევრის" უპირატესობის გრძნობა აქვს თანდაყოლილი. ჯორჯ შელის მტკიცებით, ქალის თავის ტვინში არსებობს სპეციალური „ცენტრი, რომელიც მართავს სხვადასხვა ემოციას. იგი პირდაპირი არხითაა დაკავშირებული მეტყველების ცენტრთან, მამაკაცების თავის ტვინში კი ასეთი ნერვული კვანძი, უბრალოდ, არ არსებობს". სწორედ ამიტომაა, რომ ადამის შთამომავალთ, ევას მემკვიდრეთაგან განსხვავებით, უძნელდებათ საკუთარი გრძნობების სიტყვით გამოხატვა.



## „აბი გლუკოზა", ანუ: ფრთხილად!

იშვიათია ადამიანი, აბების ყლაპვა რომ უყვარდეს. მართალიცაა — აბსოლუტურად უხიფათო წამალი არ არსებობს. მაგრამ არსებობს ექვსი „ოქროს წესი", რომლებიც ამა თუ იმ წამლის უკუჩვენების საფრთხეს საგრძნობლად შეამცირებს:

1. აბი თუ კაფსულა უნდა მიიღო დამჯდარ ან მდგომიარე მდგომარეობაში (არავითარ შემთხვევაში — მწოლიარემ) და აუცილებლად მიაყოლო წყალი. ამის შემდეგ ორიოდ წუთს არ უნდა დაწვე.

**აი, რატომ:** სხვაგვარად წამალი საყლაპავ მილს მიეკრობა, კუჭს ვერ მიაღწევს, 10 წუთში დაიშლება და ცხადია, ეფექტი არ ექნება.

2. წამალი მიიღე რეგულარულად. თუ ინსტრუქცია მიგვითითებს, რომ აბი დღეში სამჯერ უნდა მიიღოთ, იგი უნდა მიიღოთ სწორედ სამჯერ და არა 2-ჯერ ან 5-ჯერ.

**აი რატომ:** ინსტრუქციის დაცვა იძლევა სისხლსა და ქსოვილებში წამლის მუდმივ და ეფექტურ კონცენტრაციას. დოზის გადაჭარბება გამოჯანსაღების პროცესს ვერ დააჩქარებს.

3. დოზასთან ერთად უნდა დაიცვა მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა. ზოგჯერ მდგომარეობის შემსუბუქებას იგრძნობენ თუ არა, მკურნალობას წყვეტენ რაც დაუშვებელია.

**აი, რატომ:** როცა მკურნალობის კურსს წყვეტ, ამით საშუალებას აძლევ მიკრობებს, შეეგუონ წამალს და შემდეგ იძულებული ხდები, უფრო ძლიერი პრეპარატი იხმარო.

4. გამოიყენე მხოლოდ შენი (ანუ ექიმის დანიშნული) წამლები. ნუ მიიღებ მეუღლისთვის ან ბებოსთვის გამოწერილ პრეპარატს.

**აი, რატომ:** ადვილად შეიძლება მოიწამლო.

5. თუ წამალმა უკუჩვენება მოგცა, მაგალითად, ალერგიული გამონაყარი ან ქავილი, მისი მიღება მყისვე უნდა შეწყვიტო.

**აი, რატომ:** რათა უარესად არ გახდე.

6. ნუ მიიღებ ვადაგასულ პრეპარატს.

**აი, რატომ:** უკეთეს შემთხვევაში — არაფერს გარგებს, უარეს შემთხვევაში — შეიძლება გავნოს. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით დროდადრო გააკონტროლე შენი საოჯახო აფთიაქი.

## ვიქტორინა ერუდიტებისათვის




1. კალას ნაწილს მტკვარს, ნარიყალას, შ. დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის, მარჯვენა მხარეზე ეწოდება...

**ა — ზემოუბანი; ბ — ზემობაზარი; გ — ზემომოედანი.**

2. ქართლურ-კახურ დიალექტში — ულეწელა, რაჭულ-ლეჩხუმურში — ულეწავა, ინგილოურში — არდ, მეგრულში — ტატალი, სვანურში ულეწუაი ჰქვია მცენარეს, რომლის ლიტერატურული სახელია...

**ა — ურთხელი; ბ — ურიზი; გ — ვარდკაჭკაჭა.**

3. პარიზის ერთ-ერთ უმსხვილეს აეროპორტს ეწოდება:

**ა — მარსენა; ბ — ორლა; გ — მონაკო.**

4. „გეტყვი, რომ მოველ ბრძოლანახული და სიკვდილამდის შენთან დავრჩები".

**ა — მირზა გელოვანი; ბ. ალ. საჯაია; გ. ლადო ასათიანი.**

5. ლაზიკაში (დასავლეთ საქართველოში) ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 523 წელს. იმ დროს ლაზიკის მეფე იყო...

**ა — გუბაზი; ბ — წათე; გ — ბაკური.**

6. ალ. დიუმას „სამ მუშკეტერში" პორთოსის მსახურია...

**ა — მუშკეტონი; ბ — პლანშე; გ — გრიმო.**

7. სვეტის ან კედლის სვეტის ქვედა საყრდენ ნაწილს ჰქვია...

**ა — ბაზისი; ბ — ბაზმა; გ — ბომონი.**

8. პლანეტა მარსის პირველი ფოტოსურათები 1965 წელს გადაიღო აშშ-ის კოსმოსურმა ხომალდმა...

**ა — „ტელესტარ-1"; ბ — „აპოლონ-8"; გ — „მარინერ-4".**

9. წვიმას, რომელიც სწრაფად წამოვა და სწრაფადვე გადაიღებს ქართულში ჰქვია...

**ა — დელგმა; ბ — ისხარი; გ — თქეში.**

10. გოგირდოვანი მჟავას მარილს ეწოდება...

**ა — სულფიტი; ბ — სულფატი; გ — სულფიდი.**

**პასუხები:**

1. ზემოუბანი; 2. ურთხელი; 3. ორლი; 4. მირზა გელოვანი; 5. გუბაზი; 6. გრიმო. 7. ბაზისი; 8. „მარინერ-4"; 9. თქეში; 10. სულფიტი.

## დაიმახსოვრე!..

- ჭიქა, გრაფინი, ბოთლი თუ გაგიტყდა, წვრილ ნამსხვრევებს ხელით ნუ აკრეფ, გამოიყენე სველი ბამბა — ნამსხვრევები უკლებლივ ზედ მიეკრობა.
- ან კიდევ: პლასტილინი გრძლად დაამრგვალე და გადააგორე იმ ადგილზე, სადაც ნამსხვრევები ჰყრია.
- თუ ახალ ცოცხს 2-3 საათით ცხელ მარილწყალში მოათავსებ, იგი ორ-სამჯერ მეტ ხანს მოგემსახურება.
- ვერცხლისა და ნიკელის ნაკეთობა ახალივით იპრიალებს თუ მას ნიშადურის სპირტში ამოვლებული შალის ჩვრით გაწმენდ ხოლმე.
- კარ-ფანჯრის ნიკელის სახელურები, აგრეთვე, ონკანის წყლის გამანაწილებელი ალაპლაპდება, თუ მათ ძმრისა და მარილის ხსნარში დასველებულ ჩვარს გადაუსვამ.
- თუ პირსაბანის ნიჟარას წყლისაგან უსიამო ყვითელი ლაქები დააჩნდა, მისი თავიდან მოშორება ცოტაოდენ მარილდამატებული ცხელი ძმრით შეგიძლია.
- აბაზანის მინანქარი შეიძლება ასე გააახლო: თანაბარი წონითი პროპორციით ერთმანეთს შეურიე „სუპერცემენტი" და თეთრი ნიტროემალი. აბაზანა ჯერ ბენზინის საშუალებით ცხიმისაგან გაათავისუფლე, მერე კი ბამბის ფთილით სქლად წაუსვი ზემოხსენებული ნარევი. ერთ დღე-ღამეს გააჩერე და ნარევი ისევ გადაუსვი. ასე გაიმეორე 4-ჯერ და შენი აბაზანის ზედაპირი თეთრი, პრიალა აფსკით დაიფარება, რომელიც კარგა ხანს არ შეიცვლის ფერს.

## მზე ქვაში



**ძველისძველი სკანდინავიური ლეგენდა, გვასწავლის: „თუ ჭაბუკმა შეყვარებულს ქარვის ნატეხი აჩუქა, ეს ნიშნავს იმას, რომ სამუდამოდ მიუძღვნა თავისი გული..."**

ბერძნები ქარვას ელექტრონს უწოდებდნენ და თვლიდნენ, რომ ამ მზიურ ქვას მრავალი სენის განკურნება შეეძლო.

მართლაცდა, თითქოს შედედებული მზის სხივია ქარვა. მისი ყოველი ელფერი — მუქ-თაფლისფერი, გამჭვირვალე ოქროსფერი თუ მომწვანო-ნაცრისფერი საოცრად თბილ სილამაზეს ასხივებს. ხოლო თუ ოქროს ან ვერცხლის მაქმანში ზის, მისი კეთილშობილებას უკიდურესი სკეპტიკოსიც კი ირწმუნებს.

ქარვა მუდამ მოდაშია. მას უძღვნიან უახლოეს, უძვირფასეს, უსაყვარლეს ადამიანებს კეთილგანწყობისა და ერთგულების ნიშნად.

ღია ფერის ქარვის სამკაული უხდებათ ცისფერთვალება ქერა ქალებს, მუქი ფერისა — ნაცრისფერთვალებასა და წაბლისფერთმიანს, აგრეთვე, შავთმიან მანდილოსნებს, რომლებსაც ჭრელი თვალები აქვთ.

... დიახ, ქარვა მზის სხივების გაქვავებული ნაკადია.

**მოამზადა ლალი ცქვიტიშვილმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

წყალბურთი

# ნახევარფინალში — უდანაკარგოდ



**მესამე წელიწადია, ტრადიციად იქცა საქართველოს წყალბურთელთა რუსეთის ღია ჩემპიონატებში მონაწილეობა. შარშანწინ ჩვენმა სპორტსმენებმა 1982 წელს დაბადებულთა ასპარეზობაში ოქროს მედლები მოიპოვეს. შარშან 15-16 წლის ჭაბუკთა პაექრობაში საქართველოს გუნდმა, რომელიც უმთავრესად 14-15 წლის ბიჭებით იყო დაკომპლექტებული, მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა წააგო და ვერცხლის მედლებს დასჯერდა. მესამე გათამაშებაში კი „ლაგუნა-ვერეს“ წყალბურთელები (ზურაბ ჭუმბურიძე, სანდრო შარაშიძე, ავთანდილ და ირაკლი ბაზაძეები, ზურაბ რურუა, გურამ კოტარია, გიორგი ჩხეიძე, გიორგი ჩუბინიძე, თამაზ მანძულაშვილი, გურამ მებუკე, მწვრთნელები — სოსო მაისურაძე და ირაკლი კიკალიშვილი) თანატოლებს ეცილებიან ჯილდოებს. ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები სამ ქალაქში მოეწყო და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად 23 გუნდი იბრძოდა: სანკტ-პეტერბურგში — 8, მოსკოვშიც ამდენივე და ძერჟინსკში — 7. ჩვენი წყალბურთელები, სწორედ, ძერჟინსკში გამოდიოდნენ.**

— რუსეთის შარშანდელი ღია ჩემპიონატის შემდეგ თითქმის რვა თვე არსად გვითამაშია, — მითხრა „ლაგუნა-ვერეს“ მთავარმა მწვრთნელმა **სოსო მაისურაძემ,** — მარტო ვარჯიშით კი, მოგეხსენებათ, გამოცდილებას ვერ შეიძენ, თანაც, უსახსრობის გამო, შეჯიბრებაზე 14-ის ნაცვლად 10 სპორტსმენით გავემგზავრეთ. ამიტომ სტარტზე ცოტათი გაგვიჭირდა, თუმცა, ტურნირზე ქულაც არ დაგვიკარგავს — ასტრახანის ნაკრებს მოვუგეთ 8:4, ტუაფსეს სპორტსკოლის გუნდს 5:0, მოსკოვის „იუნოსტი“ დავამარცხეთ 9:6, ნიჟნი ნოვგოროდისა და ძერჟინსკის გაერთიანებული ნაკრები 7:3, ტუაფსეს „სატურნი“ 9:5, ჩელიაბინსკის № 7 სპორტსკოლის გუნდი 5:0. სულ 6 მატჩში 43 ბურთი გავიტანეთ და საკუთარ კარში მივიღეთ 18, მოვაგროვეთ 12 ქულა და პირველი ადგილი დავიკავეთ. მასპინძლები სამი ქულით ჩამოგვრჩნენ. 7 ქულით მესამე იყო ასტრახანის ნაკრები, 6 ქულით მეოთხე ადგილზე მოსკოვის „იუნოსტი“ გავიდა. ეს ოთხი გუნდი მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის შესარჩევი ჯგუფების ოთხ-ოთხ საუკეთესოსთან (მოსკოვიდან — ცსკა, „ბურევესტნიკი-1“, „ტრუდოვიე რეზერვი“, „ბურევესტნიკი-2“; სანკტ-პეტერბურგიდან — „პეტერბურგი“, „ბრესტი“, „ვოლგოგრადი“, „ყაზანი“) ერთად ორ ნახევარფინალურ ჯგუფს შექმნის და ასევე წრიული სისტემით 19-24 მარტს ფინალურ ექვსეულს გამოავლენს.

**— ძერჟინსკის ტურნირში ჩვენი გუნდიდან თავი ვინ გამოიჩინა?**

— ყველამ მონდომებით ითამაშა. მუშტივით შეკრული კოლექტივი იყო. სპეციალისტებსა და გულშემატკივრებზე კი განსაკუთრებული შთაბეჭდილება ავთანდილ ბაზაძემ მოახდინა. მან მეტოქეთა კარში 17 გოლი გაიტანა და ბომბარდირობასთან ერთად ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზიც დაიმსახურა. ახალ ამპლუაში მოგვევლინა გუნდის კაპიტანი თამაზ მანძულაშვილი. ბოლო ორ ტურში ავად გაგვიხდა ჩვენი საუკეთესო მეკარე ზურაბ ჭუმბურიძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა „ლაგუნა-ვერეს“ გამარჯვებაში. რადგანაც ერთი მეკარით გავემგზავრეთ ძერჟინსკში, ზურაბი კაპიტანმა შეცვალა და საკმაოდ საიმედოდაც იცავდა კარს. ცალკე მინდა აღვნიშნო ზურაბ რურუას (ცნობილი წყალბურთელის დავით რურუას ვაჟი) კარგი თამაში. იმის მიუხედავად, რომ იგი მხოლოდ 13 წლისაა, გოლს არ უდებდა უფროსებს.

საერთოდაც, კარგი გუნდი გვყავს და, სათანადო ხელშეწყობა თუ გვექნება, საქართველოს ნაკრებს ღირსეულ ცვლას მოვუმზადებთ.

**— ტურნირზე გამგზავრება როგორ მოახერხეთ?**

— ისევ მშობლების დახმარებით და ნასესხები ფულით, რადგან საწყლოსნო სახეობათა ფედერაციისთვის თანხა არავის ჩაურიცხავს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ გენერალურ დირექტორს ვლადიმერ გოიაშვილს, რომელიც ყოველმხრივ გვეხმარება და აუზში ყოველდღიურად უფასოდ გვავარჯიშებს.

*ერთსაც დავძენ: იქნებ, XXI საუკუნეში მაინც გამოჩნდეს ვინმე ლუთისნიერი, რომელიც მეცენატობას გაუწევს ჩვენს პერსპექტიულ ჭაბუკ წყალბურთელებს, მით უმეტეს, რომ მათ მარტის ბოლო დეკადაში შეჯიბრებაზე გასამგზავრებელი ფული სჭირდებათ.*

**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: უტევს თამაზ მანძულაშვილი.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ახალი სახელები

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტს ათლეტიზმში კარგი ტრადიციები გააჩნია. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გიორგი დარჩიამ სწორედ აქ აღზარდა შესანიშნავი ათლეტები, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები რევაზ ბარდაძე, კოტე დვალიშვილი, ილია ბერძენიშვილი და ამჟამად აშშ-ში მოღვაწე მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი მიხეილ მანუკიანი.

დღეს ათლეტიზმის სექციას სათავეში უდგას ქალთა შორის XX საუკუნის უძლიერეს ქართველ ათლეტად დასახელებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნაზი გოგიშვილი. მისი შეგირდები — ზურაბ და დევი დოლიძეები, გიორგი და ირაკლი როდონაიები, არჩილ ასათიანი და სხვა პერსპექტიული ჭაბუკები გულმოდგინედ ემზადებიან მომავალი ასპარეზობებისთვის.



სურათზე: მეორე რიგში (მარცხნიდან) — გიორგი როდონაია, ზურაბ დოლიძე, არჩილ ასათიანი. პირველ რიგში ზის დევი დოლიძე.

გთავაზობთ ლერძზე მიზიდვას **არჩილ ასათიანის** შესრულებით:

1) **მიზიდვა ბიცეპსების (ორთავა კუნთების) ძალით (სურ. 1).** ავითარებს მხრის ორთავა, დელტისებრ და მკერდის კუნთებს. ვარჯიშს ეთმობა 4 მისვლა 6-6 გამეორებით.

2) **მიზიდვა ტრიცეპსების (სამთავა კუნთების) ძალით (სურ. 2).** ავითარებს მხრის სამთავა და დელტისებრ კუნთებს. სრულდება 4 მისვლა 6-8 გამეორებით.

3) **ლერძზე მიზიდვა ვიწრო ჭიდით (სურ. 3).** ავითარებს მხრის ორთავა, მკერდისა და ზურგის უგანიერეს კუნთებს. რეკომენდებულია 4 მისვლა 8-8 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**ნაზი გოგიშვილის ფოტო.**



1



2



3

ხელოვანი და სპორტი

# დოდო აბაშიძე — მოჯირითე და მოჭიდავე



გამოჩენილი კინომსახიობი და იშვიათი ათლეტი დოდო აბაშიძე სპორტის არაერთ სახეობას გახლდათ ნაზიარევი. იგი კარგი მოკრივე იყო, ცურავდა, რიგიანად თამაშობდა ფეხბურთს და ა. შ. დოდო აბაშიძე შესანიშნავი მოჯირითეც გახლდათ.

კინოხელოვნებასთან დაკავშირებული ქართველი კალმოსანი **ლევან მალაზონია** (რომლის სცენარის მიხედვითაც არის გადაღებული კინოფილმი „ლაზარე“) მოგვითხრობს:

— ერთ-ერთი კინოგადაღების მერე, რომელიც მიმდინარეობდა თბილისიდან საკმაოდ მოშორებით, იმ სოფლის მცხოვრებნი, სადაც იღებდნენ ფილმს, ვერ შელევიან თავიანთ საყვარელ მსახიობს, ფრიად მომხიბლავ პიროვნებას და ქართული ლხინის წარმართვის ოსტატს დოდო აბაშიძეს და მიუწვევიათ იგი სახელდახელოდ გამართულ სუფრაზე. დოდო უარზე აღარ დამდგარა, რადგან სოფლელებს ძალიან გაანაწყენებდა. კინოჯგუფს კი აგვიანდებოდა მატარებელზე. დოდოს სუფრიდან აღარ უშვებდნენ. დაცდა უკვე შეუძლებელი იყო და გადამღებმა ჯგუფმა მატარებელს მიაშურა. მოდიოდნენ კინოხელოვანნი თბილისისაკენ და თან ფიქრობდნენ, ნეტავ სად დაგვეკარგაო ჩვენი დოდო. ამ დროს გაისმა ცხენის ფლოქვების თქარათქური და დოდო აბაშიძის ომახიანი შეძახილი — პაიტ, თქვე ყურუმსაღებო, მართალია გამეპარეთ, მაგრამ ვერ მოგართვით, ვერსად გამექცევითო. ამ სიტყვებთან ერთად ეს ვეება ვაჟკაცი, რომელიც შნოიანად მოაჭენებდა თეთრონს, წამოსწევია ვაგონებს, პირდაპირ ცხენიდან მსუბუქად შემოხტომია, უკვე საკმაოდ სწრაფად მიმავალ მატარებელს. რაკილა შეუტყვია, რომ ჯგუფს ველარ მიუსწრებდა, დოდო აბაშიძეს ცხენი უთხოვია თანამეინახეებისათვის. მათაც მყის მოუყვანიათ თეთრი მერანი და უთქვამთ, ეს ცხენი მოკლეზე მეზობელ სადგურამდე მატარებელს მიასწრებს, მერე კი მაგის ნუ გედარდებათ, თავისით დაბრუნდებაო უკან.

სოფლელებს, რაღა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ დოდო აბაშიძე განახორციელებდა ურთულეს ტრიუკს და ცხენიდან დაძრულ მატარაბელს შეახტებოდა.

* * *

ქართული კინოს ვარსკვლავი **ოთარ კობერიძე** იგონებს: — „ბაში-აჩუკის“ გადაღებაზე უნდა გვეჭიდავა მე (ბაში-აჩუკს) და დოდოს (აბდუშაპილს). ძალ-ღონე არასოდეს მაკლდა, ვარჯიშის დიდი ხნის სტაჟიც მქონდა, მაგრამ დოდოს ძერა ვერ ვუყავი — ოთხფად ნაქსოვი ვაჟკაცი გახლდათ. არადა, მიზანსცენის მიხედვით ბაში-აჩუკს უნდა წაექცია აბდუშაპილი. რეჟისორმა დამაჩქარა, რას შერები, ოთარ, გადაღება გვიანდებაო, — მოგვერდი ვერ გავაკეთე, ბატონო, — თავი ვიმართლე მე. ამ დროს დოდო გადმოიხარა ჩემსკენ და ყურში ჩამჩურჩულა: წავიქცევი, თუ თეთრ დუქანში კარგ პურმარილს გაშლიო, — შენ ოღონდ წაიქეცი და გავშლი, აბა რას ვიზამ, — დავეთანხმე. ამის თქმა და დოდოს მიწაზე გაშოტვა ერთი იყო, მე პირობა შევუსრულე, კარგად მოვილხინეთ თეთრ დუქანში, ბევრიც ვიცინეთ ამ ამბის გამო...



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ყოველი მხრიდან

### კარგი გამოცდა

თითქმის 47 ათასამდე ფეხბურთის გულშემატკივარი ესწრებოდა 3 იანვარს ამომავალი მზის ქვეყანაში გამართულ მსოფლიოს ნაკრებისა და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლების – იაპონიისა და კორეის ნაკრებთა მატჩს.

იეკოჰამაში გამართულმა შეხვედრამ მართლაც რომ დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა, იაპონიაში ვერ წავიდნენ პლანეტის ნაკრების მწვრთნელის არიგო საკის მიერ მიწვეულნი – ფრანგი ზინედინ ზიდანი, იტალიელი პაოლო მალდინი, ბრაზილიელები რონალდო და ჟუიონ ბოიანო. ტრავმის გამო მოედანზე ვერ გამოვიდა რომარიო.

აზიური გუნდი პირველ ტაიმში უფრო წარმატებით თამაშობდა და ანგარიშიც გახსნა – კორეელმა კი ჩვუ სუმ საჯარიმოს ოსტატურად დარტყმით აილო ჩილავერტის კარი. მალე ცნობილ მეკარე-ბომბარდირს ჰქონდა საჯარიმოდანვე ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა.

მეორე ტაიმში უკვე დანარჩენი მსოფლიოს წარმომადგენლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, კარშიც ხშირად ურტყამდნენ, მაგრამ მხოლოდ 72-ე წუთზე შეცვლაზე გამოსულმა ხორვატმა რობერტ პროსინეჩკომ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მართალია, ორმხრივი მძაფრი შეტევები შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

მსოფლიო ნაკრებში მთელი მატჩი ითამაშა კიევის „დინამოს" ქართველმა ლეგიონერმა **კახი კალაძემ.**

ახალი საუკუნისა და ათასწლეულის პირველი უმაღლესი დონის საერთაშორისო მატჩი კარგი გამოცდა გამოდგა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთათვის.

### წილისყრა — 12 იანვარს

მომავალ პარასკევს, 12 იანვარს, მოსკოვის „პრეზიდენტ-ოტელში" გაიმართება მინი-ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის წილისყრა.

ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებენ საპატიო სტუმრები, **უეფასა** და რუსეთის ფეხბურთის კავშირის ოფიციალური წარმომადგენლები და, რასაკვირველია, რვავე ფინალისტის წარმომადგენლები.

შეგახსენებთ, რომ ფინალურ ტურნირში, რომელიც 20-დან 28 თებერვლამდე გაიმართება „ლუჟნიკების" სპორტის სასახლეში, ოქროს მედლებისათვის იბრძოლებენ: ევროპის ახლანდელი ჩემპიონი – რუსეთი, 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონი – ესპანეთი, აგრეთვე იტალიის, პოლონეთის, უკრაინის, ჰოლანდიის, ხორვატეთისა და ჩეხეთის გუნდები.

### რეკორდების რისხვა

ინსბრუკში 23 წლის პოლონელმა ადამ მალიშმა ოლიმპიური ტრამპლინის ახალი რეკორდი დაამყარა, ოთხი ტრამპლინის ტრადიციულ ტურნეში მესამე ეტაპისწინა საკვალიფიკაციო შეჯიბრში იგი 120,5 მეტრზე გადახტა: ეს კი ნახევარი მეტრით სჯობს 1997 წელს გერმანელი დიტერ ტომის მიერ დამყარებულ რეკორდს.

მიმდინარე სეზონში პოლონელმა „პატარა" მხტომელმა უკვე მეორე რეკოლდი დაამხო. წინა ეტაპზე გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტენკირჰენში მან 6,5 მეტრი მიუმატა ადგილობრივი ტრამპლინის რეკორდს, რომელიც 1999 წელს მსოფლიო ჩემპიონმა, გერმანელმა მარტინ შმიდტმა დაამყარა.

### სელეშს მცველები ახვევია

ალბათ ჩოგბურთის მოყვარულებს ახსოვთ, რომ 1993 წლის 30 აპრილს ჰამბურგში 38 წლის გიჟმა ფანატიკოსმა ჰიუნტერ პარხემ ზურგში დანა ჩაარჭო სახელგანთქმულ ჩოგბურთელს მონიკა სელეშს.

მას შემდეგ საჩოგბურთო ტურნირებზე მონიკას მახლობლად მუდამ იმყოფებოდნენ მცველები, რათა უბედური შემთხვევა აღარ გამეორებულიყო.

მაგრამ უსიამოვნო ეპიზოდი მაინც მოხდა – ოთხშაბათს პერტში აშშ-რუსეთის მატჩში წყვილთა შეჯიბრების დამთავრებისას, როცა ჩვეულებრივად ყველაფერი ირევა ხოლმე, ვიღაც უკნიდან მიუახლოვდა ჩოგბურთელ ქალს და მხარზე მოუთათუნა, რითაც მონიკა მსუბუქ შოკში ჩავარდა. შეშინებული მონიკა თავის მეწყვილეს ჟანა-მოკლ გამბილამის მოეფარა. მალე ყველაფერი გაირკვა, სელეში დამშვიდდა და მოუთმენელ უცნობს ავტოგრაფიც კი მისცა. მეორე დღიდან კი ჩოგბურთელს უკვე განსაკუთრებულად იცავენ.



**სურათზე: მონიკა სელეშს თვალს არ აშორებს უშიშროების სამსახურის თანამშრომელი.**

## ჩვენებურები

# ვის რა აქვს და რა აკლია

მოსკოვის „ლოკომოტივმა" რუსეთის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, უეფას თასზე კი ვერაფერს გახდა. რატომ ვერ მოიპოვა მან „ოქრო" და უკეთ ვერ ითამაშა ევროპაში? მოვუსმინოთ მოსკოველ მიმომხილველ **ოლეგ ტიმოფეევს:**

– „ლოკომოტივის" დიდი ნაკლი თავდასხმის სისუსტეა. სამმა თავდამსხმელმა – ტერიოხინმა, ჯანაშიამ და ბულიკინმა – მხოლოდ 16 გოლი გაიტანა, შესაბამისად, 8, 5 და 3. ტერიოხინი თავს რუსი შერინგემის როლში წარმოიდგენს, რომელიც მინდორზე ყოფნას კარში დარტყმებით თუ გვახსენებდა. „მანჩესტერ იუნაიტედი" შემტევ ფეხბურთს თამაშობს და შერინგემი კარგად მოერგო ფერგიუსონის ტაქტიკურ სქემას. რაც შეეხება მოსკოვის „ლოკომოტივს", იგი დაცვით ვარიანტს ირჩევს, ამდენად, ისეთი თავდამსხმელები სჭირდება, რომელთაც შეუძლიათ ბურთი მინდვრის შუაგულში მიიღონ და მეტოქის კარისაკენ ისარივით გაიჭრან. ასეთი სისწრაფე არც ტერიოხინს აქვს და არც ჯანაშიას. ამ მისიას უფრო ბულიკინი შეასრულებდა, რომელსაც ორი წლის წინათ რუს ბირჰოფსაც კი უწოდებდნენ, მაგრამ არა თუ ვერ მიუახლოვდა თავის გერმანელ კოლეგას, არამედ ისიც დაკარგა, რაც ჰქონდა.

**სპორტის რედაქცია.**

## შეხვედრა

# ქართული სული არაქართულ სკოლაში

ლამის რომ დავიჯერეთ, მატერიალურმა სიდუხჭირემ სულიერი ფასეულობებისადმი ინტერესი დაგვიკარგაო, მართალი არ ყოფილა. აგერ, ახლახანს, ქართველ მწერლებს – სილოვან ნარიმანიძეს და ლადო მრელაშვილს შეხვედრა მოუწყეს თბილისის 64-ე რუსულ სკოლაში! როგორც შემდეგ პედაგოგმა თინა ჩადუნელმა გვამცნო, ეს შეხვედრა ქართული ლიტერატურის კვირეულის შემადგენელი ნაწილი ყოფილა.

ბარაქალა 64-ე რუსული საშუალო სკოლის მესვეურთ დირექტორის გიორგი ჩილ-აკოპოვის მეთაურობით. ჩანს, აქ სახელმწიფო ენას ჯეროვან ყურადღებას აქცევენ. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამ სკოლაში სწავლობენ არა მარტო თბილისელები, არამედ აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან, ჩეჩნეთიდან ლტოლვილები, მიწისძვრისაგან დანგრეული შორეული სპიტაკის შვილები. ქართული ენა მათთვის ურთიერთობის, მეგობრობის ენა გამხდარა. ისინი ამით გამოხატავენ პატივისცემასა და სიყვარულს ქვეყნისადმი, რომელმაც გულთბილად მიიღო და თავისი კალთა გადააფარა.

სტუმრებს თავანკარა ქართულით მიესალმნენ სკოლის ლიტერატურული წრის წევრები, მათ წაიკითხეს სილოვან ნარიმანიძის ლექსები, წარმოადგინეს ლადო მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭების" მონტაჟი, შეასრულეს „სიმღერა თბილისზე".

არც სტუმრები დარჩენილან ვალში. მათ მასპინძლებს დიდი მადლობა გადაუხადეს, წაიკითხეს ახალი ნაწარმოებები, ნორჩებს გაუმხილეს თავიანთი შემოქმედებითი გეგმები, გაანდეს ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, ერთა შორის სიყვარულის საკაცობრიო შეხედულებები და კარგად სწავლა უსურვეს.

ცხადია, ღონისძიების მომზადებას მარტო ლიტერატურული წრის ხელმძღვანელის გულნარა პავლიაშვილის ძალისხმევა არ ეყოფოდა. მას მხარში ედგნენ პედაგოგები თინა ჩადუნელი, მანანა გონგაძე, ირინე წერეთელი და მანანა კამალაძე.

– ეს ღონისძიება არც პირველია და არც უკანასკნელი, – თქვა სკოლის დირექტორმა გიორგი ჩილ-აკოპოვმა. – სკოლა რუსულია, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა აქ ქართული სული ტრიალებდეს. ეს პასუხია სიკეთისა, რომელიც სხვადასხვა ერის შვილებს საქართველომ უწილადა. ჩვენს მოსწავლეებს ამ შეხვედრის ხიბლი დიდხანს გაჰყვებათ.

64-ე სკოლის ეს საქმიანობა, ვფიქრობთ, სხვებისთვისაც სამაგალითოა. და არა ოდენ არაქართული სკოლებისათვის...

**შოთა ხოდაშნელი.**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 6. ვისიმე ან რისამე შესახებ ცნობების გავრცელება, შექება, მისთვის სახელის მოხვეჭის, მისი პოპულარიზაციის მიზნით. 8. ქართველი დირიჟორი და კომპოზიტორი. 9. მეფის დროს – ყაჩაღი (გურიაში). 10. გარემოხაზულობა. 11. კანტორა, უწყება, სამმართველო. 13. ლაშქრობაში ნაშოვნი ქონება – ნადავლი. 15. თოკებით შემოკავებული კვადრატული ფორმის მოედანი კრივში შეჯიბრებისათვის. 19. საერთო ოთახი, დარბაზი სასტუმროში. 21. მერქნიანი მცენარე, ისხამს პატარა თავებად შეკრულ ყვითელ ან თეთრ ყვავილებს. 22. ცისფერი ძვირფასი ქვა. 23. მტაცებელი ძუძუმწოვარა ცხოველი. 25. ქანდაკება, რომელიც გამოხატავს ადამიანის სხეულის ზედა ნაწილს. 27. ბრაზილიელი ზანგების ცეკვა. 29. თეატრში სცენის ქვეშ ჩასასვლელი კიბე. 31. ტალღისებური ზედაპირის მქონე აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი. 32. ცირკის მსახიობი – მასხარა, კლოუნი. 34. ხალხური გონებამახვილური მოკლე გამონათქვამი. 35. ქალაქი იაპონიაში. 36. ლექსის სიტყვებზე დაწერილი პატარა ვოკალური ნაწარმოები, რომელსაც მღერიან ფორტეპიანოს ან სხვა საკრავის თანხლებით.

**შვეულად:** 1. დაბა შავი ზღვის სანაპიროზე. 2. პატარა მტაცებელი ცხოველი (გავრცელებულია ჩრდ. ამერიკაში). 3. პირველყოფილ ხალხებში რაიმე მოქმედების, სიტყვის, საგნის აკრძალვა. 4. ექსპრომტი. 5. ორმოქმედებიანი დრამა ძველ ბერძნულ თეატრში. 7. ინგლისის უძველესი სახელწოდება. 12. მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა, ხმის აწევ-დაწევა წარმოთქმისას. 14. ისტორიული ოლქი სამხრ. ესპანეთში. 16. სხვისი ბავშვების გამზრდელი ქალი. 17. სახელმწიფო ჩრდ. აფრიკაში. 18. ჰოკეის თამაშში რეზინის დისკო, რომელსაც ყინულზე მიაცურებენ. 20. რეჟისორ რაჯ კაპურის ფილმი. 24. ბედ-იღბლის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში. 26. პიანისტი, აკორდეონისტი, რომელიც უკრავს საცეკვაო საღამოებზე. 28. პოლონელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი. 30. უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით. 31. საგანგებო დავალება. 33. სახალხო წარმოდგენა ძველ საბერძნეთსა და რომში, რომელშიც გაერთიანებული იყო დიალოგი, სიმღერა და ცეკვა.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

### 17 დეკემბერს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. ფორტუნა. 2. კოლონია. 3. მალსერო. 4. პასტორი. 5. ისანი. 6. კვერი. 7. პლატონი. 8. კლავირი. 9. კვერთხი. 10. სვიტერი. 11. კრინი. 12. აბედი. 13. მარაზმი. 14. ზამბახი. 15. „ტფილისი". 16. ოფსაიდი. 17. ალამი. 18. სკენე. 19. ჭიანური. 20. მინკუსი. 21. მანდატი. 22. „ივანანა" 23. ოდერი. 24. ამალა. 25. პლაჩიდო. 26. კლიმატი. 27. კალორია. 28. სარჩელი. 29. ფონდი. 30. კობრა.

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „გურჯაანი 93" იწვევს აქციონერთა საერთო კრებას მიმდინარე წლის 30 იანვარს 12 საათზე.

დღის წესრიგი:
1) სს წლიური ბალანსის განხილვა.
მისამართი: ქ. გურჯაანი კოსტავას 1.

სამეთვალყურეო საბჭო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ეს სურათი გადაღებულია 1917 წელს და მასზე აღბეჭდილი არიან ახალციხელები – ძმები სეხნიაშვილები – დათიკო, საშა, ვანო, გიგა, ირაკლი.

სურათი მოგვაწოდა ოთარ სეხნიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ – მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## ღიმილის დოზა



ახალი რუსის შვილი მამას ეუბნება:

– მუსიკოსი მინდა გავხდე.

გაუკვირდა მამას, მაგრამ რა ექნა? მიდგა-მოდგა, იპოვა გავლენიანი ხალხი და მეორე დილით შვილს ეუბნება:

– მაშ ასე, ხვალ მიხვალ კონსერვატორიაში გამოცდაზე. გამოცდა შენთვის ასეთი იქნება: იტყვი, რა გვარისა ხარ, აიღებ დოლის დასარტყამ ჯოხებს და ძლიერად დაარტყამ დიდ დოლს. გაიგე?

– გავიგე!

მეორე დღეს ხვდება მამა გამოცდიდან გამოსულ ატირებულ შვილს:

– არ მიგიღეს?

– არააა...

– კონსერვატორიამდე მიხვედი?

– მივედიიი...

– გვარი უთხარი?

– ვუთხარიიი...

– ჯოხები აიღე?

– ავიღეეე...

– მაშ, რატომ გითხრეს უარი?

– ჯოხები დოლს ვერ მოვახვედრეე...

## ხსოვნა

## იოსებ (სოსო) მოლაშვილი



ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყვარლის რაიონული საკრებულოს თავმჯდომარე იოსებ (სოსო) ილიას ძე მოლაშვილი.

იგი დაიბადა 1943 წლის 25 თებერვალს ქ. ყვარელში ცნობილი სპორტსმენის ილო მოლაშვილის ოჯახში. დაამთავრა ყვარლის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გუდაუთის რაიონის სოფ. ახალსოფლის კოლმეურნეობის ეკონომისტად, ყვარლის რაიონის სოფ. ენისელის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, პარტიის ყვარლის რაიკომის მდივნად, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, რაიკომის პირველ მდივნად. დამთავრებული ჰქონდა საქ. კპ. ცეკასთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია.

1995 წლიდან ყვარლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა, ხოლო 1998 წლიდან არჩეული იყო ყვარლის რაიონული საკრებულოს თავმჯდომარედ.

დიდია მისი წვლილი ადგილობრივი მართვისა და პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბების პროცესში, რისთვისაც 1999 წლის 16 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით მიენიჭა ღირსების ორდენი. აგრეთვე მთავრობის რამდენიმე ჯილდო და საპატიო სიგელი.

მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო იყო ის საყოველთაო სიყვარული, მოწიწება და პატივისცემა, რითაც ბატონი სოსო დამსახურებულად სარგებლობდა.

გამორჩეულად ღირსეული პიროვნების, მაღალი პროფესიონალის და პატრიოტის ბატონ სოსო მოლაშვილის მსგავსნი, სამწუხაროდ ამ ქვეყანაზე არცთუ ისე მრავლად არიან და განსაკუთრებით ამიტომაა მისი გარდაცვალება ძლიერ მტკივნეული.

სოსო მოლაშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა მუდამ კეთილი მოსაგონარი იქნება ყველა მათთვის, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია და ურთიერთობა ჰქონია ადამიანური თვალსაზრისით ამ მეტად მომხიბვლელ, კოლორიტულ და კეთილშობილ ქართველ ვაჟკაცთან.

**საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობის და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახური, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის სამსახური, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია, ყვარლის რაიონის გამგეობა, ყვარლის რაიონის საკრებულო, ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, კახეთის რეგიონის საკრებულოთა ასოციაცია.**

## ხელოვნება

## მოფრინავენ მერცხლები...

ქართველმა ხალხმა კარგად იცოდა და იცის, თუ როგორ არის შეგრეხილი კეთილი და ბოროტი და რომ იგი განითვისო, ამას დასაბამიდან ადამიანის სულის წვრთნა სჭირდება. ცნობიერების გაღვიძებისთანავე უნდა ისწავლოს ბავშვმა ბოროტსა და კეთილს შორის საზღვრის გავლება, აღეძრას სიკეთის ჩადენის სურვილი და ილევწოს მისთვის, რადგან განუხორციელებელი სიკეთე საბოლოოდ ბოროტებას ემსახურება.

ყოველ ერს აქვს ისტორიული შანსი უდაბნოზე გავლით ანუ ზნეობრივი ნათლისღებით განახორციელოს ხელახალი შობა – განერიდოს ბოროტს, გადაარჩინოს სიკეთე და ამ სულიერ კათარზისზე დააფუძნოს სულიერი თავისუფლება.

ეს არ არის იოლი პროცესი, და არც მარტივად ხდება, არც დროის განზომილება გააჩნია. ეს, ალბათ, სიკეთის უწყვეტობის საუკუნეთა გადაძახილია, რადგან ასე გათანამედროვებული დავინახე და მოვისმინე საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაწერილი პეტრე ჩაიკოვსკის უკვდავი ბალეტი „მაკნატუნა“, კოტე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებული სპექტაკლი, რომელიც კაცობრიობის მესამე ათასწლეულის დადგომას მიეძღვნა... და, პოი, საოცრებავ, მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიის პატარა აღსაზრდელებმა წარმოადგინეს, ეს იმ მძიმე ყოფაში, რომელსაც დღეს ჩვენი ქვეყანა მოუცავს, რაც მართლაც რომ, მზის სხივის გაელვება იყო.



კეთილის ბოროტზე საბოლოოდ გამარჯვების ურყევი რწმენა გასდევს მაკა მახარაძის, ქორეოგრაფ თამაზ ვამაკიძის, პედაგოგ-რეპეტიტორ ლალი მესხის ერთობლივ ნამუშევარს. დაძლეულია ის სირთულე, რომ პატარებს არა მარტო სცენური საბალეტო მოძრაობის სწავლა სჭირდებათ, არამედ ბოროტების დაგმობის გაცნობიერების აუცილებლობაც.

სცენაზე გამეფებული შინაგანი წესრიგი ამჟღავნებს, რომ ეს სტუდია, რომელიც ოთხი წელიწადია არსებობს, ქართული ხელოვნების, კერძოდ კი, საბალეტო ხელოვნების, საერთოდ, ოცდამეერთე საუკუნის ღირსეული მოქალაქის აღზრდისათვის დიდ საქმეს აკეთებს.

გული სიხარულით ამევსო, როდესაც კოტე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მაკა მახარაძის სტუდიის ჯერ კიდევ შეუბუმბლავი მერცხლები შემოფრინდნენ, ვიგრძენი, რომ მოდის გაზაფხული, თუმცა, საქართველოს ზეცა იანვრის სუსხს მოუცავს.

**გივი მარუაშვილი.**

## გახსენება

## ანდრო ბერიძე



ჩვენო ანდრო, მეორედ ვხვდებით უშენოდ შენი ოჯახი, სანათესაო, მეგობრები შენს დაბადების დღეს თვალცრემლიანი, გულმოკლული შენი შემახილის, ღიმილის, სითბოსა და სიყვარულის გარეშე.

გილოცავთ დაბადების დღეს. გვეპატიოს უფალმა, რომ ქრისტესშობის უდიდეს დღესასწაულზე მუხლმოდრეკილებმა ანთებული სანთლებით მხოლოდ ლოცვა-ვედრება ვერ შევძელით. უშენოდ გული გლოვისა და ცრემლის გარეშე ვერ ძლებს, თორემ, განა არ ვიცით, რომ შენისთანა ვაჟკაცს, კაცური კაცის სახელით წასულს, გლოვა და ცრემლი არ შეშვენის...

რა საშინელი იყო ჩვენთვის 1999 წელი, მეწყერივით გადაგვიარა და ორი გამორჩეული და-ძმა, რომელიც არა მხოლოდ ოჯახისა და სანათესაოს, ერის დანაკლისიცაა – თან ჩაიტანა. მას შემდეგ ცრემლი არ შრება, გაუსაძლისი გახდა ამქვეყნიური ცხოვრება. არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი შენი სამეგობროსთვის. ზურაბ ცინცაძის თაოსნობით ახლაც უამრავი კეთილი საქმე კეთდება შენი არადავიწყებისთვის.

ყოველი იანვარი გასახსენებლად ტკივილიანი იქნება შენი დაბადების და ელისოს გარდაცვალების დღეებით, ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ თქვენს მიერ უანგაროდ გაცემული სიკეთე კელაპტარივით წინ გაგიძღვებათ და სასუფეველს გაგინათებთ.

ოჯახი.

დედა ელენე ბაქრაძე, შვილები თამარ, ელიზა, ძმა ბესიკი, შვილიშვილი დათო, სიძეები გოგიტა ავაზაშვილი, თამაზ ჭუნიაშვილი, რძალი ანა ქემოკლიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იოსებ (სოსო) ილიას ძე მოლაშვილი

პანაშვიდი 8 I, 4 სთ. დაკრძალვა 9 I, 1 სთ. მისამართი ქ. ყვარელი, 9 აპრილის ქ. №38.

მეუღლე ლამარა, შვილები გოჩა, ხვიჩა, რძლები ირინა ცინცაძე, მაია გადელია, შვილიშვილი გურამი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ზრიზოლის ძე ბერაია

პანაშვიდი: 7, 8 I, 4 სთ. დაკრძალვა: 9 I, 2 სთ. დიღმის მასივი მე-4 კვ. მე-12 კორპ. მე-2 სად. ბ. 89.

საქართველოს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტი, სატრანსპორტო პოლიციის თბილისის რეგიონული განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი



შალვა ანზორის ძე ნოზაძე

პანაშვიდი 7-8 I, 4 სთ. დაკრძალვა 9 I, 2 სთ. ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის II, შესახვევი №10.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი:
380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET